

# საქართველო გეოგრაფიული მეცნიერების გიზნესის დასაგეგმვა

მიმღები გამოცხად



საქართველოს ტურიზმის  
ეროვნული აღმინისტრაცია



საქართველოს ეკონომიკისა  
და მდგრადი განვითარების  
სამინისტრო

[www.georgia.travel](http://www.georgia.travel)  
[www.gnta.ge/statistics/](http://www.gnta.ge/statistics/)



სახელმძღვანელო განკუთვნილია ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაწოდებლად. მისი საშუალებით დაინტერესებული პირები შეძლებენ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც მათ სწორი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას მისცემს. სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემაში განახლდა არსებული და დაემატა ახალი თავები. ისინი მოიცავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ტურიზმის ეკონომიკური ეფექტები, დანიშნულების მართვის ორგანიზაცია, ტურიზმის სტრატეგიული დოკუმენტები, ჯანმრთელობის ტურიზმი, დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა და სხვ.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია გახდება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, რომელ-საც ხშირად მიუბრუნდებით.

საქართველოს ფურიზმის  
იროვნები აღმინისტრაცია



საქართველოს ეკონომიკისა  
და მდგრადი განვითარების  
სამინისტრო

# სარჩევი

საერთაშორისო ტურისტების მოზიდვა - საწყისი ნაბიჯები

7

ბიზნესის მომზადება

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

საქართველოს ტურიზმის ასოციაცია (GTA)

საქართველოში შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაცია (GITOA)

საქართველოს სასტუმრო და სარესტორნო ფედერაცია

საქართველოს გიდების ასოციაცია

ღვინის ტურიზმის ასოციაცია

ქართული ღვინის ასოციაცია

აჭარის გიდების ასოციაცია

გუდაურის სასტუმროების ასოციაცია

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია

საქართველოს ბიზნეს ანგელოზების ასოციაცია

შემომყვანი ტურიზმის არსი და ტენდენციები

10

შემომყვანი ტურიზმი

საერთაშორისო და შიდა ვიზიტორები - განსხვავება

რატომ შემომყვანი ტურიზმი?

არის თუ არა თქვენი პროდუქტი საექსპორტოდ მზად?

მსოფლიო სამომხმარებლო ტენდენციები

მომხმარებლის მიერ ინტერნეტ რესურსების გამოყენების თავისებურებები

ტურიზმის ინდუსტრიის ტენდენციები

გრძელ და მოკლე დისტანციაზე ვიზიტორები

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა

14

რა არის ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა?

როგორ მუშაობს ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა მსოფლიოში?

შემომყვანი ტუროპერატორების (Inbound Tour Operators) ფუნქციები

ონლაინ ტურისტული აგენტების (Online Travel Agents) ფუნქციები

ბითუმად მოვაჭრეების (Wholesalers) ფუნქციები

საცალო ტურისტული აგენტების (Retail Travel Agents) ფუნქციები

შეგვეძრების და წახალისტების მგეგმვების (Meeting and Incentive Planners) ფუნქციები

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა საქართველოში

ძირითადი რჩევები ტურისტული პროდუქტების მფლობელებს შემომყვან ტუროპერატორებთან მუშაობისას

ძირითადი რჩევები შემომყვან ტუროპერატორებს უცხოურ ტუროპერატორებთან მუშაობისას

ტურიზმის ინდუსტრიის კვლევის გამოყენება ბიზნესში

18

რა უნდა ვიცოდეთ სტატისტიკის სწორად ინტერპრეტაციისთვის?

როგორი სახის კვლევაა ხელმისაწვდომი?

კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია)

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკი

შინაგან საქმეთა სამინისტრო

ტურიზმის სტატისტიკის სხვა შემგროვებლები

სამიზნე ბაზრების ანალიზი

მეგამონაცემების გამოყენება ტურიზმში

## ტურიზმის ეკონომიკური ეფექტები ..... 23

რა ეკონომიკური ანალიზის ფორმებს იყენებენ ტურიზმში?  
ეკონომიკური ეფექტის ანალიზი ტურიზმში: პირდაპირი ეფექტი  
ტურიზმის სატელიტური ანგარიშები  
ტურიზმის მეორადი ეკონომიკური ეფექტები  
დანასარჯები-გამოშვების მოდელი

## განთავსების საშუალებების ბიზნესის განვითარება ..... 27

რა არის განთავსების საშუალება?  
რა ტიპის ბიზნესის წარმოებაა შესაძლებელი განთავსების საშუალებების ბაზარზე?  
უძრავი ქონების ან საკუთრების ფლობა  
ფრენშაიზინგი  
ოპერაციების მენეჯმენტი  
სასტუმროს ინდუსტრიის სეგმენტები  
განთავსების საშუალებები საქართველოში  
ფასი  
შემოსავლიანობის მენეჯმენტი  
რა არის ქონების მართვის სისტემა?

## მარკეტინგული გეგმის განვითარება ..... 33

მარკეტინგის ოთხი ელემენტი: პროდუქტი, ფასი, ადგილი და პრომოუშენი  
სამიზნე ბაზრების იდენტიფიცირება  
პროდუქტი  
პროდუქტის შეკვრა  
ტუროპერატორების პაკეტი  
დაჯავშნის პროგრამების მნიშვნელობა  
ფასი  
რა ტიპის განაკვეთები არსებობს?  
რეკომენდაციები ფასის დადებისას  
ტუროპერატორების ფასწარმოქმნა  
ადგილი  
პრომოუშენი  
რეკლამირება  
საზოგადოებრივი ურთიერთობები  
ციფრული მარკეტინგი  
როგორ ვაწარმოოთ ეფექტიანი მარკეტინგული კამპანია ვებ-გვერდის საშუალებით?  
რა არის სოციალური მედია და როგორ გამოვიყენოთ ის ბიზნესში წარმატებისთვის?  
როგორ შევქმნათ ბროშურები?

## საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და საგადასახადო შეღავათები ტურიზმის სექტორში ..... 40

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტივობები  
რა არის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა?  
როგორ მივიღო მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში?  
რა არის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია?  
დანიშნულების მართვის ორგანიზაცია საქართველოში  
ანარმო საქართველოში  
საპარტნიორო ფონდი  
საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი  
საგადასახადო შეღავათები ტურიზმში  
თავისუფალი ტურისტული ზონები

<b>ტურიზმის სტრატეგიული დოკუმენტები</b>	50
ტურიზმის სტრატეგია 2025	
ხედვა	
მონიტორინგი და შეფასება	
მარკეტინგული სტრატეგია	
საქართველოს ძირითადი ტურისტული პროდუქტები	
ძირითადი ტურისტული ბაზრები და სეგმენტები	
მოგზაურობის როგორი ტიპები არსებობს?	
დაბალინსებული მაჩვენებელთა სისტემა	
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მაგალითი	
ფინანსური პერსპექტივა	
მომხმარებლის პერსპექტივა	
პროცესის პერსპექტივა	
სწავლისა და ზრდის პერსპექტივა	
<b>ტურიზმის ტიპები: ღვინო და საკვები</b>	67
გასტრონომიული ტურიზმი	
ღვინის ტურიზმი	
ღვინის გზა საქართველოში	
ღვინის ეროვნული სააგენტო	
<b>ტურიზმის ტიპები: ბუნება და თავგადასავალი</b>	70
რა არის სათავგადასავლო ტურიზმი?	
რა უნდა ვიცოდეთ სათავგადასავლო მოგზაურების მოსაზიდად?	
სათავგადასავლო ტურიზმი საქართველოში	
საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომისანია	
დაცული ტერიტორიების სააგენტო	
<b>ტურიზმის ტიპები: კულტურული მემკვიდრეობა</b>	76
კულტურული ტურიზმი	
საქართველოს ეროვნული მუზეუმი	
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	
<b>ტურიზმის ტიპები: შეხვედრების ინდუსტრია</b>	79
რა არის შეხვედრების ინდუსტრია?	
რა არის საჭირო საკონვენციო ბიუროში გასაწევრიანებლად?	
როგორ შეიძლება დამეხმაროს საკონვენციო ბიურო ბიზნესის წარმოებაში?	
<b>ტურიზმის ტიპები: ჯანმრთელობის ტურიზმი</b>	81
რა არის ჯანმრთელობის, ველნეს და სამედიცინო ტურიზმი?	
რა უნდა ვიცოდეთ ჯანმრთელობის მიზნით მოგზაურების მოსაზიდად?	
ჯანმრთელობის ტურიზმი ციფრუბში	
ჯანმრთელობის ტურიზმი საქართველოში	
<b>ტურისტული ტერმინები</b>	84

# საკრთველოს მთავრობის მოზიდვა - სახულის ნაბიჯი

## პიზნების მომზადება

შემომყვანი მოგზაურების მოსაზიდად მუშაობის დაწყებამდე აუცილებელია კვლევისა და დაგეგმვის განხორციელება. ამისთვის საჭიროა:

- საერთაშორისო ბაზრების გამოკვლევის შედეგად თქვენი პროდუქტის მომხმარებლების გარკვევა;
- ამ ბაზრების მომხმარებლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პროდუქტის გადამუშავება და გაუმჯობესება;
- კონკურენტული კონკურენტის განსაზღვრა ბაზარზე;
- საერთაშორისო მოგზაურებს შორის სხვადასხვა მოგზაურობის სტილის არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობა;
- მსოფლიოში დამკაიდრებული ტურიზმის დისტრიბუციის სისტემის და მისი განაკვეთების სტრუქტურის შესწავლა. საქართველოში არსებული რეალობის განალიზება;
- მიზნობრივი საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვაზე ორიენტირებული მარკეტინგული გეგმის და ბიუჯეტის შემუშავება;
- თქვენი პროდუქტის რეგიონში არსებულ სხვა შემავსებელ პროდუქტთან ერთად პაკეტით შეთავაზების შესაძლებლობის გამოკვლევა;
- საგადასახადო შეღავათებისა და საქართველოში არსებული სახელმწიფო მასტიმულირებელი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- მომხმარებლებისა და სავაჭრო პარტნიორებისთვის ინგლისურ და სხვა ენებზე საპრომოციო მასალის მომზადება;
- აღნიშნული ბუკლების წაკითხვა და ტურიზმის ეროვნული აღმინსტრუაციისა და ასოციაციებისგან რჩევების მიღება.

## ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია (GNTA)

2010 წლიდან საქართველოს ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირია. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და ტურიზმის ინდუსტრიის როლის გაზრდაში. აღმინისტრაციის მიზნებია: საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, მდგრადი ტურიზმის განვითარების უზრუნველყოფა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

## მნიშვნელოვანი:

- ✓ განიხილეთ თქვენი პროდუქტი და გეგმები ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაციის ტურისტული პროდუქტის და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამართველოსთან;
- ✓ დარეგისტრირდით საინფორმაციო მომსახურების სამართველოს საშუალებით მონაცემთა ბაზაში, მომავალში საინფორმაციო ცენტრებში თქვენი პროდუქტის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად და ტურისტებისთვის მისაწოდებლად; ასევე, ბაზებში რეგისტრაცია საშუალებას მოგცემთ ყოველი წლის ბოლოს მიღლოთ ინფორმაცია ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაციისგან მომავალ წელს საქართველოში და უცხო ქვეყნებში დაგეგმილი ღონისძიებებისა და საერთაშორისო გამოფენების შესახებ. თანამონაწილების თანხის გადახდის შემთხვევაში კი შეძლებთ მიღლოთ მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენაში და დამყაროთ საერთაშორისო კავშირები;

- ✓ გაესაუბრეთ თქვენი საჭიროებების (პრობლემების) შესახებ უკუკავშირის, ანალიზისა და რეაგირების სამმართველოს;
- ✓ მიიღოთ ინფორმაცია ტურიზმის სტატისტიკის ტენდენციების და ძირითადი ტურისტული ბაზების შესახებ კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოსგან;
- ✓ მიიღოთ მარკეტინგული რჩევები და ბროშურები ბრენდის განვითარების სამმართველოსგან.

## სწრაფი პმულები:

ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია სტატისტიკა და კვლევები  
[www.gnta.ge/statistics](http://www.gnta.ge/statistics)

## ბროშურები

[www.gnta.ge/ge/publications](http://www.gnta.ge/ge/publications)

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

დეპარტამენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების მართვის სახელმწიფო ორგანოს. მის ფუნქციებში შედის:

- სახელმწიფო პოლიტიკის გატარება კურორტების შენახვისა და ტურიზმის განვითარებისთვის;
- რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე;
- ტურიზმის სფეროში სიახლეების დაწერგვის ხელშეწყობა.

დეპარტამენტის სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს:

- რეგიონის, როგორც ტურისტული ადგილის ცნობადობის ამაღლება;
- რეგიონის ტურისტული პროდუქტების განვითარება და მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- ტურიზმის სფეროს მართვის ეფექტისანობის უზრუნველყოფა.

## საქართველოს ტურიზმის ასოციაცია (GTA)

საქართველოს ტურიზმის ასოციაცია წარმოადგენს კერძო ტურისტული ორგანიზაციების, სასტუმროების და ღვინის კომპანიების გაერთიანებას. ასოციაცია დაარსდა 2006 წელს და დღეისათვის 70 წევრით ყველაზე დიდი ტურისტული ასოციაციაა საქართველოში.

GTA მხარს უჭერს ადგილობრივი ტურისტული ასოციაციების შექმნას და აქტიურად თანამშრომლობს მათთან. ასოციაციის მიზანია ქვეყანაში ტურისტული სერვისების გაუმჯობესება და ხარისხის ეფექტური მართვა. GTA აქტიურად მონაწილეობს გარემოს დაცვის და მდგრადი ტურიზმის განვითარების პროექტებში საქართველოში. ასოციაცია პარტნიორობანიზაციებთან ერთად მუშაობს მარკეტინგის საკითხებზე, ტურისტული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და დახვეწის.

საქართველოს ტურიზმის ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გამყვანი, შემომყვანი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ახალი პროდუქტების შექმნა და არსებულის გაუმჯობესება.

## საქართველოში შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაცია (GITOА)

ასოციაცია ცდილობს მოზიდვის მოტივირებული წევრები და ხელი შეუწყოს ახალი პროექტების განხორციელებას ქვეყანაში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მის ფუნქციებში შედის:

- საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის პოპულარიზაცია;
- წევრი ორგანიზაციების თანამშრომლობა ვიზიტორების მოსაზიდად;
- ახალი ტურისტული პაკეტების შეთავაზება და არსებულის გაუმჯობესება;
- ტურისტული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

## საქართველოს სასტუმრო და სარესტორნო ფედერაცია

საქართველოს სასტუმრო და სარესტორნო ფედერაცია 2014 წლის თებერვლის თვეში დაფუძნდა. იგი აქტიურად მუშაობს სასტუმრო და სარესტორნო სექტორში სტანდარტების პროექტის შემუშავებაზე. ამ ეტაპისათვის ფედერაცია საინტერესო მომსახურებასა და შეღავათებს სთავაზობს სექტორში არსებულ წევრ ორგანიზაციებს.

## საქართველოს გიდების ასოციაცია

საქართველოს გიდების ასოციაცია 2010 წელს დაარსდა და ტურისტული გიდების ეროვნულ გაერთიანებას წარმოადგენს. იგი მიზნად ისახავს საქართველოში გიდის პროფესიის პოპულარიზებას, მოქმედი გიდების საქმიანობის განვითარებას და შემოსავლების ზრდის ხელშეწყობას. დღეისთვის ასოციაცია საქართველოს 80-ზე მეტ პროფესიონალ გიდს აერთიანებს, რომელთა საინფორმაციო და სასწავლო მხარდაჭერა ასოციაციის პროგრამების მეშვეობით აქტიურად მიმდინარეობს.

## ღვინის ტურიზმის ასოციაცია

ღვინის ტურიზმის ასოციაცია დაარსდა 2014 წელს საინციატივო ჯგუფის მიერ. მის პროფილს წარმოადგენს: ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, ღვინის ტურიზმის პროექტებსა და ღვინისძებებში მონაწილეობა, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, გამოცდილებისა და ხედვის გაზიარება დარგის განვითარებულ და საწყის ეტაპზე მყოფი ობიექტებისთვის.

## ქართული ღვინის ასოციაცია

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ასოციაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ღვინის ტურიზმის პოპულარიზაციას და ქართული ღვინის უნიკალური ჯიშების და ღვინის დამზადების ტრადიციული ტექნიკოლოგიების შესახებ საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას.

## აჭარის გიდების ასოციაცია

ორგანიზაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ტურების დაგეგმვის პროცესში გიდების ჩართულობას და მათ პროფესიულ განვითარებას. მის ფუნქციებში შედის:

- ექსკურსიამდლოლის პროფესიის პოპულარიზაცია;
- ახალი გიდების მოზიადება;
- მოქმედი გიდების გადამზადება და სხვა.

## გუდაურის სასტუმროების ასოციაცია

ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს საჯარო და კერძო სტრუქტურებთან გუდაურში სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო და შიდა ვიზიტორების მოზიდვას. მისი ფუნქციებია:

- სასტუმროების ბიზნესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება;
- სასტუმროების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;
- გუდაურის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.

## საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია

ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად ამონცანას საქართველოში ეკოტურიზმის სახელმწიფოებრივ დონეზე ლობირება, ეკოტურისტული სტანდარტების შემუშავება/დანერგვა წარმოადგენს. ასოციაციის მიერ მრავალი განხორციელებული და მიმდინარე პროექტის მთავარ მიზანს თემებში ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება, მოსახლეობის თვითაქტივობის ზრდის გზით მათვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოზე ზრუნვა წარმოადგენს.

## საქართველოს ბიზნეს ანგელოზების ასოციაცია

საქართველოს ბიზნეს ანგელოზების ასოციაცია დაარსდა 2017 წლის 23 მარტს და წარმოადგენს დამოუკიდებელ, არაკომერციულ, არასამეწარმეო იურიდიულ პირს. ასოციაციის მისიაა ბიზნეს ანგელოზების ქსელის ჩამოყალიბებითა და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის გზით ინოვაციური სტარტაპებისთვის ალტირნატიული დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

## სწრაფი ბმულები:

აჭარის ავტომობილი რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი  
[www.adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=7](http://www.adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=7)

საქართველოს ტურიზმის ასოციაცია  
[www.tourism-association.ge/ge/index.php](http://www.tourism-association.ge/ge/index.php)

საქართველოში შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაცია  
[www.gitoa.ge](http://www.gitoa.ge)

საქართველოს გიდების ასოციაცია  
[www.guides.ge/](http://www.guides.ge/)

ღვინის ტურიზმის ასოციაცია  
[www.wine-tourism.org/](http://www.wine-tourism.org/)

ქართული ღვინის ასოციაცია  
[www.gwa.ge/?lan=ge](http://www.gwa.ge/?lan=ge)

აჭარის გიდების ასოციაცია  
[www.ajaraguides.com/](http://www.ajaraguides.com/)

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია  
[www.ecotourism.ge](http://www.ecotourism.ge)

საქართველოს ბიზნეს ანგელოზების ასოციაცია  
[www.businessangels.ge](http://www.businessangels.ge)

ქვემოთ მოცემულია ტურისტული სუბიექტის (ტურისტული სააგენტო, რესტორანი და სხვა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად (შპს) ან ინდივიდუალურ მენარმედ დარეგისტრირების პროცედურები.

ცხრილში იხილეთ შედარებითი ანალიზი ამ ორი კონკრეტული შემთხვევისთვის:

საგადასახადო განაკვეთი	ვალდებულებები
<p>ფიზიურ პირს, რომელსაც ინდივიდუალური მენარმის სტატუსი აქვს და მისი ერთობლივი ნლიური შემოსავალი არ აღმატება 500 ათას ლარს, შეუძლია დარგისტრირდეს მცირე მენარმედ. მცირე მენარმის სტატუსის მქონე ფიზიური პირს დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-იანი საგადასახადო განაკვეთით, ერთობლივი შემოსავლის 500 ათას ლარზე გადაჭარბების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 3%-ს შეადგენს. თუ ფიზიური პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა ორი კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული ნლის განმავლობაში 500,000 ლარს გადაჭრას, მას უუქმდება მცირე პიზნების სტატუსი. ფიზიური პირი, რომელსაც არ აქვს მცირე მენარმის სტატუსი იბეგრება საშემოსავლო 20%-იანი განაკვეთით. შპს იბეგრება მოგების 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით.</p>	<p>შპს-ს დარეგისტრირება შეუძლია არა მარტო ერთ, არამედ რამდენიმე პირს. მენარმის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით საზოგადოებაში. რაც გულისხმობს, რომ მომავალში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მენარმე პასუხს აგებს მხოლოდ იმ ქონებით, ან იმ წილით, რაც მას შპს-ში აქვს. ინდივიდუალური მენარმე კი მის საქმიანობიდან წარმოშობილი გაღდებულებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, ანუ ყველა იმ აქტივით, რაც მასშეა დარეგისტრირებული.</p>

### ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის წესი და პირობები

ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირებს.

#### სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტები:

- განცხადება (აღნიშნული ივსება შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში უშუალოდ დოკუმენტების მიმღები ოპერატორის მიერ);
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ბინადრობის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი) ასლი;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი — 20 ლარი (1 სამუშაო დღის ვადაში). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: [www.psh.gov.ge/main/page/2/85](http://www.psh.gov.ge/main/page/2/85)

### შპს-ს რეგისტრაციის წესი და პირობები

ტურისტული სუბიექტი შპს-ს რეგისტრაციისთვის მიმართავს წებისმიერ იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს. რეგისტრაციისთვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების წარდგენი:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ყველა პარტნიორის/დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული შეთანხმება/წესდება;
- სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ხართ);
- იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი რეგისტრირდება პარტნიორის/დამფუძნებლის, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული პირების საკუთრებას, დამატებით უნდა იყოს წარმოდგენილი აღნიშნული მისამართზე არსებული უძრავი წივთის მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება ამ წივთით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა);
- იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იმავდროულად არ არის საზოგადოების დამფუძნებელი, აუცილებელია მისი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;
- აუცილებელია ელ-ფოსტის მითითება;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი — 100 ლარი (1 სამუშაო დღის ვადაში).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: [www.psh.gov.ge/main/page/2/86](http://www.psh.gov.ge/main/page/2/86)  
<https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=142>

დოკუმენტის „წესდება/პარტნიორთა შეთანხმება“ ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ბმულიდან: [www.new.napr.gov.ge/p/352](http://www.new.napr.gov.ge/p/352)

# ავტომატიზირებული სამოწმონის განვითარების სამსახური

## შემომყვანი ტურიზმი

შემომყვანი ტურიზმი მოიცავს ქვეყანაში განხორციელებულ ყველა საერთაშორისო მოგზაურობას. ის საექსპორტო დარგია, მიუხედავად იმისა, რომ ტურისტი ქვეყნის ფარგლებში მოგზაურობს, ამ სერვისის მისაღებად უცხოურ ვალუტას იყენებს. 2018 წლის მონაცემებით საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 3.2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ყოველთვიურად შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ. რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორების მახასიათებლების კვლევას, მას სტატისტიკის ეროვნული სამსახური კვარტალურად აქვეყნებს. კვლევა მოიცავს 15 წლის და უფროი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებს, ხოლო ინტერვიუ კველა ტიპის სასაზღვრო გამშება პუნქტში ტარდება (სეროპორტი, პორტი, რეინიგზა, სახმელეთო საზღვარი).

## სწრაფი ბმულები:

საერთაშორისო და შიდა ვიზიტორების კვლევები

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია  
[www.gnta.ge/statistics/](http://www.gnta.ge/statistics/)

სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## საერთაშორისო და შიდა ვიზიტორები - განსხვავება

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, საერთაშორისო ვიზიტორები უფრო ხანგრძლივად მოგზაურობენ და მეტ ფულს ხარჯავენ, ვიდრე შიდა ვიზიტორები. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების თანახმად, ოპერატორების უმრავლესობა თავისი ტურისტული პროდუქტით პირველად ადგილობრივი ბაზრის ათვისებას ცდილობს და მხოლოდ ამის შემდეგ გადის საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა აღნიშნული გამოცდილება შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული ქვეყნისთვის. ასევე, საქმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს მარკეტინგს შორის, რომელიც შიდა და საერთაშორისო ბაზრის ასათვისებლად გამოიყენება.

## მნიშვნელოვანი:

- მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გააზრება, რომ საერთაშორისო ბაზარი ძალზე კონკურენტულია. აქ თქვენ არა მარტო იმ კომპანიებს გაუწევთ კონკურენციას, რომლებიც მსგავს პროდუქტებს სთავაზობენ მომხმარებელს, არამედ სხვა საერთაშორისო ტურისტული დანიშნულების ადგილებსაც. თქვენი რეგიონის გაყიდვა და მოგზაურებისთვის ტურისტული დანიშნულების ადგილების მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხშირად პირველი ნაბიჯია პროდუქტის გაყიდვის პროცესში.
- მნიშვნელოვანია, ძირითადი ტერმინოლოგიის სწორად გააზრება საქმიანობის ეფექტიანად დასაგეგმად. ტერმინოლოგიის შესახებ ინფორმაციას მეოთხე თავში დაწვრილებით გაეცნობით.

შიდა ბაზარი	საერთაშორისო ბაზარი
მოგზაურება იციან საქართველოს შესახებ	მოგზაურებს შესაძლოა შეზღუდული ინფორმაცია გააწინდეთ საქართველოს შესახებ
ნაკლები მარკეტინგული დანახარჯები	მეტი მარკეტინგული დანახარჯები
მოგზაურების საჭიროებები სეგმენტებს შორის მსგავსია	მოგზაურების საჭიროებები შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეულ ბაზარზე და სეგმენტზე
დისტრიბუციის სისტემა მსგავსია და ოპერატორები ხშირად მომზრდებულებს პირისპირ ეკონტაქტებიან	დისტრიბუციის სისტემები განსხვავდება თითოეულ ბაზარზე
ენობრივი და კულტურული ბარიერები არ არსებობს	ენობრივი და კულტურული განსხვავებები
ბაზარზე შესვლა მარტივია და ამონაგები ინვესტიციაზე უფრო სწრაფია	გრძელვადიანი კომპენსაციები ინვესტიციებზე, დანახარჯების ამოსალებად

## რატომ შემომყვანი ტურიზმი?

შემომყვანი ტურიზმი ბაზრების დიფერენცირების და ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას იძლევა, რაც შიდა უარყოფითი ეფექტების (შოკების) დარეგულირებას უწყობს ხელს. მაგალითად, ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურება შეიძლება უარყოფითად აისახოს შიდა ვიზიტორებზე, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორებზე დადებითი ან ნეიტრალური გავლენა იქონიოს. ამას შედეგად ტურისტული ნაკადის დარეგულირება მოყვება. შემომყვანი ტურიზმისგან ბევრი სარგებელია, მათ შორის:

- საერთაშორისო მოგზაურობის ნაკადი არ არის კონცენტრირებული უქმედების გარშემო და სეზონურობის დაძლევის კარგი საშუალებაა;
- სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრებზე რისკების გადანაწილების საშუალებით შესაძლებელია უარყოფითი შედეგების შემცირება;
- შემომყვანი დისტრიბუციის ქსელში ჩართვა საშუალებას იძლევა ათვისებულ იქნას ახალი დისტრიბუციის ფორმები და თქვენი პროდუქტი მსოფლიოს გარშემო მიღიონობით პოტენციური მოგზაურისთვის ხელმისაწვდომი გაზდეს, რაც ხელს შეუწყობს თქვენი პროდუქტის მსოფლიოს გარშემო მიღიონობით პოტენციური მოგზაურისთვის ხელმისაწვდომობას.
- საერთაშორისო ვიზიტორები საშუალოდ უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე შიდა ვიზიტორები თითოეულ ვიზიტზე;
- ნინასწარი დაჯავშნის პერიოდი ჩვეულებრივ უფრო გრძელია და ბიზნესის უკეთესად დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

## მნიშვნელოვანი:

- შემომყვანი ტურიზმის მარკეტინგის წარმატება დროის და ფულის მნიშვნელოვანი ინვესტიციას საჭიროებს და კარგი ბიზნეს ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებაზე დაფუძნებული;
- ინვესტიციაზე ამონაგების მიღებას შესაძლოა ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდეს.

**არის თუ არა თქვენი პროდუქტი საექსპორტოდ მზად?**

ყველა ტურისტული პროდუქტი არ არის საერთაშორისო ბაზრებისთვის განკუთვნილი. ზოგიერთი პროდუქტი საჭიროა შეიცვალოს საერთაშორისო ბაზარზე გასატანად, ან შეიძლება

გამოსადევები მხოლოდ სპეციფიკური ბაზრებისთვის იყოს. ამავე დროს, ზოგი პროდუქტი შეიძლება უფრო მიმზიდველი აღმოჩნდეს საერთაშორისო ბაზრებისთვის. სანამ საერთაშორისო ბაზრებზე თქვენი ფულის და დროის ინვესტირებას მოახდენდეთ, დაუსვით საკუთარ თავს ქვემოთ მოცემული კითხვები. თუ ამ კითხვებზე თქვენი პასუხი დადებითია, ე.ი. თქვენი მიზნის მისაღწევად სწორ გზაზე დგახართ.

არის თუ არა თქვენი ბიზნესი დაფუძნებული შიდა ბაზარზე?	მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებით ბიზნესების უმრავლესობა საერთაშორისო ბაზარზე მხოლოდ შიდა ბაზარზე დამკვიდრების შემდეგ შედის	საექსპორტოდ მზად
გაქვთ თუ არა დაჯავშნის მექანიზმი საერთაშორისო ბაზრებისთვის?	თქვენ უნდა შესთავაზოთ სწრაფი დასტური ჯავშანზე ელ. ფოსტის ან ვებ-გვერდის საშუალებით, მაქსიმუმ 3-4 საათის ინტერვალით	საექსპორტოდ მზად
იცით თუ არა საერთაშორისო დისტრიბუციის სისტემის შესახებ?	შეისწავლეთ მსოფლიოში მიღებული დისტრიბუციის სისტემის მოთამაშების ფუნქციები და გაეცანით საქართველოში არსებულ სურათს	საექსპორტოდ მზად
გაქვთ თუ არა ინფორმაცია საკომისიო დონეების შესახებ?	თქვენ უნდა გაითვალისწინოთ საკომისიოს ოფენიბა შუამავლებისთვის	საექსპორტოდ მზად
იცით თუ არა ონლაინ დისტრიბუციის არხების შესახებ?	გაიაზრეთ, თუ როგორ უნდა გაავრცელოთ თქვენი პროდუქტი ონლაინ	საექსპორტოდ მზად
იცით თუ არა სად უნდა მოიძიონ მომხმარებლებმა თქვენი პროდუქტის შესახებ ინფორმაცია?	გაეცანით მომხმარებლის მიერ გენერირებულ სამოგზაურო ვებ-გვერდებს და შეისწავლეთ მათი გავლენა მომხმარებელზე პროდუქტის არჩევისას	საექსპორტოდ მზად
გამოიკვლეთ თუ არა საერთაშორისო ბაზრები თქვენი პროდუქტის შესაბამისი ბაზრის გასარკვევად?	გამოიყენეთ GNTA-ის კვლევის რესურსები, რომ შეისწავლოთ საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების მნიშვნელოვანი ბაზრები	საექსპორტოდ მზად
გესმით თუ არა საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნილებები?	გაითვალისწინეთ საერთაშორისო მოგზაურების სამოგზაურო სტილი, მოტივაცია, ენა და კულტურული განსხვავებები	საექსპორტოდ მზად
გსურთ თუ არა ითანამშრომლოთ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან?	ამ ორგანიზაციას შეუძლია თანამშრომლობის შემოთავაზება ბევრ სფეროში	საექსპორტოდ მზად

## მსოფლიო სამომხმარებლო ტენდენციები

- მომხმარებლები ინფორმაციის მოძიებას და ადგილების დაჯავშნას ინტერნეტის საშუალებით ახორციელებენ. მცირდება წინასწარი დაჯავშნის პერიოდი. ისინი კონცენტრაციას ახდენენ უკანასკნელი წუთის შეთავაზებაზე. ძირითადად აქცენტს თვითმფრინავის ბილეთებზე აკეთებენ;
- მომხმარებლები სასურველ მარშრუტებს ონლაინ ჯავშნიან, თუმცა გრძელი დისტანციის ბაზრებისთვის ტურისტული აგენტი რისკის შემცირების კარგ საშუალებად ითვლება;
- ტექნოლოგიების განვითარების შედეგად (მაგ. "Iphone", "Ipad" და სხვ.) მომხმარებლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაათვალიერონ:
  - ✓ ფრენების განრიგი;
  - ✓ რუკები;
  - ✓ ვირტუალურად ოთახები და ლოკაციები;
  - ✓ სოციალური მედიის საიტები.

## მომხმარებლის მიერ ინტერნეტ რესურსების გამოყენების თავისებურებები

ინტერნეტი მომხმარებლებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების და სრულყოფილი მოგზაურობის დაგეგმვის საშუალებას აძლევს. მოგზაურებს მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის, (User Generated Content)<sup>1</sup> საიტების და ბლოგების საშუალებით შეუძლიათ მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღება და მოგზაურობის დაგეგმვა. ამჟამად, ბევრი მომხმარებელი საკუთარი სამოგზაურო გადაწყვეტილებას მომხმარებლების ონლაინ რეიტინგებზე აფუძნებს.

მომხმარებლები ესაუბრებიან ერთმანეთს ინტერნეტში, რაც დიდ აუდიტორიაზე სწრაფი წევდომის საშუალებაა. სიტყვიერი რჩევები ინფორმაციის სანდო წყაროა მოგზაურებისთვის.

ქვემოთ მოცემული საიტები გამოიყენება, როგორც მოგზაურობის შესახებ ინფორმაციის გადასამოწმებლად, ასევე მეგობრების და ოჯახის წევრების ინფორმირებისთვის. ინტერნეტის საშუალებით საუბრებს პერსონალური რეკომენდაციების სახე აქვს. ინტერნეტის გამოყენებით მომხმარებლების მიერ ინფორმაციის გავრცელებას შეიძლება უფრო დიდი გავლენა ჰქონდეს, ვიდრე მარკეტინგულ კამპანიას. შედეგად, ოფიციალური საიტების როლი მცირდება და ადგილს უთმობს ფორუმებს და სხვა მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის (User Generated Content) საიტებს.

## მნიშვნელოვანი:

ინტერნეტმა გაზარდა სიტყვიერი რჩევების როლი და მომხმარებლებს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მისცა.

## ქვემოთ მოცემულია მოგზაურებს შორის პოპულარული საიტები:

>> [VirtualTourist www.virtualtourist.com](http://VirtualTourist.com)

>> [Tripadvisor www.tripadvisor.com](http://Tripadvisor.com)

>> [Viator www.viator.com](http://Viator.com)

>> [Adventure Finder www.adventurefinder.com](http://AdventureFinder.com)

>> [World66 www.world66.com](http://World66.com)

>> [Wikitravel www.wikitravel.org](http://Wikitravel.org)

>> [WAYN www.wayn.com](http://WAYN.com)

>> [Airbnb www.airbnb.com](http://Airbnb.com)

>> [Hostelworld www.hostelworld.com](http://Hostelworld.com)

>> [IgoUgo www.igoego.com](http://IgoUgo.com)

>> [Expedia www.expedia.com](http://Expedia.com)

>> [Bookings www.booking.com](http://Bookings.com)

საიტები, რომლებმაც შეიძლება მოგზაურობა მოიცავა:

>> [YouTube www.youtube.com](http://YouTube.com)

>> [Facebook www.facebook.com](http://Facebook.com)

>> [Twitter www.twitter.com](http://Twitter.com)

>> [Vimeo www.vimeo.com](http://Vimeo.com)

>> [Flickr www.flickr.com](http://Flickr.com)

>> [Pinterest www.pinterest.com](http://Pinterest.com)

>> [Instagram www.instagram.com](http://Instagram.com)

>> [Google Plus www.plus.google.com](http://GooglePlus.com)

>> [Foursquare www.foursquare.com](http://Foursquare.com)

>> [Yelp www.yelp.com](http://Yelp.com)

>> [Urbanspoon www.urbanspoon.com](http://Urbanspoon.com)

## რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს თანამედროვე ციფრულ ტენდენციებს თქვენს ბიზნესზე?

ციფრული ტენდენციებიდან მეტი სარგებლის მისაღებად საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- დარწმუნდით, რომ პოტენციური მომხმარებელი თქვენ მოძნას ინტერნეტის საშუალებით შეძლებს;
- მაქსიმალურად გაამარტივეთ თქვენთან დაკავშირების და დაჯავშნის პროცედურა;
- წაახალისეთ მომხმარებლები, რომ გააზიარონ თქვენი პროდუქტის ფოტოები სხვადასხვა საიტების მეშვეობით. გამოიკვლიერ, თუ რა ინფორმაციას ავრცელებენ ისინი თქვენს შესახებ ინტერნეტ სივრცეში.

## მნიშვნელოვანი:

- გამოიყენეთ google შეტყობინება [www.google.com/alerts](http://www.google.com/alerts) და [www.socialmention.com](http://www.socialmention.com) თქვენს ბიზნესზე გამოხმაურების ონლაინ მონიტორინგისთვის.

## ტურიზმის ინდუსტრიის ტენდენციები

როგორც ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთმა მიმწოდებელმა, უნდა გააანალიზოთ, თუ რა ტენდენციებია სექტორში და რა გავლენას ახდენს აღნიშნული ტენდენციები თქვენ ბიზნესზე.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ძირითადი ტენდენცია, რომელიც მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში იკვეთება:

- ონლაინ დისტრიბუცია ანაცვლებს ტრადიციულ სადისტრიბუციო სისტემას;
- მომხმარებლები სულ უფრო ხშირად იყენებენ ონლაინ სერვისებს მათი მოგზაურობის ყველა ეტაპის დასაგეგმად;
- საცალო გაყიდვების აგენტები ერთიანდებან უფრო დიდ კონსორტუმებში, მათი შესყიდვების და მარკეტინგის ძალის გასაზრდელად;
- შეინიშნება გადასვლა ინტერესზე ორიენტირებულ, მაღალხარჯიან მარშრუტებზე;
- შემოღიან დაბალბიუჯეტიანი ავიაგადამზიდები.

<sup>1</sup> მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტი მოიცავს ბლოგებს, ფორუმებს, პოსტებს, ტვიტებს, ციფრულ ვიდეოებს,

## **რომელია საერთაშორისო ვიზიტორების ძირითადი ბაზრები საქართველოში?**

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ძირითადი ბაზარი მეზობელი ქვეყნებია. 2018 წელს მათზე მთლიანი ვიზიტების 77.3% მოდიოდა. აქედან, აზერბაიჯანზე 27.4%, რუსთაზე 27%, თურქეთზე 21.1%, სომხეთზე კი 24.4%. ვიზიტორების წარმომავლობა რიგ ფაქტორებზე ახდენს გავლენას, მათ შორისაა:

- ვიზიტის ხანგრძლივობა;
- დანახარჯები, საკვები, საყიდლების რაოდენობა;
- აქტივობა და მონახულებული ღირსშესანიშნაობა;
- საქართველოში მონახულებული ადგილები;
- განთავსების საშუალებების ტიპი და ცურები.

### **სწრაფი ბმულები:**

საერთაშორისო და შიდა ვიზიტორების კვლევები

საქართველოს ძირითადი ბაზრები

[www.gnta.ge/ge/statistika](http://www.gnta.ge/ge/statistika)


## **რა არის საქართველოში ჩამოსვლის მოტივაცია?**

ადამიანები განსხვავებული გამოცდილებების მისალებად მოგზაურობენ და ამ გადაწყვეტილებაზე ბევრ ფაქტორს აქვს გავლენა, მათ შორის: ასაკს, კულტურულ იდენტობას, წინა მოგზაურობის გამოცდილებას და დასვენებისთვის განკუთვნილ დროს. მნიშვნელოვანია მიმდინარე პოლიტიკური გარემო თუ ეკონომიკური ფაქტორები. დასვენების დაგეგმვის მთავარი მოტივაცია ასევე მოქმედებს ტურისტის მიერ ტურისტული დანიშნულების ადგილის შერჩევაზე. მაგალითად, რუსთაზიდან თაფლობის თვეზე ჩამოსულ წყვილს გერმანელი ზურგანთიანი მოგზაურისგან განსხვავებული მოთხოვნები ექნება.

მგზაურობის დაგეგმვისას, მოგზაური ისეთ ტურისტული დანიშნულების ადგილს ირჩევს, სადაც მისი სურვილის შესაბამის გამოცდილებას მიიღებს. ეს გამოცდილება დაფუძნებულია ტურისტულ პროდუქტებზე. მოუხდავად იმისა, რომ ტურისტული პროდუქტი ტურისტული გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილია, ის მანიც არ არის ტურისტული დანიშნულების ადგილის მონახულების მთავარი მიზეზი.

### **მნიშვნელოვანი:**

- ✓ გამოიკვლიეთ საერთაშორისო ბაზრები და სეგმენტები, შექმნით შესაბამისი პროდუქტი;
- ✓ შეეცადეთ აითვისოთ კონკურეტული მიზნობრივი ბაზრები.



ნუ ეცდებით მრავალ ბაზარზე და ადამიანთა ჯგუფზე ორიენტაციას, ამან შეიძლება საბოლოო ჯამში ყველას უკმაყოფილება გამოიწვიოს;

- ✓ იმუშავეთ ამ სფეროში პარტნიორებთან ერთად თქვენი დესტინაციის ან რეგიონის ცნობადობის ასამაღლებლად.


## **გრძელ და მოკლე დისტანციაზე ვიზიტორები**

ტურისტების აღქმაზე ბევრ ფაქტორს აქვს გავლენა, მათ შორის მნიშვნელოვანია: ინფორმაცია ტურისტული დანიშნულების ადგილზე, მანძილი, რომელიც საჭიროა ლოკაციამდე მისალწევად, მედია დაფარვა, რეკლამა, მათთვის განკუთვნილი დასვენების დრო და ვიზიტის სიხშირე (ვიზიტი პირველია თუ განმეორებითი).

მოკლე დისტანციის მოგზაურებისთვის (მაგ. მეზობელი-ქვეყნები) საქართველო საკმაოდ მარტივად ხელმისაწვდომი ქვეყანაა. თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა პირადობის მოწმობით არის შესაძლებელი, ხოლო დანარჩენი მეზობელი ქვეყნებიდან მხოლოდ პასპორტის წარდგენაა საჭირო. მოკლე დისტანციის ვიზიტორები უფრო ხშირად მოგზაურობენ საქართველოში და შედარებით მცირე დროით ჩერდებიან ქვეყნაში. ხშირ მგზაურობასთან ერთად ისინი გამოცდილებასაც იძენენ, ამიტომ ამ კატეგორიას უფრო დამოუკიდებლად შეუძლია მოგზაურობის დაგეგმვა და მეტი ცოდნა გააჩნია საქართველოს ღირსშესანიშნაობების შესახებ. გრძელი დისტანციის ბაზრებისთვის (მაგ. ევროპა და ამერიკას შეერთებული შტატები) საქართველოში ვიზიტი უფრო მეტი ძალისხმევას, ფულს და დროს მოითხოვს. ბევრად უფრო რთულია მათთვის ქვეყნაში მგზაურობის დაგეგმვა და შესაძლოა, ჩამოსვლამდე ისინი საქართველოს ცხოვრებაში ერთხელ სანახავ ტურისტული დანიშნულების ადგილადაც მოიაზრებდნენ.

## **რა გავლენა აქვს კულტურულ იდენტობას მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე?**

მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კულტურულ იდენტობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. საერთაშორისო მოგზაურები, როგორც წესი, ერთსა და იმავე ღირსშესანიშნაობებს სტუმრობენ, მაგრამ ისინი სრულიად განსხვავებულ გამოცდილებას იძენენ. მაგალითად, აზიელმა ვიზიტორმა შეიძლება მოინახულოს სვეტიცხოველი და მის ფონზე სურათი გადაიღოს, ხოლო ამერიკელი დაინტერესდეს მისი ისტორიით. კულტურული იდენტობა განაპირობებს როგორც ტურებსა და აქტივობებზე, ისე საკვებასა და განთავსების საშუალებებზე მოითხოვნას. მაგალითად, გერმანელმა ვიზიტორმა შეიძლება მიითხოვოს არაპოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილის მონახულება. ამერიკელმა წყვილმა კი კომფორტული სასტუმროს ორადგილიანი ოთახი დაჯავშნოს.



# თურიზმის ღისტორიული ცისხავა


## რა არის ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა?

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა წარმოადგენს დამოუკიდებელი პიზნესების კომპლექსურ, გლობალურ ქსელს. იგი მოიცავს ყველა იმ არხს, რომლის საშუალებითაც საერთაშორისო მოგზაური ტურისტულ პროდუქტს იძენს. მაგალითად, შუამავლებს, რომლებიც საქართველოში ტურისტული გამოცდილების განვითარების, საპრომოციო და შესყიდვის პროცესში სპეციფიკურ როლს თამაშობენ (მაგ. შემომყვანი ტუროპერატორები, უცხოური ტუროპერატორები და ა.შ.). შუამავალი ტურიზმის სფეროში შეზღუდული მარკეტინგული ბიუჯეტის პირობებში მომხმარებელთა ბაზის გაფართოების კარგი საშუალებაა.

მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით პირდაპირი დაკავშირების ნაცვლად საერთაშორისო მოგზაურებს პროდუქტის დაჯავშნა შემდეგი სახით შეუძლიათ (იხ. დიაგრამა).

### მნიშვნელოვანი:


- ☒ განაწილების არხები და მომხმარებელთა მსყიდველობითი ქცევა სხვადასხვა ბაზრებს შორის განსხვავებულია, ამიტომ სამიზნე ბაზრისთვის საჭიროა სპეციფიკური დისტრიბუციის სისტემის სტრუქტურის გაგება.



## როგორ მუშაობს ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა მსოფლიოში?

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა ტრადიციულად ძალიან სტრუქტურიზებული იყო, სადაც თითოეულ რგოლს ცხადად განსაზღვრული ფუნქცია ჰქონდა. თუმცა, ონლაინ ტექნოლოგიებმა და კომპანიების შეწყვამამ დისტრიბუციის სისტემის სხვადასხვა სექტორებს შორის ფუნქციების ურთიერთ-შერევა გამოიწვია.

### ტრადიციული დისტრიბუციის არხები



დისტრიბუციის სისტემის ტრადიციული სტრუქტურა მოიცავს არსებულ შემომყვან ტუროპერატორებს (Inbound Tour Operators), საზღვარგარეთ დაფუძნებულ ბითუმად მოვაჭრეებს (Wholesalers) და საერთაშორისო საცალო ტურისტულ აგენტებს (International Retail Travel Agents), რომლებიც საერთაშორისო მომხმარებლებთან კავშირს უზრუნველყოფენ.

აღნიშნული სტრუქტურა მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებს შორის განსხვავდებულია. მაგალითად, შესაძლებელია, ბითუმად მოვაჭრე (Wholesaler) ოპერირებას უწევდეს ტურისტულ სააგენტოებსაც (Travel Agencies), რომლებიც მისი პაკეტების გაყიდვას ახორციელებენ.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების შედეგად ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ბევრი ტრადიციული ტურისტული დისტრიბუტორი, მათ შორის ბითუმად მოვაჭრე (Wholesaler) და ტურისტული აგენტი (Travel Agent) ონლაინ მიდგომას აქტიურად იყენებს. ასევე, გაიზარდა იმ ონლაინ ტურისტული სააგენტოების (Online Travel Agencies) რაოდენობაც, რომლებიც დამოუკიდებლად ოპერირებენ ონლაინ სივრცეში.

### შემომყვანი ტუროპერატორის (Inbound Tour Operators) ფუნქციები

შემომყვანი ტუროპერატორი (ITO) არის ადგილობრივ ბაზარზე დაფუძნებული ბიზნესი, რომელიც უზრუნველყოფს მარშრუტის დაგეგმვას და პროდუქტის შერჩევას. გარდა ამისა, ის კოორდინირებას უწევს რეზერვაციებს, დადასტურებს და გადახდებს უცხოელი კლიენტების ნაცვლად. შემომყვანი ტუროპერატორი მომხმარებელს სთავაზობს განთავსების კომპინენტებს, ტურებს, ტრანსპორტს და საკვებს, რაც სრულყოფილი მარშრუტის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით შემომყვანი ტუროპერატორი (Inbound Tour Operators) არის დამაკავშირებელი რგოლი ქვეყნის ტურისტულ პროდუქტებსა და უცხოურ ტურისტულ დისტრიბუტორებს შორის. ტურისტული დისტრიბუტორები სწორედ მათი საშუალებით ყიდულობენ ტურისტულ პროდუქტებს. უცხოური ტურისტული დისტრიბუტორები მოიცავენ: ბითუმად მოვაჭრეებს (Wholesaler), პირდაპირ გამყიდველებს (Direct Sellers), შევედრებისა და ლონისძიებების (Meeting Planners and Event Planners).

### ონლაინ ტურისტული აგენტების ფუნქციები (Online Travel Agents)

ონლაინ ტურისტული აგენტები სპეციალიზაციას ონლაინ დისტრიბუტორაზე ახდენენ და არ ჰყავთ შეამავლები. მათ პირდაპირი კავშირი აქვთ მომხმარებლებთან და ტურისტულ პროდუქტებთან. მომხმარებელს მათი საშუალებით შეუძლია სასურველი ტურისტული პროდუქტი ან სრული დასასვენებელი პაკეტი ინდივიდუალური რეზიდენციის შესყიდვის. ტურიზმის დისტრიბუციის ტრადიციული სისტემისგან განსხვავებით, ონლაინ დისტრიბუცია ნაკლებად სტრუქტურიზებულია და შესაბამისად განსხვავდებულია საკომისიოც, რომელიც საიტების მუშაობის ხარისხზეა დამოკიდებული.

ონლაინ ტურისტულ აგენტებთან თანამშრომლობის დაწყებამდე მნიშვნელოვანია გამოიკვლიოთ, როგორ ფუნქციონირებს საიტი და როგორ დაეხმარება იგი თქვენი პროდუქტის პოპულარიზაციის. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ მომზადდა სახელმძღვანელო „სამოგზაურო საიტებზე რეგისტრაციის გასავლელად“, რომელიც მეგზურობას გაგინევთ სხვადასხვა საერთაშორისო საიტზე რეგისტრაციის გავლის პროცესში.

### სწრაფი პმულები:

მოგზაურობის საიტებზე ტურისტული პროდუქტის შესახებ ინფორმაციის ატვირთვის ინსტრუქცია:  
[www.gnta.ge/instructions](http://www.gnta.ge/instructions)

### ბითუმად მოვაჭრეების (Wholesalers) ფუნქციები

ბითუმად მოვაჭრეები საქმიანობენ უცხოურ ბაზრებზე და ტრადიციულად შეამავალ რგოლს წარმოადგენენ ტურისტულ აგენტსა და შემომყვან ტუროპერატორს ან ტურისტულ პროდუქტს შორის. ისინი შეისყიდიან ადგილობრივი შემომყვანი ტუროპერატორების მიერ შექმნილ პაკეტებს შემდგომ ტურისტულ აგენტებზე და მომხმარებელზე რეალიზებისთვის. მათ პაკეტები და მარშრუტები შეიძლება თავადაც შეიმუშავონ. აღნიშნული ჩვეულებრივ მოიცავს: ტრანსპორტირებას, განთავსებას, ტურებს და ღირსშეანიშნაობებს.

ზოგ ბაზარზე ბითუმად მოვაჭრეები “პირდაპირი გამყიდვები” არიან და ტურისტული აგენტების გვერდის ავლით უკავშირდებიან მომხმარებლებს. სხვა ბაზრებზე ბითუმად მოვაჭრეები, ტრადიციული გაგებით, არ არსებობენ და ტურისტული აგენტები ირივე ფუნქციას ითვისებენ.

ტრადიციულად, ტურისტული პაკეტები გამოქვეყნებულია ბროშერებში, ხოლო მათი პოპულარიზაცია და მიწოდება საცალო ტურისტული ქსელის საშუალებითაა შესაძლებელი. ბითუმად მოვაჭრეები შეიძლება ოპერირებდნენ საკუთარი საცალო სავაჭრო ობიექტების სახით ან მუშაობდნენ ქვეყანაში არსებულ ტურისტული აგენტების ქსელთან. მრავალ მათგანს

ონლაინ წვდომაც აქვს. ბევრი ბითუმად მოვაჭრე სპეციალიზდება სპეციფიკურ სეგმენტზე, როგორიცაა სათავგადასავლო ტურიზმი.

## საცალო ტურისტული აგენტების (Retail Travel Agents) ფუნქციები

საცალო ტურისტული აგენტები მომხმარებელთა წარმომავლობის ქვეყანაში საქმიანობენ და პირდაპირი კავშირი აქვთ მათთან. ისინი მოგზაურებს ფართო არჩევანს და მოსახერხებელ სივრცეს სთავაზობენ დასასვენებელი ტურების საყიდლად და შეკვეთების განსახორციელებლად. ტრადიციულად, საცალო ტურისტული აგენტები უზრუნველყოფდნენ კავშირს ბითუმად მოვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის. თუმცა, სადისტრიბუციო ფუნქციების ინტეგრაციის პირობებში შესაძლებელია მათ პირდაპირი კავშირი ჰქონდეთ შემომყვან ტუროპერატორებთან ან ადგილობრივი ტურისტული პროდუქტის მფლობელებთან.

ბევრი საცალო აგენტი წარმოადგენს ტურისტული სააგენტოების ფართო ქსელის ან კონსორციუმის ნაწილს და მათი კომბინირებული რესურსების გამოყენებით იზრდება ტურისტული სააგენტოს ცნობადობა. ზოგიერთ ქვეყანაში საცალო აგენტები გაყიდვებს ბითუმად მოვაჭრების დავალებით ახდენენ ან კონკრეტულ საბაზრო სეგმენტებზე არიან კონცენტრირებული, როგორიცაა: განსაკუთრებული ინტერესების ან საოჯახო მოგზაურობის სეგმენტი. ბევრ საცალო აგენტს ონლაინ წვდომაც აქვს.

## შეხვედრების და წახალისებების მგეგმავების (Meeting and Incentive Planners) ფუნქციები

შეხვედრების და წახალისებების მგეგმავები შეხვედრების და ორნისძიებების ორგანიზებას ახდენენ, რომელიც მოიცავს: კონფერენციებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს, გამოფენებს და სხვა სპეციალურ ღონისძიებებს. წარმატლისებელი ტურები წარმოადგენს არაფულად ბონუსს სამსახურში კარგი შედეგებისთვის და შეიძლება მოიცავდეს კორპორატიულ შეხვედრას ან კორპორატიულ, გუნდურ აქტივობას. შეხვედრების და წახალისებების ორგანიზატორები საქმიანობისას თანამშრომლობენ მრავალ ტუროპერატორთან, განთავსების საშუალებასთან, რესტორანთან და სხვა ტურისტულ ობიექტებთან. შეხვედრების და წახალისებების მგეგმავები, აგრეთვე ცნობილი არიან, როგორც:

- პროფესიული კონფერენციების ორგანიზატორები;
- მიმართულების მართვის კომპანიები;
- კონფერენციების მენეჯერები;
- ღონისძიებების ორგანიზატორები;
- ტურისტული მომსახურების სრულყოფის კომპანიები;
- სპეციალური მენეჯერები;

## ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა საქართველოში

საქართველოში დისტრიბუციის სისტემის შედარებით მარტივი ფორმა ჩამოყალიბდა. მასში სულ სამი სუბიექტი მონაწილეობს: ტურისტული პროდუქტის მფლობელი, შემომყვანი და უცხოური ტუროპერატორი. ადგილობრივი ტურისტული პროდუქტის მფლობელებთან მოლაპარაკების გზით. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როცა ტურისტული პროდუქტის მფლობელები გამოხატვენ ინტერესს ტურისტულ პაკეტში თავიანთი პროდუქტის ჩასასმელად, რაც დამატებითი ვიზიტორების მოზიდვის კარგი საშუალებაა. ადგილობრივი შემომყვანი ტუროპერატორი შე-

მუშავებულ ტურ-პაკეტს ყიდის სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ ტუროპერატორებზე, რომლებიც გამყვან ტურიზმზე არიან ორიენტირებული. საქართველოს ბაზარზე სხვა უფრო მსხვილი (ბითუმად მოვაჭრე) შუამავლის მნიშვნელოვანი აქტივობა არ დაფიქსირებულა. უცხოური ტუროპერატორი ამ ჯაჭვის ბოლო რგოლს წარმოადგენს. იგი მოთხოვნას ხშირად ოპერირების ქვეყანაში იკვლევს, რის შემდეგაც პირდაპირ უკვეთავს მოთხოვნილ ტურებს საქართველოში.

## დისტრიბუციის არხები საქართველოში



უცხოურ ტუროპერატორებთან დაკავშირების მნიშვნელოვან გზას საერთაშორისო გამოფენებზე დასწრება წარმოადგენს, სადაც გამგზავრებას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უწევს ორგანიზებას. გარდა ამისა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახორციელებს უცხოური ტუროპერატორების სხვადასხვა ღონისძიებებზე მოწვევას, რაც კავშირების გაღრმავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა.

გამოკითხვებმა აჩვენეს საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ინტერნეტ საშუალებების პოტენციალის არასრულყოფილად გამოყენება და ონლაინ გაყიდვების თითქმის არარსებობა. ასევე, აღსანიშნავია სხვადასხვა მიზნობრივ ბაზარზე გასვლის ქაოტური ხასიათი და მარკეტინგული გეგმის უქონლობა.

უცხოური ტუროპერატორები დაინტერესებულები არიან შემომყვან ტუროპერატორებთან თანამშრომლობით, რადგან ეს უზრუნველყოფს:

- ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობას ქვეყანაში არსებული და ახალი ტურისტული გამოცდილების კუთხით;
- კონსულტაციების მარშრუტებზე და რჩევებს პროდუქტების პაკეტებზე;
- მუდმივ წვდომის ტურისტული პროდუქტების მრავალფენებაზე (ინდივიდუალურ მიმწოდებლებთან დაკავშირების აუცილებლობა აღარ არის);
- ხარისხის კონტროლში დახმარებას პირველწლიურობის უკუკავშირის საფუძველზე;
- ადგილობრივი საკონტაქტო პირის არსებობას უცხოელი დისტრიბუტორებისთვის, რომლებიც სტუმრობენ ქვეყანას.

ტურისტული პროდუქტის მფლობელები თანამშრომლობენ ტუროპერატორებთან, რადგან ეს უზრუნველყოფს:

- რეგულარულ კავშირს მრავალ ბაზართან;
- საერთაშორისო მომხმარებლების მოთხოვნების შესახებ გაფართოებულ ცოდნას;
- წვდომას საერთაშორისო ტურისტულ პარტნიორებთან, რასაც დისტრიბუციის ქსელის გაფართოება მოპყვება;
- კომუნიკაციისა და მეშვეობის მეტივების შესახებ.

## **ძირითადი რჩევები ტურისტული პროდუქტების მფლობელებს შემომყვან ტუროპერატორებთან მუშაობისას**

ბაზრის სიცირიდან გამომდინარე, საქართველოში შემომყვანი ტუროპერატორები თავად ახორციელებენ ბაზრის კვლევას ხარისხიანი და კარგი საფასო პოლიტიკის მქონე ტურისტული პროდუქტების აღმოსაჩინად. მიუხედავად ამისა, სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით მიზანშენონილია, ტურისტული პროდუქტის მფლობელმა თავად განახორციელოს საკუთარი პროდუქტის შეამავლის მოძიება. შემომყვანი ტუროპერატორები ხშირად სპეციალიზდებან კონკრეტულ შემომყვან ბაზრებსა თუ სეგმენტებზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, გამოიკვლიოთ შემომყვანი ტუროპერატორები, განახლითოთ მათი ბიზნესი და განსაზღვროთ, თუ როგორ მოერგება თქვენი პროდუქტი მათ პროგრამას. გარდა ამისა:

- გამოიკვლიერ ტუროპერატორები, მათი სამიზნე ბაზრები; შეესაბამება თუ არა თქვენი პროდუქტი აღნიშვნულ ბაზრებს;
- აწარმოეთ კომერციული მასალების კომპლექტი (pdf ფორმატში), პროდუქტის სიახლეების ამსახველი ბროშურები და სურათები;
- განაახლეთ ინფორმაცია თქვენს საიტზე მუდმივად;
- განათავსეთ ინფორმაცია სამიზნე ბაზრის ენაზე;
- სასურველია არ მოითხოვოთ წინასწარი გადახდები ან დეპოზიტები;
- უზრუნველყოთ ტუროპერატორის პერსონალი მუდმივად განახლებული ინფორმაციით, ჩაუტარეთ მათ ტრენინგები თქვენი პროდუქტის უკეთესად გასაცნობად;
- არ მოერიდოთ ტუროპერატორების სხვა კლიენტებთან საუბარს, მათი დადებითი რეპუტაციის დასადასტურებლად.

## **ძირითადი რჩევები შემომყვან ტუროპერატორებს უცხოურ ტუროპერატორებთან მუშაობისას**

მნიშვნელოვანია იმ უცხოურ ტუროპერატორებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, რომლებიც თქვენს სამიზნე ბაზრზე სპეციალიზდებან. აღნიშვნული შეიძლება მიღწეულ იქნას პროდუქტის მენეჯერებთან შეხვედრის ჩატარებით ან სავაჭრო ღონისძიებებში მონაწილეობით, რომელთა ორგანიზებასაც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პერიოდულად ახორციელებს.

მას შემდეგ, რაც განახორციელებთ თქვენი ტურის დისტრიბუციას უცხოური ტუროპერატორის საშუალებით, თქვენ უნდა უზრუნველყოთ ის მუდმივი ინფორმაციული განახლებით თქვენი პროდუქტის მონიცავე პოზიციების შესანარჩუნებლად. ამისთვის შესაძლებელია საინფორმაციო ბიულეტენების, კომერციული წინადადების და ფასდაკლებების გამოყენება. გარდა ამისა:

- მოახდინეთ უცხოური ტუროპერატორის ინფორმირება ყველა ახალ გაუმჯობესებასა თუ ცვლილებაზე თქვენს პროდუქტში;
- გამოიკვლიერ უცხოური ტუროპერატორების სამიზნე სეგმენტები თავიათ ქვეყანაში და მათი სადისტრიბუციო პარტნიორები;
- განსაზღვრეთ საკომისიოს ოდენობა თქვენს განაკვეთებში და ჩამოაყალიბეთ ნათელი წესები და პირობები;
- გაითვალისწინეთ მომხმარებლის დაცვის კანონის არსებობა ზოგიერთ ქვეყანაში; მაგალითად, ევროპაში და იაპონიაში არსებობს მომხმარებლის დაცვის მკაფიო კანონები, რომლებიც კომპანიებისგან ითხოვენ შეპირებული სტანდარტის უზრუნველყოფას.



# თურიზმის ინდუსტრიის კვლევის გამოყენება ბიზნესში

## რა უნდა ვიცოდეთ სტატისტიკის სწორად ინტერპრეტაციისთვის?

ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკმარისი ცოდნა კვლევის მეთოდოლოგიისა და ტერმინოლოგიის შესახებ მიღებული შედეგების სწორი ინტერპრეტირებისთვის. ნინაალმდეგ შემთხვევაში მათ შეიძლება არასწორი და ამავე დროს იმაზე მეტი ინფორმაცია მოითხოვონ ვიდრე ჭირდებათ, შედეგად კი არასწორი დასკნა გააკეთონ.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით ყველაზე ზოგად და ყოვლისმომცველ ტერმინს მოგზაურები წარმოადგენს. **მოგზაური** არის პირი, რომელიც გადაადგილდება გეოგრაფიულ ადგილებს შორის სხვადასხვა მიზნითა და ხანგრძლივობით. მოგზაურთა განშტოებაა ვიზიტორი. ეს სეგმენტი ყველაზე მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორში და დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სწორად განსაზღვრას. **ვიზიტორი** არის მოგზაური, რომელიც მგზავრობს მთავარი დანიშნულების ადგილისკენ ჩვეული გარემოს გარეთ, ერთ წელზე ნაკლები ვადით, ნებისმიერი მთავარი მიზნით (ბიზნესი, დასვენება, ან პირადი მიზანები), გარდა დანიშნულების ქვეყანაში ან დაინშნულების ადგილზე არსებულ დაწესებულებაში დასაქმებისა. ვიზიტორი (შიდა, გამყვანი ან შემომყვანი) კლასიფიცირდება როგორც **ტურისტი** (ან ვიზიტორი ღამისთვით), თუკი მისი მგზავრობა მოიცავს ღამისთვეას, ან როგორც **ერთდღიანი ვიზიტორი** (ანუ ექსკურსანტი) სხვა შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველ კვარტალურად ატარებს სწორედ ვიზიტორების მახასიათებლების დადგენის მიზნით ხორციელდება.

ტურიზმში ძირითადი კონცეფცია ინდივიდის **ჩვეული გარემო** განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული სივრცე (თუმცა არ არის აუცილებელი იყოს მოსაზღვრე), რომლის ფარგლებშიც ინდივიდი ანარმოებს რეგულარულ რუტინულ ცხოვრებას.


## სწრაფი ბმულები:

დანარჩენი მნიშვნელოვანი ტერმინების მოძიებისთვის ეწვევთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ელექტრონულ ბიბლიოთეკას, სადაც მსოფლიო ტურიზმის თრგანიზაციის პუბლიკაცია „International Recommendations for Tourism statistics 2008“ განთავსებულია ქართულად. [www.gnta.ge/publications](http://www.gnta.ge/publications)

## როგორი სახის კვლევაა ხელმისაწვდომი?

საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე შესვლისას კრიტიკულია სტატისტიკური მონაცემების და არსებული კვლევების შესახებ ინფორმაციის ფლობა. საქართველოში მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. ერთადერთი რისი ცოდნაც გჭირდებათ, თუ სად შეიძლება მათი მოძიება. დღესდღეობით ტურიზმის სტატისტიკის სისტემა ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა გარკვეული საქმიანობების სპეციალიზაცია შემჩნევა. ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი შემგროვებლები არიან: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეროვნული ბანკი.

## საქართველოში არსებული კონცეფციები (დაფუძნებულია მტო-ს რეკომენდაციებზე)



## კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო (ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია)

კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო სტატისტიკის ერთად თავმოყრაზე, ანგარიშების გამოშვებაზე და ანალიზზე მუშაობს, უშუალო კვლევითი საქმიანობა კი სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს გადაეცა. მოგროვებული ინფორმაცია უზრუნველყოფს მეცნიერებაზე დაფუძნებულ გადაწვეტილებებს, მარკეტინგს და ტურიზმის ინდუსტრიის ფუნქციონირებას საქართველოში. კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო ანდებს კერძო სექტორს მათვის საინტერესო ინფორმაციას ვიზიონრების მახასიათებლების, განთავსების, ავიაციის და ეკონომიკურ ინდიკატორების შესახებ. ის ასევე რეგულარულად ამზადებს ანალიტიკურ ანგარიშებს შემომყვანი, შიდა, გამყვანი ვიზიტორების შესახებ.

### სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახური პასუხისმგებელია სამ მნიშვნელოვანი კვლევის (საერთაშორისო, შიდა, გამყვანი ვიზიტორების კვლევა) განხორციელებაზე. ამ სამი კვლევის გარდა სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახორციელებს ტურიზმის წილის მთლიან შიდა პროდუქტი დათვლას, განთავსების საშუალებების მონაცემების შეგროვებას და ტურიზმში დასაქმების გამოაწევარიშებას.

### საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნულ ბანკს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურიზმის სტატისტიკის მომგროვებლებს შორის. ეროვნული ბანკი, რომელიც ანგარიშვალდებულია ქვეყნის საგადასახდე-

ლო ბალანსის მოგროვებაზე აქვს ინტერესი შეაგროვოს ტურიზმის აქტივობასთან ახლოს მდგარი კატეგორიები, როგორიცაა „საერთაშორისო მგზავრობა“ და „მოგზაურობის“ კატეგორია. საგადასახდელო ბალანსში არსებული კატეგორია „მოგზაურობა“ არის საფუძველი საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლების დასათვლელად.

### შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი ახდენს საზღვრის კვეთების აღწერას სპეციალური პროგრამის სამუშალებით, რომელიც საქართველოს ყველა სასაზღვრო გამშვებ პუნქტშია დამონტაჟებული. მისი საშუალებით შესაძლებელია უცხოელი ქვეყნის მოქალაქეების შემოსავლების და გასვლების რეგისტრაცია, რაც გარკვეული დაანგარიშების შემდეგ ტურისტული ინდიკატორების დათვლის საფუძველია.

### ტურიზმის სტატისტიკის სხვა შემგროვებლები

მნიშვნელოვანი სტატისტიკის მიღება ასევე შესაძლებელია შემდეგი ორგანიზაციებიდან:

- საქართველოს საავიაციო სააგენტო
- დაცული ტერიტორიების სააგენტო
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

### სწრაფი ბმულები:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

საქართველოს ეროვნული ბანკი  
[www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო  
[www.police.ge](http://www.police.ge)

ორგანიზაცია	სტატისტიკის სტატისტიკის ეროვნული ბანკი
ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია	<p>განთავსების საშუალებები - ტიპი, ოთახები, ადგილები, და სხვ, STR GLOBAL მშენებარე და ახალ აშენებული განთავსების საშუალებები - მშენებლობის დაწყების დასრულების დრო, ექსპლოატაციაში შესვლის თარიღი და სხვ.</p> <p>ტურ ოპერატორები - დასახელება, სპეციალიზაცია, საკონტაქტო ინფორმაცია კვების ობიექტები - საკონტაქტო ინფორმაცია</p> <p>კვლევები: გამორჩეული კვლევა, ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტების კვლევა, ტუროპერატორების კვლევა</p> <p>მეგამონაცემები: ავიაციის დაბრონილი ბილეთების სტატისტიკა (FORWARD KEYS), როუმერების სტატისტიკა</p>
სტატისტიკის ეროვნული სამსახური	<p>განთავსების საშუალებები - ოთახები, ადგილები, ტიპები და სხვ.</p> <p>ეკონომიკური ინდიკატორები: ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, დასაქმება, ინვესტიციები.</p> <p>კვლევები: საერთაშორისო, შიდა, გამყვანი ვიზიტორების კვლევა</p>
შინაგან საქმეთა სამინისტრო	<p>საერთაშორისო ვიზიტების სტატისტიკა - მოგზაურები, ვიზიტორები, ერთდღიანი ვიზიტორები და სხვ.</p>
საქართველოს ეროვნული ბანკი	<p>საერთაშორისო შემოსავლები - ბიზნეს მოგზაურების და პირადი მიზნით მოგზაურების შემოსავლები, უცხოელი საგადასახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები</p>

## ნუ ალფროვანდებით მაღალი შემოდინებით - გაითვალისწინეთ ყველა ფაქტორი

სტატისტიკის გაცნობისას მნიშვნელოვანია მათი პრაქტიკული და რეალისტური ანალიზი. მაგალითად, ტურისტული ბაზარი შეიძლება მაღალ პროცენტიან ზრდას აჩვენებდეს, თუმცა ამან არ უნდა აღვატროთოვანოთ. აუცილებელია, შეხედოთ საბაზო მაჩვენებელს და დაადგინოთ, თუ საიდან არის დათვლილი ზრდა. მნიშვნელოვანია რეალური ბაზრის ზომის დადგენა და შედარებითი ანალიზი სხვა ბაზრებთან, რომელიც შეიძლება შედარებით მცირედით იზრდებოდეს, თუმცა უფრო მაღალი საბაზო მაჩვენებელი ჰქონდეს. მაგალითად, განვიხილოთ ჩინეთიდან ვიზიტორების ზრდა. 2018 წელს ჩინეთიდან ვიზიტების რაოდენობა 75.2%-ით გაიზარდა, რაც შთამბეჭდავი ზრდაა, თუმცა, თუ შევხედავთ საბაზო მაჩვენებელს დავინახავთ, რომ ეს რიცხვი სულ რაღაც 18,178 შეადგენს. შედარებისთვის 2018 წელს უკრაინამ 4.2%-იანი ზრდა აჩვენა, თუმცა მისი საბაზო მაჩვენებელი 169,862 იყო.

ასევე დაიმახსოვრეთ, რომ მნიშვნელოვანია თქვენი პროდუქტის შესაბამისობის განხილვა თითოეული ბაზრისთვის. მაგალითად, უკრაინას მნიშვნელოვანი საბაზო მაჩვენებელი აქვს, თუმცა სანამ აღნიშნულ ბაზარზე კონკეტრაციას მოახდენთ დარწმუნდით, რომ თქვენი პროდუქტი ის გამოცდილებაა, რომელსაც ბაზარი ეძებს და რომ თქვენი პროდუქტი შესაბამისობაშია ბაზრის სატიროებებთან. შესაძლებელია უკეთესი უკუგების მიღება სხვა ბაზრიდან, რომელიც თქვენს პროდუქტს უკეთესად შეესაბამება. ამიტომ არ განიხილოთ სტატისტიკა იზოლაციაში.

მიზნობრივი ქვეყნიდან ვიზიტების ანალიზისას აუცილებელია მათი სხვადასხვა კატეგორიებით დიფერენცირება უფრო ცხადი სურათის მისაღებად. მაგალითად, ვიზიტები შეიძლება დაიყოს ისეთ კატეგორიებად, როგორიცაა: დასვენება, მეგობრების და ნათესავების მონახულება, ბიზნესი. ასევე, გამოიკვლიერთ თქვენი მიზნობრივი კატეგორიის საშუალო დანახარჯი და რაზე განხორციელდა აღნიშნული დანახარჯი. მაგალითისთვის განვიხილოთ უკრაინის სტატისტიკა:

თუ სასტუმროს მეპატრონე ხართ და მხოლოდ უკრაინიდან ჯამური ვიზიტების რაოდენობის ტენდენციაზე დაკვირვებით შემოიფარგლებით, მაშინ გამოგრჩებოდათ ინფორმაცია რომ 177,058-დან დასვენების მიზნით 65.9%, ხოლო ბიზნესის მიზნით 16.6% ჩამოდის. მნიშვნელოვანია ასევე მათი საშუალო ლამისთვეების რაოდენობა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მეგობრების და ნათესავების სეგმენტისგან. საერთაშორისო ვიზიტორების კვლევის ანალიზისას გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

- კატეგორია „მეგობრების და ნათესავების მონახულება“ და „განათლება“ ზრდიან მთლიან საშუალო ღამისთვეებს
- „მეგობრების და ნათესავების მონახულების სეგმენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანი ვიზიტორების საშუალო დანახარჯებზე და ღამისთვევაზე
- მეზობელ ქვეყნების ვიზიტებში ერთდღლიანი და განმეორებითი ვიზიტების წილი დიდია, რაც გავლენას ახდენს მათ მთლიანი ვიზიტების მახასიათებლებზე
- ქვეყანაში მიგრაციის მაჩვენებელი მეზობელი ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი ტურისტული მაჩვენებლების ანალიზისას

კვლევის შედეგების გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სანდოობას. რაც უფრო დეტალური ინფორმაციით დაინტერესდებით ვიზიტორების მახასიათებლების შესახებ, მისი სიზუსტე უფრო დაიკლებს. ეს გამოწვეულა შერჩევის რაოდენობის შემცირებით. შერჩევა არის მთლიანი რაოდენობის რაღაც ნაწილი, რომლის საშუალებითაც შეიძლება მთლიანის მახასიათებლები გავიგოთ. მაგალითად, როდესაც საქართველოს სტატისტიკის სამსახური ცდილობს ვიზიტორების მახასიათებლები დაადგინოს ყოველგვარტალურად ატარებს გამოკითხვას საზღვრებზე, სადაც თვეში 900-მდე ვიზიტორის კვლევას ახდენს. შემდგომ ამ შერჩევის განზოგადოება ხდება კველა არსებულ ვიზიტზე. თუ თქვენ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მახასიათებლები გაინტერესებთ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ შერჩევაში ამ ქვეყნის წარმომადგენელი კიდევ უფრო მცირე რაოდენობით იქნება მოხვედრილი. რაც უფრო მცირეა მოცემული ქვეყნის ვიზიტები შერჩევაში მთლიან რაოდენობასთან შედარებით, მით უფრო ნაკლებია მისი სანდოობა. საზოგადოებისთვის მხოლოდ მაღალი შერჩევის მქონე ქვეყნების მონაცემებია ხელმისაწვდომი ვებგვერდის საშუალებით.

### მნიშვნელოვანი:

- კვლევის მეთოდოლოგიის და რეგულარულად განახლებული ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვგბგვერდს, სადაც სტატისტიკური ინფორმაცია ყოველთვიურად ნახლდება. მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორებია: მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, გაზრების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანხმლები პირები, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმუფოფილების დონე, კროსტაბულაციური ანალიზი ხელმისაწვდომია პრეზენტაციის სახით. ასევე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ინტერაქტიული გრაფიკებითაც.

<https://public.flourish.studio/story/108565/>

უკრაინის ვიზიტორების შეკამება 2018	მთლიანი	დასვენება	ბიზნესი	მეგობრების და ნათესავების მონახულება	ტრანზიტი
ვიზიტები	177,058	65.9%	16.6%	11.4%	6.2%
ვიზიტები მთლიანი დანახარჯი	293,739,222	212,126,462	37,327,368	42,609,716	1,877,169
ვიზიტის საშუალო დანახარჯი	1,659	1,818	1,270	2,111	171
საშუალო ღამისთვევა	8.8	9	7.3	14.8	0.7
ვანმეორებითი ვიზიტები (წილი)	49.2%	35.5%	66.2%	88.8%	77.4%

## სამიზნე ბაზრების ანალიზი

სამიზნე ბაზრების იდენტიფიკაციისთვის ოთხსექტორიანი გრაფიკი გამოგადგებათ. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება (სხვა ტიპის ანალიზთან კომპინაციაში) კვლევებისა და დაგეგმვის სამართველოს მიერ მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიკაციისას. ის ცხადად აჩვენებს, თუ რომელი ქვეყნის რეზიდენტს საშუალოდ რა სახის კონტრიბუცია შეაქვს ეკონომიკში. ასეთი ანალიზის გასაკეთებლად სულ ორი მაჩვენებელია საჭირო: საშუალო დამისთვევების რაოდენობა და საშუალო დანახარჯები დამეში. ანალიზისას ასევე გამოიყენება საშუალო ტურისტული დანახარჯი, რომელიც ამ ორი ინდიკატორის ნამრავლია:

**საშუალო დამისთვევების რაოდენობა X საშუალო დანახარჯი დამეში = საშუალო ტურისტული დანახარჯი.**

მოცემულ გრაფიკზე ორდინატა გვიჩვენებს დანახარჯს ერთ დამეში, ხოლო აპსცისა წარმოგვიდგენს საშუალო დამისთვევების რაოდენობას. ლერძების გადაკვეთის წერტილი წარმოადგენს საშუალო მაჩვენებელს. მაგალითად, ორდინატა ლერძის გადაკვეთის წერტილი მთლიან საშუალო დანახარჯს აღნიშნავს დამეში 238 ლარს, ხოლო აპსცისა ლერძის გადაკვეთის წერტილი მთლიან ტურისტულ საშუალო დამისთვევას 6.4. შედეგად, უფრო ჩრდილოეთი განლაგებული წერტილი იმის მიმანიშებელი იქნება, რომ ტურისტი უფრო მეტს ხარჯავს დამეში, ხოლო უფრო აღმოსავლეთით მდებარე წერტილი აჩვენებს ტურისტის საშუალოდ უფრო მეტ დამისთვევას საქართველოში. საქართველოს ეკონომიკაში საშუალოდ ყველაზე მაღალ ეკონომიკურ კონტრიბუციას სწორედ ის ქვეყნა ან სეგმენტი შეიტანს, რომელიც მაქსიმალურად ჩრდილო აღმოსავლეთით იქნება განლაგებული.

რა როლი აქვს გრაფიკში საშუალო ტურისტულ დანახარჯს? ანალიზისას უნდა გავიაზროთ, რომ რომელიმე X ქვეყნის რეზიდენტს, რომელიც რჩება მცირე დროით და ხარჯავს ბევრს შეიძლება ანალოგიური კონტრიბუცია ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაში, როგორც Y ქვეყნის რეზიდენტს, რომელიც რჩება დიდი ხნის

განმავლობაში, მაგრამ ხარჯავს მცირე თანხას ყოველდღურად. ორივე შემთხვევაში ამ ორი მაჩვენებლის ნამრავლი საშუალო ტურისტული დანახარჯია. აღნიშნული ეფექტის დასახახად ის ქვეყნები, რომლებსაც უფრო მეტი საშუალო ტურისტული დანახარჯი აქვს შედარებით დიდი ზომის წრით არიან აღნიშნულები.

## მნიშვნელოვანი:


ოთხსექტორიანი გრაფიკი გამოსადეგია უცხოური ქვეყნიდან ერთი ვიზიტის საშუალო ლირებულების საილუსტრაციოდ. მთლიანი ეკონომიკური ეფექტის სანახავად ქვეყნების მიხედვით მთლიან დანახარჯებს უნდა გაეცნოთ, სადაც რაოდენობრივი ეფექტი არის გადამწყვეტი.

## თავად გააკეთე კვლევა

გამოიყენე ყველა შესაძლებლობა საუკუთარი კვლევის გასაკეთებლად და ბაზრის შესახებ უკუკავშირის მისაღებად. მაგალითად, გამოიყენები (როგორიცაა ITB Berlin) ან ინდუსტრიის შეხვედრები (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით), საშუალებას იძლევა სხვა ინდუსტრიის წარმომადგნელებისგან მოიძიოთ თქვენთვის საინტერესო ბაზრის შესახებ ინფორმაცია. მაშინ როცა სტატისტიკური ინფორმაცია მნიშვნელოვანია ანალიზისთვის, ასევე სასარგებლო ინფორმაციას მიიღებთ ინდუსტრიის პარტნიორებთან კომუნიკაციით. მათ აქვთ შედაინფორმაცია, თუ რა ტენდენციები შეიმჩნევა ბაზარზე, რის საფუძველზეც მოგცემენ პრაქტიკულ რჩევებს. ყოველთვის ეცადეთ გაზარდოთ სანაცნობე წრე ინდუსტრიიდნ კონტაქტებით, რომელიც მნიშვნელოვანი ინფორმაციული რესურსი გახდება თქვენთვის.

გახსოვდეთ, რომ კვლევის მთავარი ლირებულება არა მის რაოდენობაში, არამედ მისი გამოყენების შესაძლებლობაში მდგომარეობს. კვლევას არავითარი ლირებულება არ აქვს, სანამ ის გადაწყვეტილების მისაღებად არ იქნება გამოიყენებული.

## მეზობელი ქვეყნების ანალიზი



## მეგამონაცემების გამოყენება ტურიზმში

მეგამონაცემების მრავალი წყარო ზომავს ადამიანების აქტივობას ან მობილობას. შედეგად სრულიად ლოგიკურია ტურიზმის სტატისტიკას, რომელსაც ანალოგიური ფუნქცია აქვს, მეგამონაცემების მთავარი გამომყენებელი გამხდარიყო. ქვემოთ მოცემული დიაგრამა მეგამონაცემების ყველაზე ხმირად განხილულ წყაროებს აჩვენებს.

გრაფიკზე მოცემული წყაროებიდან აღსანიშნავია საქართველოს წამყვანი პოზიცია ორი მიმართულებით: მობილური ქსელის ოპერატორების მონაცემების და ფრენის დაბრონვის სისტემების კუთხით.

მობილური ქსელის ოპერატორების მონაცემების გამოყენება შესაძლებელი გახდა ტურიზმის ადმინისტრაციის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტიური თანამშრომლობით. როუმერების შესახებ მრავალი ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან აღსანიშნავია (ქვეყნების ჭრილში ჩაშლის შესაძლებლობით): მონახულებული ადგილები, გავლილი მარშრუტი, ღონისძიებებზე დასწრება, საშუალო ღამისთვევები.

ფრენის დაბრონვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაცემები შეისყიდა კომპანია Forward Keys-სგან. შესყიდული ინფორმაცია საშუალებას იძლევა საქართველოს სხვადასხვა მიზნობრივი ბაზებისთვის დადგინდებს: დაბრონილი ბილეთების რაოდენობა, საშუალო ღამისთვევების რაოდენობა, საქართველომდე და საქართველოს შემდეგ მონახულებული ადგილები და სხვ.


საქართველოს წარმატება მეგამონაცემების გამოყენების კუთხით უმნიშვნელოვანესია. ბევრი მკლევარის შეფასებით მეგამონაცემები გრძელვადიან პერიოდში სრულიად ჩაანაცვლებს ტრადიციულ სტატისტიკურ მეთოდებს, რაც საქართველოს უპირატესობას მიანიჭებს.

### სწრაფი პმულები:

ევროსტატის პუბლიკაცია: „ტურიზმის სტატისტიკა: მეგამონაცემების ადრეული გამომყენებლები“

<https://ec.europa.eu/eurostat/documents/3888793/8234206/KS-TC-17-004-EN-N.pdf>

### მეგამონაცემების წყაროების ტაქსონომია



# თარიზების ცალილობის უცველებელობის

დღესდღეობით ტურიზმი მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობაა ქვეყნების უმრავლესობაში. მისი გავლენა ეკონო-  
მიკაზე მრავალხმრივია. ტურიზმი ეხმარება ადგილობრივ  
მაცხოვრებლებს გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეო-  
ბა, გაზარდონ შემოსავალი და დასაქმება, შექმნან ახალი  
პროდუქტები და ბიზნესები.

ტურიზმი განვითარებად ქვეყნებში, როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალება განსაკუთრებით აქტუალურია და არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი. ტურიზმს ბევრ სხვა ინდუსტრიებზე უფრო სწრაფად შეუძლია ეკონომიკური განვითარების წახალისება, საჭრო ფინანსური კაპიტალის გენერირება, ქვეყნის ცნობადობის გაზრდა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ტურიზმს ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვთ ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების გაზრდაში. შემოსავლების ნაწილი მიედინება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისკენ და სახელმწიფოს მკვეთრად სიღარიბის დაძლევაზე ორიგინტირებული ტურიზმის პოლიტიკის პირობებში სარგებლობას მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფები იღებენ. ეს შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის ტურიზმის საწარმოების დასაქმებით, ტურისტებისთვის საქონლისა და მომსახურების მიყიდვით ან მცირე საწარმოს ფუნქციონირებით.

ტურიზმი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური განვითარების საშუალებაა საქართველოს სოფლის მოსახლეობისთვის. ტურიზმი მათვის დამატებითი ფინანსური წყარო გახდა და სიცოცვის დამახსოვრებლის ინდუსტრიების (როგორიცაა

ფერმერობა და მესაქონლეობა) აღტერნატივა. თუმცა, აქაც არსებობს გარკვეული გამოწვევები. სოფლის მოსახლეობაში ტურიზმის ეკონომიკური განვითარების საშუალებად გამოყენების დამატებულებითი ფაქტორებია: ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების უკმარისობა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სოფლის მცხოვრებლების მიერ ტურიზმის ინდუსტრიაში საჭირო უნარების შესწავლაა.

საქართველოში ტურიზმის მნიშვნელობის გაზრდის კვალდაკვალ საზოგადოებაში ტურიზმის ეკონომიკური ეფექტების მიმართ ინტერესი სულ უფრო მზარდია. მათ აინტერესებთ ტურიზმის სექტორის ეფექტი ეკონომიკაზე. ტურიზმის ეკონომიკური სარგებლიანობის ანალიზი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობის ხაზგასმა საზოგადოებას, ბიზნესს და სახელმწიფოს ამ დარგის მიმართ მეტი პატივისცემით განაწყობს, რასაც საბოლოო ჯამში ტურიზმის სექტორისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებამდე ან სახელმწიფო პოლიტიკამდე მივყავართ.

რომელ ეკონომიკური ანალიზის ფორმებს იყენებენ  
ტურიზმში?

ჭურიზმში გადაწყვეტილებების დასასაბუთობლად ეკონომიკური ანალიზის სხვადასხვა ფორმებს იყენებენ. ეს ანალიზის ფორმები ხშირად დაპნეულობას იწვევს საზოგადოებაში მათი მსგავსების გამო. თუმცა ისინი სრულიად განსხვავებულ კითხვებზე სკრიმენ პასიტებს.

ეკონომიკური ანალიზის ფორმები

ეკონომიკური ეფექტის ანალიზი	ფისკალური ეფექტის ანალიზი	ფინანსური ანალიზი	მოთხოვნის ანალიზი
რა არის ტურიზმის აქტივობების კონტრიბუცია ეკონომიკაში?	რამდენად ფარავს ტურისტუ- ლი გადასახადები, პირდაპირი ანაზღაურება და სხვა წყარ- ოებიდან მიღებული შემოსავ- ალი დამატებით დანახარჯებს ინფრასტრუქტურაზე და სახელმწიფო სერვისებზე?	რამდენადაა შესაძლებელი მოცემული აქტივობიდან მოგების მიღება?	როგორ შეიცვლება ვიზიტორების რაოდენობა და ტიპი, ფასების, პრომოუშენის, კონკურენციის, ინფრასტრუქ- ტურის ხარისხისა და რაოდე- ნობის (ან სხვა ფაქტორის) ცვლილების შედეგად.
სარგებლიანობა დანახარჯის ანალიზი	ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი	გარემოზე ზემოქმედების შეფასება	ლირებულების ჯაჭვის ანალიზი
ალტერნატიული პოლიტი- კური გადაწყვეტილებიდან რომელი მოახდენს მეტი წმინდა სარგებლიანობის გენერირებას დროითა განმა- ვლობაში?	პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მიზანშე- წონილობის დადგენით უნდა იქნას თუ არა პროექტი განხ- ორციელებული?	რა არის მოცემული აქტივო- ბის ეფექტი გარემოზე. კერ- ძოდ კი სოციალურ, ეკონომი- კურ, ბიოლოგიურ, ფიზიკურ, და ეკოლოგიურ სისტემებზე.	რომელი რელევანტური მონაცილე მხარეები არსებობს ტრანზაქციების ჯაჭვის გას- წვრივ კონცეფციის შექმნიდან მის ნარჩოებამდე და შემდგომ მოხმარებამდე?

## ეკონომიკური ეფექტის ანალიზი ტურიზმში: პირდაპირი ეფექტი

ეკონომიკური ეფექტების ანალიზი დავიწყოთ ტურიზმის დანახარჯის ცვლილებით გამოწვეული „პირდაპირი ეფექტის“ მნიშვნელობის განმარტებით. პირდაპირი ეფექტი, როგორც სახელიდან ჩანს, თავად ტურისტულ დანახარჯს წარმოადგენს. ყოველი კვლევისათვის ტურიზმის ეფექტის გასაზომად საწყისი წერტილი ტურისტების დანახარჯები განთავსებაზე, საკვებზე, საყიდლებსა და სხვადასხვა ტურისტულ დანახარჯების კატეგორიებზე. აღნიშნულის შეფასებას ვახდენთ განსხვავებული ტიპის მოგზაურის მიერ განხორციელებული დანახარჯების შესაბამისად. საბოლოო ნაბიჯს კი პირდაპირი ეფექტების გამოთვლა წარმოადგენს ისეთ ცვლადებზე, როგორიც არის წარმოება, დასაქმება, შემოსავალი, ექსპორტი და გარემო.

### ტურიზმის სატელიტური ანგარიშები

ტურიზმის ეკონომიკური ეფექტების გასაზომად სხვადასხვა ორგანიზაციებმა (UNWTO, WTTC, OECD) ტურიზმის სატელიტური ანგარიშები შეიძლებავს, რომელიც ტურისტული ინდუსტრიების პირდაპირი ეკონომიკური ეფექტების გაზომვის საშუალებას იძლევა. ტურიზმის სატელიტური ანგარიშები კომპლექსური ინსტრუმენტია, რომელსაც მრავალი სტატის-

ტიკური მონაცემი ესაჭიროება სრული სურათის შესაქმნელად. უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ანალიზისათვის იყენებს საერთაშორისო დონეზე მიღებული ეროვნული ანგარიშების სისტემის პრინციპებს. ტურიზმის სატელიტური ანგარიშები მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ ცხრილებს, რომლებიც გვიჩვენებენ ტურისტული მომხარების სიდიდეს, ქვეყანაში განაწილებასა და მათ კონტრიბუციის ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტზე, დასაქმებასა და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ათი ცხრილი, რომელიც ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებს ქმნის, გამოყვანილია და დაკავშირებულია მიწოდების და გამოყენების ცხრილებთან. ეს არის აგრეგირებული ცხრილები, რომელიც ქვეყნებს შორის ჰომოგენურობის მიზნით არის შექმნილი. მათში ვიზიტორები დაყოფილია ორ ტიპად, პროდუქტები და ინდუსტრიები კი მოცემულია აგრეგირებულ კატეგორიებში.

### სწრაფი ბმულები:

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პუბლიკაცია ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებზე.

[https://unstats.un.org/unsd/publication/Seriesf/SeriesF\\_80rev1e.pdf](https://unstats.un.org/unsd/publication/Seriesf/SeriesF_80rev1e.pdf)

## ტურიზმის სატელიტური ანგარიშების ათი ცხრილი

**შემოყვანი ტურიზმის დანახარჯი - დაკავშირებულია არარზიდენტების დანახარჯებთან, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ (მათ შორის შესაძლებელია იყვნენ იმ ქვეყნის მოქალაქეებიც, სადაც ცხრილი იგება)**

**შიდა ტურისტული დანახარჯი - დაკავშირებულია რეზიდენტი ვიზიტორების დანახარჯებთან ქვეყნის შიგნით (როგორც შიდა მგზავრობა ან საერთაშორისო მგზავრობის წანილი)**

**გამყვანი ტურისტული დანახარჯი - დაკავშირებულია ქვეყნის რეზიდენტების დანახარჯებთან ქვეყნის გარეთ**

**საშინაო ტურისტული მოხმარება - დაკავშირებულია რეზიდენტი და არარზიდენტი ვიზიტორების მოხმარებასთან ქვეყნის ეკონომიკაში (როგორც შემომყვანი ტურიზმის დანახარჯის (ცხრილი 1) და შიდა ტურისტული დანახარჯის ჯამი (ცხრილი 2)).**

**ტურიზმის ინდუსტრიის და სხვა ინდუსტრიების წარმოების ანგარიშები - მიწოდების ცხრილია, რომელიც ტურიზმის დამახასიათებელი პროდუქტების და ტურიზმის ინდუსტრიებზე ფოკუსირებით მოიცავს ყველა პროდუქტს, რომელიც ეკონომიკაში და სხვა ინდუსტრიებშიც ცირკულირებს**

**მთლიანი შიდა მიწოდება და საშინაო ტურისტული მოხმარება - წარმოადგენს მთლიან შესამებას საშინაო ტურიზმის მოხმარების შიდა მიწოდებასთან**

**ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმება - ეს ცხრილი აჩვენებს ტურიზმთან დაკავშირებულ ინდუსტრიებში დასაქმებას**

**ტურიზმის და სხვა ინდუსტრიების ტურიზმის წმინდა ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება**

**ტურიზმის კოლექტური მოხმარება პროდუქტებისა და სახელმწიფო დონეების მიხედვით - დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ არასაბაზრო სერვისების შეთავაზებასთან (მაგ: კანონმდებლობა, წესრიგი და უსაფრთხოება, საგადასახადო სტიმულირება ან ტურიზმის მხარდამჭერი სუბსიდიები) ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად**

**არამონეტურული ინდიკატორები - გვთავაზობს მცირე რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომელიც წინა ცხრილებთანაა დაკავშირებული და მნიშვნელოვანია მოწეტარული ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის. ინდიკატორები მოიცავენ ვიზიტორების ტიპებს, გაჩრების საშუალო ხანგრძლივობას, განთავსების საშუალებების ტიპების შესახებ ფიზიკურ ინდიკატორებს, არარზიდენტების მიერ გამოყენებული ტრანსპორტის სახეობების შესახებ ინფორმაციას ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე მგზავრობის დროს.**

## ტურიზმის მეორადი ეკონომიკური ეფექტები

პირდაპირი ეფექტების გარდა, ტურისტულ დანახარჯებს სხვა ეფექტებიც აქვთ. მაგალითად, ტურისტები მოგზაურობისას ფულს განთავსების საშუალებებზე ხარჯავთ (პირდაპირი ეფექტი), ხოლო ეს უკანასკნელი კი ტურისტების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დანახარჯს ეწევიან ოპერირებისთვის საჭირო თეთრეულზე, შემპუნსა და სხვა რესურსებზე. აღნიშნული წარმოადგენს ტურიზმის „არაპირდაპირ ეფექტს“. ასევე მნიშვნელოვანია „მასტიმულირებელი ეფექტი“. ტურისტული დანახარჯები სტიმულს აძლევს სასტუმროებს, რესტორნებს და სხვა სერვისის მიმწოდებლებს დაიქირავონ მუშახელი და გადაუხადონ მათ ხელფასები. მუშახელი მიღებულ შემოსავალს ხარჯავს საჭმელზე და სხვა სამომზმარებლო საქონელზე.

რაც უფრო იზრდება ტურისტული სექტორი, მით უფრო დიდია მისგან მიღებული შემოსავალი, რომელიც თავისთავად ინვესტიციების გაზრდილ სამომზმარებლო დანახარჯებს. პროცესი დაწყებული პირველადი ეფექტიდან მასტიმულირებელ ეფექტამდე ერთ სიტყვაში - „მულტიპლიკატორს“ ეფექტის კონცეფციით შეიძლება გავაერთონთ. ტერმინი „მულტიპლიკატორი“ ეკონომიკაში საბოლოო პროდუქციის ცვლილების ალსაწერად გამოიყენება, რომელიც ვიზიტორის დანახარჯში პირველად ცვლილებით არის გამოწვეული. მულტიპლიკატორის კონცეფცია ცენტრალურია ტურიზმის ეფექტების ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას. რაც უფრო დიდია მისი მნიშვნელობა, მით მეტი გავლენა ექნება ვიზიტორის დანახარჯს მთლიანად ეკონომიკაზე.

მულტიპლიკატორის ეფექტის განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ ეტაპზე ვიზიტორების დანახარჯების რაღაც ნანილი იკარგება. აღნიშნული გამოწვეულია იმპორტირებული საქონლის და მომსახურების გამოყენებით. გარდა ამისა, დანაკარგს ადგილი აქვს მასტიმულირებელ ეფექტის დროსაც, როდესაც მოსახლეობა დანაზოგის სახით ინახავს ტურიზმისგან მიღებულ შემოსავალს. ასეთ დანაკარგებს „გაუნვას“ უწოდებენ. გაუნვას ხდება მაშინ, როცა ტურიზმის შემოსავალი, რომლის გენერირებაც ერთ ტურისტულ ადგილას ხდება იხარჯება სხვა საზოგადოებაში. მაგალითად, ვიზიტორმა შეუკვეთა თევზი ლანჩისთვის ადგილობრივ რესტორნში. თუ თევზი ადგილობრივად დაჭრილი არ არის, მაშინ რესტორანი უცხოელს უხდის ფულს და მისი გაუნვას ხდება. გაუნვას ასევე აქვს ადგილი, თუ სასტუმროს მფლობელი ადგილობრივი არ არის. ამ შემთხვევში მოგება სასტუმროს ოპერაციებიდან ადგილობრივი ეკონომიკიდან გაედნება. გაუნვის სხვა მაგალითია ტურიზმის ბიზნესების მიერ არალოკალურების დასაქმება, რომლებიც აგზავნიან ან ხარჯავენ ფულს თავის სამშობლოში.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია გამოყოფს რამდენიმე საიმპორტო დანახარჯის კატეგორიას, რომელიც მათი აზრით გაუნვის მთავარ მიზეზს წარმოადგენს:

- მასალებისა და ტექნიკის იმპორტი შენებლობისთვის;
- მოკლევადიანი მოხმარების საქონლის იმპორტი, როგორიცაა საკვები და სასმელი;



პირდაპირი ეფექტი

• ტურისტული დანახარჯი

არაპირდაპირი ეფექტი

• შედა ინდუსტრიული დანახარჯი

• შემოსავლის უცხოელების მიერ რეპატრიაცია;

• მოგების უცხოელების მიერ რეპატრიაცია;

• უცხოურ სესხებზე პროცენტის გადახდა;

• მარკეტინგული დანახარჯები საზღვარგარეთ.

გაუნვა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა განვითარებადი ქვეყნების ტურიზმი და მათ შორის საქართველოშიც. ასეთ ქვეყნებში სხვა მიზეზებთან ერთად არასტულფასოვანი ეკონომიკური სტრუქტურა შეიძლება გაუნვის მთავარ მიზანზე დაგასახლოთ. ქვეყნები ხასიათდებიან ლიმიტირებული ეკონომიკური დივერსიფიკაციით, ადგილობრივი ინდუსტრიებს არ შეუძლიათ გაზრდალი ტურისტული მოხმარების დაკმაყოფილება და არსებობს კაპიტალის უკმარისობა ადგილობრივებს შორის ინვესტირებისთვის. ეს პრობლემები კი ინვესტ იმპორტის დიდ მოცულობას და უცხოური ინვესტიციების აუცილებლობას, რაც საბოლოო ჯამში გაზრდილ გაუნვაში გამოიხატება.

განსხვავებული განმარტებებისა და გაუნვის გაზომვის მეთოდოლოგიების გამო ამ მაჩვენებლის შედარება ქვეყნებს შორის გართულებულია. თუმცა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ზემოთ ნახსენებ ექვს ფაქტორზე დაყრდნობით განსაზღვრავს, რომ გაუნვას წილი პატარა კუნძულოვან განვითარებად ქვეყნებში 40%-დან 50%-მდე მერყეობს, ხოლო დიდ და უფრო დიფერენცირებულ ეკონომიკის მქონე ქვეყნებში 10%-ზე ნაკლება.

ზემოთ მოცემული განმარტებებიდან გამომდინარე, მულტიპლიკატორის მნიშვნელობა ეკონომიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელის ფუნქციაა.

- მცირე ეკონომიკას ექნება უფრო პატარა მულტიპლიკატორი, ვიდრე დიდს, ვინაიდან მცირე ეკონომიკები საქონელზე და მომსახურებაზე უფრო იმპორტდამოვიდებული არიან.
- საზოგადოებაში, სადაც ბიზნესის მფლობელები მოცემული ქვეყნის გარეთ ცხოვრობენ, ექნებათ უფრო მცირე მულტიპლიკატორები მოგების გაუნვის გამო. საზოგადოება, სადაც ტურიზმის დაგალიბების მაღალი მაჩვენებელი აქვს გარებან მსესხებელ ინსტიტუტებზე, ასევე დაბალი მულტიპლიკატორებით ხასიათდება.
- გადასახადის დონეც მნიშვნელოვანი გაუნვას ელემენტია. რაც უფრო დიდია გადასახადის დონე, მით უფრო მცირეა ტურიზმის მულტიპლიკატორი. რა თქმა უნდა სახელმწიფო შემოსავლები ხანდახან შესაძლოა საზოგადოებაში რეგისტრირებულიც იყოს ტურიზმის მარკეტინგის და ინფრასტრუქტურის საშუალებებით, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტურიზმის ინდუსტრიის გაზრდას. თუმცა გადასახადების სახით იკარგება ფული, რომელიც შეიძლება რეინვესტირებული ყოფილიყო ადგილობრივი ბიზნესებში და ამით გაზარდა ადგილობრივი ტურიზმის სექტორის მთლიანი შემოსავალი.
- აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარკეტინგულ დანახარჯების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია იმპორტს მიაკუთვნებს.

მასტიმულირებელი ეფექტი

• დანახარჯი დასაქმებულების ხელფასზე

## დანახარჯები-გამოშვების მოდელი

დანახარჯები-გამოშვების მოდელი პირველად ლეონტიევმა განაცითარა 1940 წელს, რისთვისაც 1973 წელს ნობელის პრემიაც მიიღო. 1953 წელს კი იზარდმა და კუენმა მოდელი ეკონომიკური ეფექტების ანალიზისთვის გამოიყენეს.

დანახარჯები-გამოშვების მოდელი აღწერს ინდუსტრიებს შორის შემოსავლების დინებას. ეს დინებები აჩვენებს, თუ რომელმა ინდუსტრიის რა უნდა შეისყიდოს ყველა დანარჩენი ინდუსტრიებისგან, რომ ანარმონს ერთი ლარის (ან სხვა რომელიმე ვალუტა) ღირებულების პროდუქცია. დანახარჯები-გამოშვების მოდელის საფუძველს წარმოადგენს დანახარჯები-გამოშვების ცხრილი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას მატრიცული ფორმით აჩვენებს. მოდელი იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას მნარმობლებს და მომხმარებლებს შორის ტრანზაქციების შესასწავლად ეკონომიკაში. მისი ანალიზის მთავარი სიძლიერე მდგომარეობს უნარში წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია ვიზიტორის დანახარჯების პირდაპირი, არაპირდაპირი და მასტიმულირებელი ეფექტების შესახებ ყველა ეკონომიკურ მაჩვენებელზე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებთან მიმართებაში. საქართველოში მოდელების

ფორმირება დანახარჯების გამოშვების მოდელის შემუშავებით უნდა დაიწყოს, რომელიც შემდგომ ისეთი მოდელების ფორმირებას შეუწყობს ხელს, როგორიცაა სოციალური ანგარიშების მატრიცა და გამოთვლითი საერთო წონასწორობის მოდელები. საქართველოში შეზღუდული ინფორმაციის პირობებში სრულყოფილი მოდელის აგება ამ ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა მოდელის აგება გარკვეული დაშვებებით უკვე განხორციელდა ნაშრომში „ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები“.


### სწრაფი ბმულები:

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პებლიკაცია ტურიზმის მეორად ეფექტებზე

<https://www2.unwto.org/agora/indirect-impact-tourism-economic-analysis>

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ელექტრონული ბიბლიოთეკა: სამცნიერო ნაშრომი „ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები“.

[www.gnta.ge/ge/publication/ტურიზმის-განვითარების-ეკ/](http://www.gnta.ge/ge/publication/ტურიზმის-განვითარების-ეკ/)



# ბანთავსების სამუალებების ბიზნესის განვითარება

## რა არის განთავსების საშუალება?


განთავსების საშუალება მომხმარებლებისთვის ღირებულებას ქმნის მოკლევადიანი საცხოვრებლის უზრუნველყოფით მისი ჩვეული საცხოვრებელი ადგილის გარეთ, მაგალითად, სასტუმროები, პოსტელები, სანოლი და საუზმის (Bed & Breakfast) და სხვა ტიპის განთავსების საშუალებები.

განთავსების საშუალებებზე მოთხოვნა ძირითადად იქმნება ორი ძირითადი ტიპის დასვენების და საქმიანი მიზნით მოგზაურებისაგან. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემებით პირველი კატეგორიის მოგზაურებისგან მოთხოვნა 74%-ია, ხოლო მეორესგან - 15%. განთავსების საშუალებებზე მოთხოვნა ცვალებადობით ხასიათდება სხვადასხვა პერიოდში. ბიზნეს კატეგორიის მოთხოვნა შედარებით მაღალია სამუშაო დღეების განმავლობაში და შედარებით დაბალი შაბათ-კვირას, ხოლო დასვენების მიზნით მოგზაურებისთვის პირიქითაა. მთლიანობაში ორივე კატეგორიის მოთხოვნა ყველაზე ნაკლებია კვირას, ხოლო პარასკევს და შაბათს ყველაზე მაღალი. ორივე კატეგორიის მოთხოვნა პირველ კვარტალში დაბალია. ამასთან, დასვენების კატეგორიის მოთხოვნა განსაკუთრებით დიდია ზაფხულის თვეებში.

## რა ტიპის ბიზნესის წარმოებაა შესაძლებელი განთავსების საშუალებების ბაზარზე?

განთავსების საშუალებების ბაზარზე ბიზნესის წარმოება სამი სახით არის შესაძლებელი: (1) საკუთრების ან უძრავი ქონების ფლობა, (2) განთავსების ოპერაციების მართვა, და (3) განთავსების საშუალებების ბრენდის ფრენშაინგი.

## ბიზნესის წარმოების სამი სახე:



განთავსების საშუალებების ინდუსტრია ამ კუთხით მნიშვნელოვნად განსხვავდება ტურიზმის სხვა სფეროებისგან. მაგალითად, ავიაციის ინდუსტრიაში მსხვილი კომპანიების უმრავლესობას თვითმფრინავი საკუთრებაში ჰყავს ან ლიზინგს ახორციელებს და ოპერირებას უნივერსალურ საკუთარი ბრენდის სახელით. განთავსების საშუალების შემთხვევაში კი, სასტუმროს ქონების მესაკუთრე, ოპერაციების მენეჯერი და ფრენშაინგის მფლობელი სამი სხვადასხვა ფირმა შეიძლება იყოს.

მარიოტი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრენდია განთავსების საშუალებების ინდუსტრიაში. 1998 წელს მარიოტი ორ კომპანიად გაიყო: Marriott International და Host Marriott Corp. (2006 წელს მისი სახელი გადაკეთდა Host Hotels & Resorts, Inc.). გაყოფამდე მარიოტი ინტერირებული განთავსების კომპანია იყო, რომელსაც მისი ბრენდის სასტუმროები საკუთრებაში ჰქონდა და ოპერირებას უწევდა. გაყოფის შემდეგ კი Host Marriott Corp-ს საკუთრების ფლობა, ხოლო ახალ Marriott International-ს ფრენშაინგის და მენეჯმენტის ფუნქცია დაეკისრა. განთავსების საშუალებების ბაზარზე საკუთრების უფლების, სასტუმროს ოპერაციების და ფრენშაინგის გაყოფის კიდევ პევრი მაგალითი არსებობს.

## უძრავი ქონების ფლობა

საკუთრების ფლობა არის განთავსების საშუალებების ბიზნესის უძრავი ქონების ნაწილი. ამ შემთხვევაში მესაკუთრე შეიძლება იყოს კომპანია ან ინდივიდუალური პირი. ისმის კითხვა: თუ კომპანია, რომლის სახელიც აწერია განთავსების საშუალებას არ ფლობს შენობას, მაშინ ვინ ფლობს მას? შენობის მაღალი ფასის გამო ხშირად შენობის საკუთრებაზე წილები ძლიერ დაფრაგმენტებულია და რომელიმე ერთი მესაკუთრის იდენტიფიკირავია რთულდება.

სასტუმროს ქონების ფლობა ორი სახით არის შესაძლებელი: არსებულის ყიდვა ან ახალი სასტუმროს აშენება. ძირითადად კომპანიები ეძებენ არსებულ სასტუმროებს მაღალი ხარისხის ქონებით, ინვესტიციაზე კაპიტალი უკუგებით. თუმცა ზოგი მყიდველი პირიქით, ეძებს ქონებას შემოსავლების მიღების კარგი პერსპექტივით, რაც უნდა მოჰყვეს განახლებას, რებრენდინგს და ახალი მენეჯმენტის გუნდის დაქირავებას.

შესყიდვის და განახლების შესაძლებლობები შეიძლება აღმოცენდეს ამჟამინდელი მფლობელებისგან, რომლებიც არაადეკვატურ კაპიტალს ფლობენ. სასტუმროს ქონებას მნიშვნელოვანი მიმდინარე ინვესტიციები სჭირდება სარემონტო თუ პერიოდული მოდერნიზაციისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მფლობელები ან ოპერატორები ვერ მოახერხებენ ამ ხარჯების განევას, მათ საკუთრებას პრობლემები შეექმნება, რაც თავის მხრივ, შექმნის შესაძლებლობას გაუმჯობესებისთვის, ბაზარზე რეპოზიციონირებისთვის და გაზრდილი ფასებისათვის.

მეორე აღტერნატივა არის სასტუმროს აშენება. ხშირ შემთხვევაში ინდივიდი ან კომპანია, რომელსაც ახალი სასტუმროს აშენების სურვილი აქვს საკუთარ ფულს (საკუთარ კაპიტალს) იჩდის და იღებს იპოთეკურ სესხს ბანკისგან.

განთავსების საშუალებების ახალი მშენებლობები მნიშვნელოვანი ციკლურობით ხასიათდება. უკანასკნელი წლების განმავლობაში ახალმა მშენებლობებმა გაიარეს აღმავლობის და ჩავარდნის ხანგრძლივი პერიოდები. ახალი სასტუმროების დიზაინის შექმნასა და მშენებლობას მრავალი წელი სჭირდება. საკმაოდ დიდმა მოსაცდელმა პერიოდმა მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებასა და გახსნას შორის შეიძლება პრობლემები გამოიწვიოს, რადგან საბაზო მიწოდების და მოთხოვნის პირობები

ამ დროის განმავლობაში სავარაუდოდ შეიცვლება. ციკლის ერთი ნაწილი არის აღმავლობის პერიოდი, როდესაც არსებული სასტუმროები დიდ მოგებას იღებენ და ინვესტორები ახალი სასტუმროების აშენებას გეგმავენ. შემდეგ მოდის ჩავარდნის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოთხოვნა შედარებით ნაკლებია ან ახალი სასტუმროების გახსნის შედეგად მიწოდება იზრდება, რის გამოც სასტუმროები ნაკლებ მოგებას იღებენ.

## მნიშვნელოვანი:

უძრავი ქონების ფლობა კაპიტალტევადი საქმიანობაა. მსოფლიო ტენდენციები ცხადყოფს, რომ განთავსების საშუალებების ბრენდები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ინვესტიციებიდან ამონაგებს. შესაბამისად, ამჯობინებენ უძრავი ქონების შეძენის ნაცვლად ბრენდის ფრენშაზის მიცემით გაზარდონ საკუთარი მოგება.

## ფრენშაზინგი

ფრენშაზი არის ბრენდის სახელის გამოყენების უფლება პროდუქტის ან მომსახურების გაყიდვისთვის სპეციფიკურ ადგილას. ფრენშაზის მიმღების უფლება გამოიყენოს საქვეყნოდ ცნობილი ბრენდის სახელი, რომელიც მხარდაჭერილია რეკლამებით მასმედიაში და სხვა საპრომოციო საშუალებებში, მნიშვნელოვანი სარგებელია და განაპირობებს კომპანიის ნარმატულ ლპერიტებს. გარდა აღნიშნულისა ფრენშაზის მიმცემი ფირმები სთავაზობენ მიმღებებს შემდეგს: მარკეტინგულ სერვისებს, მენეჯმენტისა და თანამშრომელთა ტრენინგსა და ღირებულ რჩევებს სასტუმროს პერაციების შესახებ. ფრენშაზის გამცემები ცენტრალური რეზერვაციის სისტემების პერიოდებას ახორციელებენ, რაც ფრენშაზის მიმღებებს ტურისტულ აგენტებთან და სტუმრებთან კომუნიკაციის დამყარებაში ეხმარება.

ფრენშაზის მიმღები მნიშვნელოვან გადასახადს უზდის ფრენშაზის გამცემს ბრენდის გამოყენების და სერვისების სანაცვლოდ. საკონტრაქტო პირობები განსხვავებულია ფირმებს შერის. ძირითადად სასტუმრო იხდის ერთჯერად გადასახადს და მუდმივ როიალტის გადასახადს (*royalty fee*), რომელიც სასტუმროს ოთახის წმინდა შემოსავლის ფიქსირებული პროცენტია. Marriott International-ის შემთხვევაში მუდმივი როიალტის გადასახადი ოთახის შემოსავლის 4%-დან 6%-მდე მერყეობს, თუმცა რიგ შემთხვევაში ემატება 2-3% საკვებისა და სასმელის შემოსავლიდან. ფრენშაზის მიმღებები ასევე იხდიან დამატებით გადასახადს საპრომოციო პროგრამების და კომისიუტერული სარეზერვაციო სისტემების გამოყენების ხარჯების დასაფარად.

ტრადიციულად, ევროპაში სასტუმროებს ოჯახები ფლობდნენ და მათ პერიოდებას ახდენდნენ. ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია Ritz პარიზში, რომელიც Cesar Ritz-ის საკუთრებაში იყო და თვითონვე უწევდა პერიოდებას. ევროპული სასტუმროები, როგორც წესი, სასტუმროს სახელს ოჯახისგან გამომდინარე არქევდნენ. ბოლო პერიოდში, მას შემდეგ რაც ევროპულმა სასტუმროებმა ამერიკულ მოდელზე გადასვლა დაიწყეს, ეს პრაქტიკა შეიცვალა. ამჟამად ისინი სასტუმროების ბრენდიორებას საერთაშორისო დონეზე ცნობილი ბრენდებით ახდენენ. რა თქმა უნდა Ritz თვითონაც გახდა მთავარი ბრენდი. ის ასევე გვხდება Ritz-Carlton-ის სახელით, რომელიც Marriott International-ის მფლობელობაშია.

მარკეტინგულ წარმომადგენლებს და ასოციაციებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ბრენდის იდენტიფიკაციაში. მარკეტინ-

გული კომპანიები აკავშირებენ დამოუკიდებელ სასტუმროებს ერთობლივი მარკეტინგული ოპერაციებისა და ცენტრალური რეზერვაციის სისტემის საშუალებით. ისინი ოპერირებენ მთელ მსოფლიოში და მოიცავენ საუკეთესო განთავსების საშუალებებს. რამდენიმე მნიშვნელოვანი ამ ოპერატორებიდან მოიცავს:

- Utell;
- Best Western;
- Leading Hotels of the World;
- Preferred Hotels and Resorts Worldwide;
- Relais & Chateaux.

## მნიშვნელოვანი:

Capitol HPS მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქსელის, Best Western Hotels & Resorts-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. Best Western Hotels & Resorts დღეისათვის 100-ზე მეტი ქვეყნის 4,100-ზე მეტ დამოუკიდებელ სასტუმროს აერთიანებს. ქსელში გაერთიანებით დაინტერესებული სასტუმროებისთვის მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [www.capitolhps.com/ka](http://www.capitolhps.com/ka)

## ოპერაციების მენეჯმენტი

განთავსების საშუალებების ბიზნესის მესამე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც უშუალოდ ვეხებით, როგორც მომხმარებლები, არის სასტუმროს ოპერაციების მენეჯმენტი. მენეჯმენტის ფირმები, რომლებიც ხშირად არ ფლობენ სასტუმროებს, სადაც ისინი ოპერირებენ, მუშაობენ იმისთვის, რომ ძირითადი სასტუმროს ოპერაციები კარგად იყოს შესრულებული და სტუმრები კმაყოფილები დარჩნენ. ზოგიერთი სასტუმროს შემთხვევაში, როგორიცაა Hilton, ინტეგრირებული კომპანიები შეიძლება ფლობდნენ ბრენდს, საკუთრებას და ახორციელებდნენ ამ მნიშვნელოვანი მენეჯმენტის მენეჯმენტის მენიშვნელობის შემთხვევაში.

სასტუმროს მენეჯმენტის ფირმები იღებენ რეზერვაციებს, სტუმრებს, ამონმებენ ოთახების მზაობას სტუმრების მისაღებად, ემსახურებიან ოთახებს, იღებენ მომხმარებლების გადახდებს, და ა.შ. ახალი სასტუმროს გახსნამდე ამ მნიშვნელობის მისი მენეჯმენტის განსახორციელებლად და მოახდინოს მათი მუდმივი ტრენინგი. პერსონალი ყველაზე მაღალი ხარჯია სასტუმროსთვის და როგორც წესი, სრული სერვისის მქონე სასტუმროს ორ ოთახზე ერთი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. სასტუმროს მენეჯმენტის მთავარი ოპერაციები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ კატეგორიებს:

- ადმინისტრაცია (აღმასრულებელი მენეჯმენტი, აღრიცვა, ადამიანური რესურსები);
- გაყიდვები (ბიზნესი, ჯგუფები, კონვენციები);
- ფრონტ დესკი (სტუმრების სერვისი, კონსიერჟი);
- საოჯახო მეურნეობა;
- ინფინერია (გათბობა, ვენტილაცია, კონდიცირება, ლიფტები);
- უსაფრთხოება;
- საკვება და სამედი (მთლიანი სერვისის მქონე სასტუმროებისთვის).

განთავსების მენეჯმენტი მოიცავს ქონების ადმინისტრირებას, რაც ცნობილია როგორც „ბექ ოფის“. ბექ ოფისი ახორციელებს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ფუნქციებს, რომელსაც მომხმარებელი, როგორც წესი, ვერ ხედავს, მათ შორისაა: აღრიცხვა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მარკეტინგი და სხვა მთავარი ბიზნესი ფუნქციები.

განთავსების ოპერაციებიდან ყველაზე ცნობად ამ მნიშვნელოვანი

ფრონტ დესკი ახორციელებს, რომლის ფუნქციაშიც შედის სტუმრების დახვედრა, ხელბარგის ატანა, მომზმარებლის მოთხოვნების გათვალისწინება და სხვა მომსახურების საკითხები. სასტუმროს მენეჯერებმა ასევე ყურადღება უნდა მიაქციონ უსაფრთხოებას. დიდ სასტუმროებს, როგორც წესი, უსაფრთხოების სამსახურიც აქვთ. სასტუმროებში ასევე ფუნქციონირებს გაყიდვების სამსახური, რომლის ამოცანაა ადგილობრივ ბიზნესებთან, სამოგზაურო აგენტებთან, ტუროპერატორებთან, შეხვედრების ორგანიზატორებთან და სხვა ორგანიზაციებთან კონტაქტი სასტუმროს ნომრების გაყიდვის მიზნით.

განთავსების საშუალებების ინდუსტრია საკუთარი სერვისებს სხვა ტურიზმის ინდუსტრიის სუბიექტების მსგავსად უწევს რეკლამირებას. განთავსების საშუალებების რეკლამირება ხდება მასშედიაში და ელექტრონული მასშედის სახით. გაყიდვების სამსახურის თანამშრომლები განთავსების საშუალების სერვისების პრომოუშენს ახდენენ კორპორაციებზე, ჯგუფებზე და კონვენციის ორგანიზატორებზე. აღსანიშნავია, რომ

მიუხედავად ტურისტული სააგენტოების მიერ დაჯავშნილი ოთახების რაოდენობისა, ისინი იმდენად მნიშვნელოვანი არ არიან განთავსებისთვის, როგორც საავიაციო ან საკურუიზო ინდუსტრიისთვის. განთავსების საშუალებებს ასევე აქვთ ლოიალტის პროგრამები განმეორებითი სტუმრებისთვის. მაგალითად, მარიოტი მომზმარებლებს სთაგაზობს „Marriott Rewards“ და „Marriott Miles“ პროგრამებს, რომელთა საშუალებითაც ხდება უფასო განთავსება მარიოტის სასტუმროების ან უფასო მგზავრობა პროგრამაში მონაწილე ავიაკომპანიების საშუალებით. ჰილტონის და სტარვუდს ასევე აქვთ საკუთარი პროგრამები.

განთავსების საშუალებების ფირმები გააზრებულად მუშაობენ სეგმენტებზე, რომელთა მომსახურებასაც აპირებენ. მაგალითად, Starwood Hotels and Resorts Worldwide, Inc., მკაფიოდ კონცენტრირებულია ლუქსი და მაღალი კლასის სეგმენტზე.

## სასტუმროს ინდუსტრიის სეგმენტები:

ფასის მიხედვით სეგმენტაცია	მომსახურების მიხედვით სეგმენტაცია
ღიასის სეგმენტი (Luxury segment) - ოთახის ფასია 250\$ ან მეტი:	მთლიანი სერვისის სასტუმროები - მოიცავს რესტორანს, რომელიც ხშირად ოთახის სერვისსაც ახორციელებს.
მაღალი კლასის (Upscale) ან დელუქსის (Deluxe) სეგმენტი - საშუალო ფასია 150\$ ან მეტი:	ლიმიტირებული სერვისის სასტუმროები - არ აქვს რესტორანი და ხშირად კვების სერვისი საერთოდ არ გააჩნია.
საშუალო კლასის (Moderate) სეგმენტი - ოთახის ფასი 80\$ ღამეში;	სპეციალიზაციის მიხედვით სეგმენტაცია
ეკონომიკური, ბიუჯეტური (Budget) სეგმენტი - ოთახის ფასი 80\$-ზე ნაკლები.	საკონფერენციო სასტუმროები (Conference Hotels) - დიდი ზომის სასტუმრო ბევრი ოთახითა და საკონფერენციო დარბაზით

## ლოკაციის მიხედვით სეგმენტაცია

ცენტრი (Downtown)	საკონფერენციო სასტუმროები (Conference Hotels) - დიდი ზომის სასტუმრო ბევრი ოთახითა და საკონფერენციო დარბაზით
აეროპორტი (Airport)	ლიმიტირებული სერვისის სასტუმროები - არ აქვს რესტორანი და ხშირად კვების სერვისი საერთოდ არ გააჩნია.
კურორტი (Resort)	სპეციალიზაციის მიხედვით სეგმენტაცია
გარეუბანი (Suburban)	სტანდარტული გაჩერებების სასტუმროები (All Suit Hotels) - სთავაზობენ სტანდარტული ოთახისგან განსხვავებულ განცალკევებულ საძინებელ და საცხოვრებელ აღგილებებს.
გზატკეცილი (Highway)	სანგრძლივი გაჩერებების სასტუმროები (Extended Stay Hotels) - შექმნილია სტუმრებისთვის, რომლებიც ხეთ ღამეზე მეტ სანს ჩერდებიან. როგორც წესი მათ აქვთ სამზარეულო

## MARRIOTT INTERNATIONAL-ის ბრენდის სახელები და მათ სეგმენტები

RITZ-CARLTON	ღიასი და კურორტები
JW MARRIOTT	ღიასი და კურორტები
MARRIOTT	მაღალი კლასი, მთლიანი მომსახურების სასტუმრო, კურორტები და საკონფერენციო ცენტრები
RENAISSANCE	მაღალი კლასი, მთლიანი მომსახურების სასტუმრო და კურორტები
COURTYARD BY MARRIOTT	საშუალო მაღალი კლასი, ლიმიტირებული სერვისი ძირითადად ბიზნეს მოგზაურებისთვის
SPRINGHILL SUITES	საშუალო მაღალი კლასი, მთლიანი სერვისი
RESIDENCE INN	დიდი ხნით გაჩერება მთლიანი სამზარეულოთი
TOWNEPLACE SUITES	საშუალო, კრძელვადიანი გაჩერება სამზარეულოთი ბიზნესისა და დასვენების მიზნით მოგზაურებისთვის
FAIRFIELD INN	საშუალო დაბალი კლასის, სასტუმროები ბიზნესისა და დასვენების მიზნით მოგზაურებისთვის

კომპანიები ქმნიან ბრენდის სახელებს იმისთვის, რომ მომზარებლებს მოგზაურების კონკრეტული სეგმენტების იდენტიფიცირების საშუალება ჰქონდეთ.

## განთავსების საშუალებები საქართველოში

საქართველოს ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში 2018 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 2,474 განთავსების საშუალება 36,513 ოთახითა და 89,481 სანოლი ადგილით. განთავსების საშუალებების რაოდენობა ტიპების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: სასტუმროები - 949 (38.4%), საოჯახო სასტუმროები (Family house) - 976 (39.5%), სასტუმრო სახლი (Guesthouse) - 395 (16%) და სხვა ტიპის განთავსების საშუალება - 154 (6.2%).

განთავსების საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი ნილი უჭირავს მცირე სასტუმროებს - საოჯახო სასტუმროებისა და სასტუმრო სახლის სახით. აქედან გამომდინარე ამ სეგმენტის განვითარებას და სერვისის ამაღლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის განვითარებისთვის. საოჯახო სასტუმრო (Family house) განისაზღვრება, როგორც სასტუმროს ტიპის დაწესებულება, სადაც სტუმრებთან ერთად ოჯახიც სხოვრობს და ცდილობს მათ ოჯახერთ კომფორტით მოემსახუროს. სასტუმრო სახლი (Guesthouse) კი საოჯახო სასტუმროსგან განსხვავდით გულისხმობს სასტუმროს ფუნქციონირებას ოჯახის საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებულ ადგილას. მნიშვნელოვანია ამ კატეგორიების საერთაშორისო ცნობადობა, რადგან ამ შემთხვევაში სტუმარმა იყის თუ რა სერვისს ყიდულობს. სასტუმრო სახლი (Guesthouse) საერთაშორისო ტერმინია და სტუმარს სწორი მოლოდინის ფორმირება შეეძლია, რაც შეეხება საოჯახო სასტუმროს (Family hotel), ეს ტერმინი დამატებით დაბნეულობას იწვევს და ასოცირდება სასტუმროსთან, რომელიც ოჯახებისთვის არის განკუთვნილი, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საოჯახო სასტუმროების „სანოლი და საუზმის“ B&B (Bread & Breakfast) სეგმენტად მოხსენიება, რომელიც საერთაშორისო დონეზე ცნობილი ტერმინია.

ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამსართველომ მიღამზადა სახელმძღვანელო, სადაც სანოლი და საუზმის (B&B), სასტუმრო სახლისა და პოსტელის ტიპის განთავსების საშუალების მაგალითზე

სასარგებლონ რეკომენდაციების პოვნაა შესაძლებელი.

## სწრაფი ბმულები:

„სახელმძღვანელო მცირე ზომის განთავსების ობიექტების ბიზნესში წარმატების მისაღწევად“

[www.gnta.ge/smallhotels.pdf](http://www.gnta.ge/smallhotels.pdf)

## ფასი

სასტუმროებს აქვთ სტანდარტული ფასი ერთი ღამით გაჩერებისთვის, რომელსაც სხვანაირად ფიქსირებულ (გამოყენებულ) ფასს (rack rate) უნდებენ. ეს არის ფასი, რომელსაც მომზარებელი გადაიხდიდა დისკუნტის ან მოლაპარაკებული ფასის არ არსებობის შემთხვევაში. დიდი კორპორაციები მოლაპარაკებას ანარმობენ სასტუმროს თერატორების გაყიდვების სამსახურთან კორპორაციულ განაკვეთებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად ნაკლები იყოს ფიქსირებულ ფასზე. სასტუმროს თერატორები ასევე სთავაბობენ სპეციალურ განაკვეთებს ტუროპერატორებს, ჟავუზების წარმომადგენლების, შეხვედრებისა და კონვენციის ორგანიზატორებს.

საკუთარი განაკვეთების სტრუქტურის მენეჯმენტის დროს, სასტუმროს მენეჯერები, როგორც წესი, ფოკუსირდებიან სამ გაზომვად ინდიკატორზე. ესენია: დატვირთვის კოეფიციენტი (Occupancy rate), საშუალო დღიური განაკვეთი (ADR) და შემოსავალი ხელმისაწვდომ ოთახზე (RevPAR):

2017 წელს საქართველოში ბრენდირებული სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი დატვირთულ, ზაფხულის სეზონზე 76.7%-დან 87.7%-მე მერყეობს, ხოლო ნაკლებად დატვირთულ, ზამთრის სეზონზე 32.4%-დან 36.2%-მდე. სასტუმროს მენეჯმენტის პერსპექტივიდან, იდეალური შემთხვევა, სასტუმროს 100%-ით დატვირთვა და ყველა ოთახის ფიქსირებული ფასით გაყიდვაა. ამ შემთხვევაში ორივე ADR და RevPAR ფიქსირებული ფასის ტოლი იქნებოდა. თუმცა, როგორც წესი, დატვირთვა 100%-ზე დაბალია და სასტუმრო ზოგ ოთახს დისკონტირებული განაკვეთით ყიდის.

$$\text{დატვირთვის კოეფიციენტი (Occupancy RATE)} = \frac{\text{დატვირთული ოთახების რაოდენობა (NUMBER OF OCCUPIED ROOMS)}}{\text{მთლიანი ოთახების რაოდენობა (TOTAL ROOMS)}}$$

$$\text{საშუალო დღიური განაკვეთი (ADR)} = \frac{\text{ოთახებიდან შემოსავალი (ROOM REVENUE)}}{\text{დატვირთული ოთახები (OCCUPIED ROOMS)}}$$

$$\text{შემოსავალი ხელმისაწვდომ ოთახზე (RevPAR)} = \frac{\text{ოთახებიდან შემოსავალი (ROOM REVENUE)}}{\text{მთლიანი ოთახების რაოდენობა (TOTAL ROOMS)}}$$

განვიხილოთ სასტუმრო 100 ნომრით, 2,200 გაქირავებული ნომრითა და 250,000\$ შემოსავლით ოთახების გაქირავებიდან. გამოვთვალით დატვირთვის კოეფიციენტი, საშუალო დღიური განაკვეთი და შემოსავალი ხელმისაწვდომ ითახბების ინვრის თვეში.

#### დატვირთვის კოეფიციენტი:

$$\text{დატვირთვის კოეფიციენტი} (\text{Occupancy rate}) = \frac{\text{დატვირთული ოთახების რაოდენობა}}{\text{მთლიანი ოთახების რაოდენობა}} \text{ (number of occupied rooms)} \\ \text{მთლიანი ოთახების რაოდენობა ( total rooms)}$$

მაგალითში სასტუმროს აქვს 100 ნომერი, მთლიანი ოთახების რაოდენობა იანვარში იქნება 100 გამრავლებული 31-ზე (იანვრის თვეში დღეების რაოდენობა). გაქირავებული ოთახების რაოდენობა იანვრის თვეში შეადგენს 2,200-ს, ამიტომ დატვირთვის კოეფიციენტი იქნება:

$$\text{დატვირთვის კოეფიციენტი} (\text{Occupancy rate}) = \frac{2,200}{(100*31)} = 0.71$$

#### საშუალო დღიური განაკვეთი:

$$\text{საშუალო დღიური განაკვეთი (ADR)} = \frac{\text{ოთახებიდან შემოსავალი (room revenue)}}{\text{დატვირთული ოთახები (occupied rooms)}}$$

თუ იანვრის თვის განმავლობაში გაქირავებული ოთახებიდან შემოსავალი შეადგენს 250,000 \$-ს, ხოლო გაქირავებული ოთახების რაოდენობაა 2,200, მაშინ

$$\text{საშუალო დღიური განაკვეთი (ADR)} = \frac{250,000\$}{2,200} = 113.6\$$$

#### შემოსავალი ხელმისაწვდომ ითახბები:

$$\text{შემოსავალი ხელმისაწვდომ ითახბები (RevPar)} = \frac{\text{ოთახებიდან შემოსავალი (room revenue)}}{\text{მთლიანი ოთახების რაოდენობა (total rooms)}}$$

თუ იანვრის თვის განმავლობაში გაქირავებული ოთახებიდან შემოსავალი შეადგენს 250,000 \$-ს, ხოლო ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობა იანვარში 3,100-ს, მაშინ

$$\text{შემოსავალი ხელმისაწვდომ ითახბები (RevPar)} = \frac{250,000\$}{3,100} = 80.6\$$$

რეალურ სამყაროში დაბალი მოთხოვნის პირობებში, სასტუმროს მენეჯერებმა იყაინ, რომ დატვირთვის გაზრდა მხოლოდ ფასის შემცირებით არის შესაძლებელი. სასტუმროს მენეჯერს შეუძლია გაყიდვების სამსახურის საშუალებით მიიღოს ჰავუფები მოლაპარაკებული განაკვეთით. ალტერნატიულად შესაძლებელია დისკონტინებული პაკეტების რეკლამირება დასვენების მიზნით მოგზაურებისთვის. ეს მარკეტინგული აქტივობები გაზრდის დატვირთვის კოეფიციენტს, ADR-ისა და RevPAR-ის შემცირების სარჯეო. შედეგად ქონებიდან მოვალის მაქსიმიზირება ვერ მოხდება. ალტერნატიულად, მენეჯერებს შეუძლიათ მიიღონ მცირე რაოდენობის ჰავუფები ხელმისაწვდომი ოთახების რაღაც პროპორციაზე და ასევე მცირე რაოდენობის დისკონტინების პაკეტების რეკლამირება მოახდინონ დასვენების მიზნით მოგზაურებისთვის. ეს მეთოდი შედარებით ზომიერად გაზრდის ADR-ს, თუმცა შეამცირებს დატვირთვის კოეფიციენტს. ამ შემთხვევებში RevPAR-ზე ეფექტურ განუსაზღვრელია. ამჯერად მოვალის მაქსიმიზირება ვერ მოხდება. მაღალ ფასებსა და მცირე დატვირთვის კოეფიციენტსა და დაბალ ფასებსა და მაღალ დატვირთვას შერჩევის ბალანსირების პრობლემის მოგვარების გავრცელებული შეთოდი არის შემოსავლიანობის მენეჯმენტი.

#### შემოსავლიანობის მენეჯმენტი

პროცესი, როდესაც ტურიზმის კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული სიმძლავრეები ანსებენ განსხვავებულ ფასს განსხვავებული მომხმარებლებისთვის

შემოსავლიანობის მენეჯმენტის სახელითაა ცნობილი. ბევრი განთავსების საშუალება იყენებს შემოსავლიანობის მენეჯმენტის (revenue management) ტერმინს ფასების დაწესების პროცესში. ეს მეთოდი პირველად გამოიყენეს საავიაციო ინდუსტრიაში. შემოსავლიანობის მენეჯმენტი მოიცავს ოთხ ნაბიჯს: მომხმარებლების ჰავუფების დაყყოფას, შეზღუდვების გამოყენებას წევრების სხვადასხვა ჰავუფებში შესანარჩუნებლად, ფასების დაწესებასა და სიმძლავრის განაწილებას.

სასტუმროს შემოსავლიანობის მენეჯერს სხვადასხვა მოთხოვნის მქონე ჰავუფების იდენტიფიცირება შეუძლია, მათ შორის: კორპორაციული მომხმარებლები, ორგანიზებული ტურები, დასვენების მიზნით მოგზაურები (რომლებიც მოგზაურებას ადრეულად გეგმავენ) და ჰავუფები, რომლებიც მოგზაურობენ პროფესიული (ბიზნეს) ან სხვა მიზნებით. მნიშვნელოვანია ასევე პირდაპირ შემომსვლელები, რომლებიც სასტუმროს ფრონტ დესკან მოდიან რეზერვაციის გარეშე. შემოსავლიანობის მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა, რომ მომხმარებლებმა, რომელთაც სურვილი აქვთ ნაკლები ფასი გადაიხადონ არ ნაართვან ითახი იმ კატეგორიას, რომელთაც შეუძლიათ იგივე ოთახში მეტი თანხის გადახდა. მაგალითად, შემოსავლიანობის მენეჯერს არ სურს გაყიდვების დეპარტმანტმა ბევრი დისკაუნტი გააკეთოს, რადგან მას ამდენივე აღამიანისთვის, ვინც მზად არის ფიქსირებული ფასი გადაიხადოს ფრონტ დესკან უარის თქმა მოუწევს. შემოსავლიანობის მენეჯმენტი საჭიროებს პროგნოზირებას, თუ რამდენი ითახი უნდა შემოინახოს

პირდაპირ შემომსვლელებისთვის, რამდენი კორპორაციული მომხმარებელი შემოვა ფრონტ დესკთან მოლაპარაკებული განაკვეთით და რამდენი ოთახი დარჩება გაყიდვების დეპარტამენტს დისკონტირებული განაკვეთით გასაყიდად ჰაუთებისთვის ან რეკლამირებისთვის დასვენების მიზნით მოგზაურებისთვის.

მართვის იყო ერთ-ერთი ლიდერი შემოსავლიანობის მენეჯმენტის გამოყენების კუთხით განთავსების საშუალებებში. სასტუმროს ინერციული ხელისუფალი რომის ინიციატივის გამოყენებით დისკონტირები დაფუძნდებული იყო მომხმარებლის მოლაპარაკებების უნარსა და ინდუსტრიის ფასების ცოდნაზე და არა მომხმარებლის მოთხოვნაზე. დანაკარგების შესამცირებლად კომპანიები გადავიდნენ შემოსავლიანობის მენეჯმენტის სისტემაზე, სადაც მომხმარებელი იღებს ფასდაკლებას, თუ გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებს. ეს პირობები შეიძლება იყოს ადრეული რეზერვაცია, არადაბრუნებადი წინასწარი ფულის გადახდა, აღმისთვევების რაოდენობა, კვირის დღე. დისკონტირებული ოთახების შეთავაზება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მოთხოვნა დაბალია. როდესაც მოთხოვნა მაღალია, მენეჯმენტი მხოლოდ მცირე რაოდენობის ოთახებზე ან საერთოდ არ ახდენს დისკონტირებას. თუმცა დაბალი მოთხოვნისა და დისკონტირებული ოთახების შემთხვევაშიც მომხმარებლები უნდა აკმაყოფილებდნენ პირობებს იმისთვის, რომ ფასდაკლება მიიღონ. ფორმალური შემოსავლიანობის მენეჯმენტის დაფუძნება პირდაპირ შემომსვლელებს უკარგავს შესაძლებლობას ფასდაკლება მიიღონ მოლაპარაკების გზით.

შემოსავლიანობის მენეჯმენტი ზრდის ფიქსირებული ოთახების რაოდენობიდან შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. ასევე, აქვს სხვა უპირატესობებიც: სასტუმროს აღარ შეეშინდება, რომ ერთი ვიზიტორი შეორენს ეტყვის დისკონტირების ვაჭრობის შედეგად მიღების თაობაზე; გარდა დისკონტირებისა, სასტუმროებს ექნებათ შესაძლებლობა შეინახონ ადგილები უკანასკნელი წელის მოგზაურებისთვის.

## რა არის ქონების მართვის სისტემა?

განთავსების საშუალებებში ქონების მართვის სისტემა (PMS) არის ყოვლისმომცველი პროგრამული უზრუნველყოფის პლიკაცია, რომელიც გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესასრულებლად, როგორებიცაა: ფრონტ ოფისის ოპერაციები, გაყიდვები, დაგეგმვა და სხვ. ქონების მართვის სისტემას ასევე კავშირი შეიძლება ქონდეს ცენტრალურ რეზერვაციის სისტემასა და შემოსავლების მენეჯმენტის სისტემასთან, ფრონტ ოფისთან, ბეჭედისთან, გაყიდვების წერტილთან, საოჯახო მეურნეობის კეტიმიზაციასთან, არხის მენეჯმენტის სისტემასთან და სხვ. კარგმა ქონების მართვის სისტემამ უნდა მოგვცეს სწორად და დროული სტატისტიკური ინფორმაცია მნიშვნელოვანი საქმიანობის შემთხვევების ინდიკატორების შესახებ, როგორიცაა, დატვირთვა და შემოსავალი ხელმისაწვდომ ოთახზე.

განთავსების საშუალების მფლობელის პრერსპექტივით ქონების მართვის სისტემა არის კარგად ორგანიზებული ელექტრონული მენეჯმენტის სისტემა, რომელიც სასტუმროს ოპერაციულ აქტივობას მართავს. გარდა ამისა, მას აქვს სისტემატიზებული მექანიზმი, რისი მეშვეობითაც ზედამხედველობას და კოორდინირებას უკევს მომხმარებელთან ურთიერთობას.

ქონების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი დადებითი მახასიათებელია ონლაინ რეზერვაციისა და დაჯავშნის სისტემა, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას განთავსების საშუალების რეკლამირებისთვის. დღეისათვის მომხმარებელი ამჟობინებს წინასწარ, მოვალეობამდე დაჯავშნოს განთავსების საშუალება. დაჯავშნის ავტომატური სერვისი შესაძლებლობას აძლევს განთავსების საშუალებას მუდმივად განახლებული ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებლებს თავისუფალი ადგილების შესახებ. აღნიშნული გამორიცხავს ორმაგი დაჯავშნით ან ზედმეტი დაჯავშნით გამოწვეულ შეცდომებს, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს სასტუმროს იმისა.

შემდეგი მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ფრონტ დესკის მენეჯმენტი. განთავსებაში შესვლისა და გასვლის სისტემაზე მდგრადი პროცესი საშუალებას აძლევს ფრონტ ოფისს გამორიცხას შეცდომები. პროგრამა თავად ამჟამად ინციდენტებსა და ქვითორებს, რაც ამცირებს განეულ დანახარჯებსა და შეცდომის ალბათობას.

ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველომ გამოკითხა საქართველოში არსებული განთავსების საშუალებები. შედეგებმა აჩვენა, რომ ქონების მართვის სისტემას იყენებს გამოკითხული 520 განთავსების საშუალებიდან მხოლოდ 100, მათ შორის ფიდელიო (27), ოპერა (13) და ფინა (10) სარგებლობები განსაკუთრებული პროცესი 21 განთავსების საშუალებას აქვს საკუთარი პროგრამა შექმნილი ქონების მართვის მიზნებისათვის.

## სწრაფი პმულები:

გაფრცელებული ქონების მართვის სისტემები სასტუმროებისთვის:

- Opera - [www.oracle.com/industries/hospitality/products/operaproperty-services/index.html](http://www.oracle.com/industries/hospitality/products/operaproperty-services/index.html)
- eZee Frontdesk – [www.ezeefrontdesk.com/](http://www.ezeefrontdesk.com/)
- Innquest - [www.innquest.com/no\\_region.php?page=roommaster/index.php](http://www.innquest.com/no_region.php?page=roommaster/index.php)
- Hotelogix - [www.hotelogix.com/hotelogix-cloud-based-property-management-system.php](http://www.hotelogix.com/hotelogix-cloud-based-property-management-system.php)
- MSI - [www.msisolutions.com/products/cloudpm/](http://www.msisolutions.com/products/cloudpm/)
- Guesttracker - [www.hotel-software.com/](http://www.hotel-software.com/)
- OpenHotel - [openhotel.com/](http://openhotel.com/)
- eZee Technosys - [www.ezeetechnosys.com/#1](http://www.ezeetechnosys.com/#1)
- Cenium - [www.cenium.com/](http://www.cenium.com/)
- Proservice - [www.demohotels.proservice.ge/help/](http://www.demohotels.proservice.ge/help/)

# მარკეტინგის ოთხი ელემენტი:

## პროდუქტი, ფასი, ადგილი და პრომოუშენი

საერთაშორისო ბაზარზე შესვლის კარგად დაგეგმვაში დეტალური მარკეტინგული გეგმა დაგეხმარებათ. მარკეტინგის მიზანია პროდუქტი სწორად შეუსაბამოს ბაზარს, რაც ინვესტიციებიდან მაქსიმალურ შემოსავლებს უზრუნველყოფს. ძირითადად გამოიყოფა მარკეტინგის ოთხი ელემენტი: პროდუქტი (Product), ფასი (Price), ადგილი (Place) და პრომოუშენი (Promotion). კარგი მარკეტინგული გეგმა ამ ელემენტების კომბინაციას წარმოადგენს.

მარკეტინგული გეგმის დაწერა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი და ბიზნესის ეფექტინობის გაუმჯობესების კარგი საშუალებაა. გეგმა მოიცავს მარკეტინგულ გადაწყვეტილებებს, რაც რესურსების ეფექტიან განაწილებაში დაგეხმარებათ. მასში გაერთიანებულია:

- **მთლიანად ბიზნესის მიზნები.** რისი მიღწევა სურს თქვენს ორგანიზაციას?
- **მარკეტინგული გარემოს წვდომა.** რა შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ახდენს გავლენას თქვენ მიერ განსაზღვრულ ბაზრებზე ბიზნესის წარმოებასა და მომსახურების მიზნებაზე?
- **ბაზრის განსაზღვრა.** სავარაუდოდ რომელი სპეციფიკური ბაზრები და სეგმენტები გამოიყენებს თქვენს პროდუქტს?
- **მარკეტინგული მიზნები.** არის თუ არა მიზნები თითოეული სამიზნე ბაზრისთვის გაზომები, მიღწევადი, დროში განერილი, ნათელი და მოქნილი?
- **მარკეტინგული სტრატეგია.** რა არის მარკეტინგის ოთხი ელემენტის საუკეთესო კომბინაცია თითოეული სამიზნე ბაზრისთვის?
- **სამოქმედო გეგმა.** რა მოქმედებებია საჭირო გეგმის განსახორციელებლად, ვინ უნდა გააკეთოს ეს და როდის?
- **მარკეტინგის ბიუჯეტი.** რამდენი უნდა დახარჯოთ და როგორ გაანაწილებთ რესურსებს?
- **მონიტორინგი და შეფასება.** როგორ გაზომავთ მარკეტინგული ძალისხმევით მიღებულ შედეგს?

მთავარი გამოწვევა ტურიზმის მარკეტინგთან დაკავშირებით არის ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვან პროდუქტს გამოცდილება წარმოადგენს. გამოცდილება არის არამატერიალური პროდუქტი და მისი ბაზარზე გატანა მატერიალურ საგნებათან შედარებით ბევრად უფრო რთულია. მომხმარებელს პროდუქტის ადგილზე გამოსაცდელად მოგზაურობა სჭირდება. მატერიალური პროდუქტების შემთხვევაში კი პროდუქტის გამოყენება ადგილზევე არის შესაძლებელი.

## მნიშვნელოვანი:

- მარკეტინგული გზავნილი მომხმარებელთა გამოცდილებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

მომხმარებლისთვის სამოგზაურო გამოცდილება რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და მოიცავს: ტრანსპორტირებას, განთავსებას, საკვებს, საყიდლებს, გართობას, ტურებს და ღონისძიებებს. მნიშვნელოვანია აღნიშნულის გათვალისწინება მარკეტინგული გეგმის შემუშავების პროცესში.

## სწრაფი პმულები:

მარკეტინგული გეგმის ნიმუში  
[www.gnta.ge/marketing-plan](http://www.gnta.ge/marketing-plan)

## სამიზნე ბაზრების იდენტიფიცირება

საერთაშორისო ბაზარზე წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია, ბიზნესი და პროდუქტი მომხმარებლის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. სანამ პროდუქტსა და მარკეტინგულ აქტივობებს დაგეგმავთ, გაარკვიეთ საერთაშორისო ბაზარზე თქვენი პროდუქტის და რეგიონის შესაბამისობა.

სამიზნე სამომხმარებლო ბაზრების შესწავლით შეძლებთ თქვენი პროდუქტის გაუმჯობესებას, ფასის განსაზღვრას, გაყიდვის ადგილის შერჩევას და ბაზარზე მისაწოდებელი ფორმის შემუშავებას.

## მნიშვნელოვანი:

- ☒ ნუ ეცდებით ყველა ბაზარზე ერთდროულად შესვლას. ყურადღებით შეარჩიეთ ბაზრები და დაიტოვეთ დრო თქვენი მიღების დასაგეგმად. გადაანანილეთ თქვენი რესურსები იმ ბაზრებზე, რომლებიც ყველაზე დიდი ამონაგების მომტანი იქნება.

სამიზნე ბაზრის და მომხმარებელთა სეგმენტის შერჩევის გაითვალისწინეთ შემდეგი:

- რა სურს მომხმარებელს (ბაზარს)?
- რა უნდა შესთავაზოთ მომხმარებლებს მათი მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად?
- რა არის ბაზრის ზომა?
- არის თუ არა ბაზარი საკმარისად დიდი საჭირო მარკეტინგული ხარჯების გასაწვევად? მიღებით თუ არა ამონაგებს ინესტიციაზე?
- რამდენი ხნით ჩერდებიან საერთაშორისო მოგზაურები, იმეორებენ თუ არა ვწინტს?
- რამდენს ხარჯავენ, რა საკვებს მოიხმარენ და რას ყიდულობენ?
- რა ტიპის და სტანდარტის ტურისტულ კატეგორიებს (საკვებს, ტრანსპორტს, განთავსებას, ტურებს, აქტივობებს, ღირსშესანიშნაობებს) ანიჭებენ უპირატესობას მოგზაურები?
- ქვეყნის რომელ რეგიონებს სტუმრობენ მოგზაურები? სტუმრობენ თუ არა თქვენს რეგიონს?
- რომელი სტილის მოგზაურობას არჩევენ ჯგუფურ, ზურგჩანთით თუ სხვა?
- შესაბამება თუ არა მათი ინტერესები თქვენს პროდუქტს და რატომ?
- როგორ მოერგება თქვენი პროდუქტი უფრო ფართო მარშრუტს? შეგიძლიათ თუ არა იმუშაოთ რომელიმე შემავსებელ პროდუქტთან თქვენს რეგიონში ტურისტული გამოცდილების პაკეტირების მიზნით?
- რა სპეციალებებს გამოიყენებენ ისინი თქვენს რეგიონში მოგზაურობისთვის? და რა სახით ექნებათ წვდომა თქვენს პროდუქტზე?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს ანგარიშები დაგეხმარებათ. მაგალითის სახით განვიხილოთ რუსი ვიზიტორები. ისინი ყველაზე მსხვილ მხარჯველებს წარმოადგენ საქართველოში და ვიზიტზე საშუალოდ 984 ლარს ხარჯავენ. დანახარჯების ყველაზე დიდი ნილი კი შპპინგზე მოდის. რუსი ვიზიტორები ხანგრძლივი დროით მოგზაურობენ და პოპულარულ აქტივობებს კულტურული და ისტორიული ძეგლების დათვალიერება და ქართული ღვინის დაგემოვნება წარმოადგენს.

## სწრაფი ბმულები:

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიზნობრივი ბაზები [www.gnta.ge/statistics/](http://www.gnta.ge/statistics/)

## მარკეტინგის ოთხი ელემენტი

მარკეტინგის ელემენტების პროდუქტის და ფასის ანალიზი განსხვავდება ტურისტული პროდუქტის მფლობელებსა და ტუროპერატორებს შორის. თავდაპირველად ტურისტული პროდუქტის მფლობელების სტრატეგიას განვიხილავთ, ხოლო შემდეგ ტუროპერატორებს შევეხებით. დანარჩენი ორი ელემენტი, ადგილი და პრომოუშენი კი ორივე მათგანს მიესადაგება.

## პროდუქტი

პროდუქტი არის საქონლისა და მომსახურების კომპინაცია, რაც ქმნის ვიზიტორის გამოცდილებას და მოიცავს ინფრასტრუქტურის სტანდარტებს, მომსახურების დონეს და ხარისხს.

ინდივიდუალური პროდუქტი სამოგზაურო გამოცდილების მხოლოდ ნანილია მომხმარებლისთვის. სრული სამოგზაურო გამოცდილება ყველა ელემენტს მოიცავს, რომელსაც ტურისტი სახლის დატოვებიდან დაბრუნებამდე მოიხმარს. მასში შედის: ტრანსპორტი, განთავსება, საკვები, ღირსშესანიშნაობები და აქტივობები. შეიძლება მომხმარებელმა ის დამოუკიდებლად ან ტურისტული პაკეტების სახით შუამავლებისგან შესყიდოს.

თქვენი პროდუქტის განვითარება უნდა იყოს ნაკარახევი გამოცდილების ტიპით, რომელსაც სამიზნე ბაზარი მოითხოვს. პროდუქტის განვითარებისთვის აუცილებელია:

- ყოველთვის შეხედოთ თქვენს პროდუქტს მომხმარებლის თვალით და აქცენტი მის სარგებელზე გააკეთოთ;
- გახსოვდეთ, რომ მომხმარებლის მოთხოვნები განსხვავდება სხვადასხვა სამიზნე ბაზარის მიხედვით.

საერთაშორისო მოგზაურებისთვის განკუთვნილი პროდუქტის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ:

- **ადგილმდებარეობა -** არის თუ არა მიმდებარე ტერიტორიაზე ღირსშესანიშნაობები და ინფრასტრუქტურა, რომელიც თქვენს პროდუქტს შეესაბამება?
- **ფასი -** არის თუ არა პროდუქტი კონკურენტულად შეფასებული და გათვალისწინებულია თუ არა მასში ყველა საკომისიო?
- **ხელმისაწვდომობა -** როგორ მიღებენ ვიზიტორები თქვენს პროდუქტს? არის თუ არა ტრანსპორტი ხელმისაწვდომი?
- **სეზონურობა -** ხართ თუ არა მზად იმუშაოთ სამიზნე ბაზრებიდან შემოსვლების პიკურ პერიოდებში?
- **დრო -** როგორ მოერგებით საქართველოში არსებულ ტურისტულ მარშრუტებს? სჭირდებათ თუ არა ვიზიტორებს დამისთევით დარჩენა თქვენი პროდუქტით სარგებლობი-

სას? ეყოფათ თუ არა დრო სხვა დაგეგმილი ღირშესანიშნაობების სანახავად, თუ მხოლოდ თქვენი პროდუქტით ისარგებლებენ?

- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა -** არის თუ არა ინფორმაცია ხელმისაწვდომი, როგორც ტურისტებისთვის, ასევე სადისტრიბუციო პარტნიორებისთვის?
- **დაჯავშნა -** რამდენად ადვილია მომხმარებლისთვის თქვენი პროდუქტის დაჯავშნა?

## პროდუქტის შეკვრა

ხშირად რთულია საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვა ცნობილი დანიშნულების ადგილის გარეთ, რადგან მათი ცოდნა და დრო აღნიშნული ადგილის შესახებ შეზღუდულია. თქვენი რეგიონის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობამ დესტინაციის პოპულარიზაციის მიზნით მთლიანობაში ვიზიტორების მეტი რაოდენობა უნდა უზრუნველყოს. ითანამშრომლეთ ადგილობრივი ტუროპერატორებთან პაკეტის შესაქმნელად, რაც თქვენს პროდუქტის უფრო მიმზიდველს გახდის.

პაკეტების საშუალებით შესაძლებელია მომხმარებლის უნიკალური გამოცდილების შექმნა, თქვენი პროდუქტის შემავსებელ პროდუქტთან ერთად შეთავაზებით. მისი დახმარებით შესაძლებელია ვიზიტების რაოდენობის და შემოსავლების ზრდა. პაკეტის მიწოდება შესაძლებელია მრავალი მიმწოდებლის მიერ შემასტებელი პროდუქტების სახით, ან ერთი მიწოდებლის საშუალებით, რომელიც ანაცვლებს მათ ძირითად სერვისებს. ის ასევე სადისტრიბუციო პარტნიორებისთვის ხელსაყრელი საკომისიო შეთავაზებების საშუალებას იძლევა.

## რეალური მაგალითი:

დავუშვათ რეგიონში ფუნქციონირებს სასტუმრო. ამ სასტუმროს მხოლოდ ერთი სერვისის შეთავაზება შეუძლია - სტუმრის დამისთევით განთავსება. სხვა ოპერატორებთან თანამშრომლობით კი შესაძლებელია (ღინის მარნები, რესტორნები, ღირშესანიშნაობები) არაჩეულებრივი განთავსების და ღვინის პროფილის დასვენების შეთავაზება ტურისტებისთვის.

თანამშრომლობის სქემის არსებობის პირობებში მეტი ვიზიტორი გამოხატავს სურვილს ესტუმროს დანიშნულების ადგილს, დარჩეს ხანგრძლივად და დახარჯოს მეტი ფული. პაკეტის სახით მიწოდება გააფართოებს ვიზიტის მთლიანი გამოცდილების ღირებულებას. აღნიშნული გულისხმობას შემოსავლის დიდი ნაწილის რეგიონში დარჩენას.

## მნიშვნელოვანი:

**პროდუქტების პაკეტირება** გულისხმობას შემავსებელი პროდუქტების შეთავაზებას მსგავსი გემოვნების მქონე მოგზაურებისთვის. აღნიშნული არ კარნახობს მომხმარებელს, თუ რა გამოცდილება უნდა მიიღოს, არამედ ანგდის ინფორმაციას, რა შეუძლია თქვენს ბიზნესს და რეგიონს მას შესთავაზოს.

პაკეტირება შეიძლება გაეთდეს მრავალი გზით. ყველაზე მარტივი გზა ამისთვის არის ორგანიზაციების ვებ-გვერდების მისამართების დამატება თქვენი ვებ-გვერდის სწრაფ ბმულებში. ის შეიძლება მოიცავდეს ერთობლივ ძალისხმევას რეგიონის სხვა ბიზნესებთან ერთად უფრო ეფექტური მარკეტინგული აქტივობისა და პრომოუშენის შესაქმნელად. ეფექტური მარკეტინგული აქტივის გასაღები არის მსგავსი შინაარსის მქონე გამოცდილებების ერთობლივი მხარდაჭერა, რაც გაამრავალფეროვნებს ვიზიტორის საერთო გამოცდილებას რეგიონში.

## ტუროპერატორების პაკეტი

ტურისტული პაკეტი აერთიანებს სხვადასხვა ტურისტულ პროდუქტს და ამიტომ საჭიროა კონტრაქტების გაფორმება ძირითადი ტურისტული პროდუქტების მფლობელებთან. ტრადიციულად, ტურისტული პაკეტი მოიცავს: ტრანსფერს, განთავსებას, კვებას, ექსკურსიას (კვებით ან კვების გარეშე), გიდის მომსახურებას და გასართობ პროგრამას. ტურისტის საერთაშორისო ტრანსპორტით უზრუნველყოფას ხშირ შემთხვევაში უცხოური ტურისტული კომპანია ახორციელებს.

ტრანსფერი გულისხმობს ტურისტების ტრანსპორტით უზრუნველყოფას აეროპორტიდან განთავსების იპიექტებამდე და პირიქით. სატრანსპორტო საშუალების არჩევანი დამოკიდებულია ტურისტების რაოდნობასა და გასავლელ მანძილზე.

განთავსების ობიექტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურისტული პაკეტის შექმნისას. ჩერეულებრივ, სასტუმროები შემომყვან ტუროპერატორებს მომსახურებას არსებულ ფასზე საშუალოდ 10%-ით ნაკლებად სთავაზობენ, რადგან შემომყვანი ტუროპერატორები მათ სტაბილური ტურისტული ნაკადით უზრუნველყოფენ. ხშირ შემთხვევაში, სასტუმროს უცხოური ტუროპერატორი უკავშირდება და შემომყვან ტუროპერატორს უწევს მხოლოდ დანარჩენი მომსახურების უზრუნველყოფა.

კვების თვალსაზრისით ძირითადი მოთხოვნა ეროვნულ კერძებზეა, თუმცა რიგ შემთხვევებში სხვა ტიპის სამზარეულოსაც ითხოვენ. ამიტომ, საჭიროა კონტაქტების დამყარება როგორც ქართული სამზარეულოს მქონე რესტორნებთან, ასევე სხვა ტიპის კვების ობიექტებთანაც.

ექსკურსიებიც განსხვავდება ტურიზმის ტიპების მიხედვით და შეიძლება გულისხმობებს სხვადასხვა ლიკაციისა თუ რეგიონის ჩართვას პაკეტში. მაგალითად, სათავგადასავლო მიზნით ჩამოსულმა ვიზიტორმა შეიძლება მოითხოვოს მრავალი რეგიონის მონახულება და მრავალფეროვანი გამოცდილების მიღება, კონფერენციებზე დასასწრებად ჩამოსულმა ვიზიტორმა კი მოკლე ექსკურსია. ბიზნეს ტურიზმით მოგზაურები ასევე ხშირად ითხოვენ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მრავალი როგორის მონახულება და მრავალფეროვანი გამოცდილების მიღება, კონფერენციებზე დასასწრებად ჩამოსულმა ვიზიტორმა კი რეგიონის საქართველოშიც. პროგრამაში სხვა ტურისტულ პროდუქტებთან ერთად ჩართულია 693 ავიაკომპანია, 206 ტუროპერატორი და დახლოებით 87,000 განთავსების საშუალება.

ტურისტულ პაკეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გასართობ პროგრამას. იგი შეიძლება მოიცავდეს მუზეუმების, ბოტანიკური ბაღების მონახულებას, მარანში ღვინის დაგემოვნებას და ა.შ. საჭიროა არსებული ობიექტების მონაცემთა ბაზების ქონა არამარტო იმ რეგიონისთვის, სადაც შემომყვანი ტუროპერატორი ფუნქციონირებს, არამედ სხვა რეგიონებისთვისაც.

სამიზნე ბაზრებზე პრომოუშენის მიზნით საქართველოში არსებული შემომყვანი ტუროპერატორები უცხოელ პარტნიორებს და მათ საშუალებით მომხმარებლებს სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის (მაგ. კულტურული, სათავგადასავლო ან ეკო-ტურები) უკვე გამზადებულ პაკეტებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში იცვლება ან ემატება ახალი მომსახურებები. საქართველოში ტურისტული პაკეტი ძირითადად ემსახურება ქვეყანაში არსებული ტურისტული პროდუქტების და გამოცდილებების პოპულარიზაციას და ქვეყანაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნას. კონკრეტული მომსახურებები კი შემდგომ ტურისტების მოთხოვნების მიხედვით ემატება და ფასიც შესაბამისად იცვლება. სიტყუაცია განსხვავებულია სხვა ქვეყნების ტურისტული პაკეტების შემთხვევაში (მაგ. თურქეთი), რომლებიც უკვე დიდი ხანია დამკვიდრებული არიან ბაზარზე. ისინი სთავა-

ზოგნ წინასწარ განსაზღვრულ მომსახურებებს და პაკეტი იშვიათად განიცდის ცვლილებას.

ძირითადი რჩევები შემომყვან ტუროპერატორებს პარტნიორებთან ურთიერთობისას:

- დაამყარეთ გრძელვადიანი კონტაქტები იმ ტურისტული პროდუქტების მფლობელებთან, რომლის მომსახურებასაც მაღალი ინტენსივობით იყენებთ;
- უზრუნველყავით სხვა მომსახურებების მიმწოდებლების კონტაქტების სიის ფორმირება საჭიროების შემთხვევაში მათ პროდუქტების ტურისტულ პაკეტში ასახვის მიზნით;
- გქონდეთ მუდმივად ინფორმაცია სპეციფიკური ტურისტული პროდუქტების შესახებ (მაგ. ტურისტებმა შეიძლება მოითხოვონ ვატერით ან პატარა თვითმფრინავით ექსკურსია). გაითვალისწინეთ ტურისტების მოთხოვნები პაკეტის ფორმირებისას;
- არ შესთავაზოთ მომხმარებელს სასტუმროს მომსახურება ამ უკანასკნელის მიერ დადგენილზე მაღალ ფასად;
- კონტაქტების დამყარებისას არ შემოიფარგლოთ მხოლოდ ერთი რეგიონით, რადგან შეიძლება საქმიანი ურთიერთობა დამყაროთ რეგიონული ტიპის ტურიზმით მოგზაურებთან და მათ მოითხოვონ რეგიონული ტურების მოწყობა.

## დაჯავშნის პროგრამების მნიშვნელობა

ტუროპერატორებისთვის დაჯავშნის პროგრამები მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. პროგრამა, მისი მრავალფეროვან კონტაქტებიდან გამომდინარე, ტუროპერატორებისთვის ფულის ნაკადის სტაბილურობას განაპირობებს და შემოსავლების დიფერენცირების კარგი საშუალებას. მათი საშუალებით კომპანიებს სასურველი ტურისტული პროდუქტის მსოფლიო მასშტაბით დაჯავშნა შეუძლიათ. ამ ტიპის პროგრამებს შორის ერთი-ერთი ყველაზე გავრცელებული „ამადეუსია.“

„ამადეუსია“ პროგრამა აქტიურად გამოიყენება 195 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. პროგრამაში სხვა ტურისტულ პროდუქტებთან ერთად ჩართულია 693 ავიაკომპანია, 206 ტუროპერატორი და დახლოებით 87,000 განთავსების საშუალება.

მისი საშუალებით შესაძლებელია:

- სასტუმროებისა და ავიაბილეთების დაჯავშნა;
- სამოგზაურო მარშრუტის შედგენა;
- ტრანსპორტის საშუალებების დაჯავშნა.

ამადეუსის საერთაშორისო ქსელი რეალურ დროში ტურისტული პროდუქტის არჩევანის მრავალფეროვნებას უზრუნველყოფს (სასურველი პროდუქტის ფასის, დროისა და ადგილმდებარეობის კუთხით). პროგრამის მომხმარების შემთხვევაში ტუროპერატორს კლიენტის დაგალებით ტურისტული პროდუქტის დაჯავშნიდან გარკვეული პროცენტი ერიცხება.

## ფასი

ტურისტული პროდუქტის ფასი არის მომხმარებლის დანახარჯი დისტრიბუციის ქსელის სხვადასხვა ეტაპზე. ის მოიცავს თქვენგან პროდუქტის ყიდვისას განეულ ხარჯს, შუამავლებისთვის შეთავაზებულ საკომისიოს, წმინდა განაკვეთებს და განაკვეთებს ბავშვებისა და სტუდენტებისთვის. აღნიშნული ასევე მოიცავს დაჯავშნის პირობებისას და წარმატების შემთხვევაში უცვლესი ტურისტის დაგალებით ტურისტული პროდუქტის დაჯავშნიდან გარკვეული პროცენტი ერიცხება.

და კონკურენტულად უნდა იყოს შეფასებული. ამისათვის საჭიროა დანახარჯის თითოეული კომპონენტის ნათელი ცოდნა, მათ შორის საკომისიოს მისი მთლიან ფასზე ეფექტის ჩათვლით. ფასის სწორად განსაზღვრა უმთავრესი მოთხოვნაა წარმატებისთვის.

ფასის დადებისას საჭიროა შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- კონკურენტის ფასნარმოქმნის მექანიზმი;
- ფასი, რომლის გადასახდელადაც თქვენი სამიზნე ბაზარი მზად არის;
- დისტრიბუციის ხარჯი (საკომისიოები), რომელიც მთლიან ფასშია შესული;
- ფიქსირებული და ცვალებადი ხარჯი;
- სეზონურობა;
- მოგების მარჟა.

## რა ტიპის განაკვეთები არსებობს?

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემის საშუალებით პროდუქტის გაყიდვისთვის აუცილებელია საკომისიოების ფასის სტრუქტურაში ასახვა. საკომისიო არის გადასახადი, რომელსაც შუამავალს უზდით პროდუქტის რეალიზაციისთვის. აღნიშნული ნარმოადგენს მათ შემოსავალს, მათ მიერ განეული მომსახურებისა და ოპერაციებისთვის. დისტრიბუციის სისტემის თითოეულ დონე განსხვავებულ საკომისიოს იღებს. თუ პროდუქტის ფასი არ ითვალისწინებს სხვადასხვა სახის საკომისიოს, რომელი იქნება მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანა შუამავლების დახმარებით.

## მნიშვნელოვანი:

- შუამავლები უზრუნველყოფენ დისტრიბუციას, რომელსაც დამოუკიდებლად ვერ განახორციელებთ.
- საკომისიოს გადახდა პროდუქტის რეალიზაციის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ხდება

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემასთან მუშაობისას, საჭიროა გაიგოთ განსხვავება წმინდა და მთლიან (საცალო) განაკვეთებს შორის და განსაზღვროთ სწორი განაკვეთები დისტრიბუციის თითოეულ დონეზე. მნიშვნელოვანია ნათლად იყოს განსაზღვრული მთლიანია განაკვეთი თუ წმინდა.

მთლიანი განაკვეთი = წმინდა განაკვეთი + შუამავლის საკომისიო

პროდუქტის მთლიანი ან საცალო განაკვეთი არის თანხა, რომელსაც მომხმარებელი იხდის და ის ყველა სადისტრიბუციო არხთან თავსებადი უნდა იყოს. მაგალითად, მომხმარებელი უნდა იხდიდეს ერთსა და იმავე ფასს, როცა ის ჯავშნის პირდაპირ, საერთაშორისო ტურისტული აგენტის თუ ინტერნეტის საშუალებით. მომხმარებელი არ იყიდის შუამავლისგან წინასწარ, თუ იცის, რომ თქვენგან შემცირებულ ფასად შესყიდვა შეუძლია. აგენტები არ მოახდენენ თქვენი პროდუქტის პრომოუშენს და ბაზარზე გატანას, თუ ეცოდინებათ, რომ მომხმარებელი მათგან არ იყიდის.

წმინდა განაკვეთი= მთლიანი განაკვეთი-შუამავლის საკომისიო.

წმინდა განაკვეთები შუამავლებს მიეწოდებათ და მომხმარებლისთვის მიწოდებამდე ფასნამატის განსაზღვრა ხდება. რომლის საშუალებით ხარჯები და საკომისიოები იფარება.

თქვენმა წმინდა განაკვეთმა უნდა მოიცვას ყველა ხარჯი და მოგების მარჟა.

## რეკომენდაციები ფასის დადებისას

- დაადეთ სწორი ფასი და შეადარეთ ის კონკურენტების მიერ შემოთავაზებულ ფასებს;
- ააგეთ სრულად შესაბამისი განაკვეთების ცხრილი;
- დარწმუნდით, რომ დადებული ფასი უზრუნველყოფს საკმარის მომგებიანობას და ბრუნვას;
- ჩამოაყალიბეთ დაჯავშნის პირობები;
- მოახდინეთ ყოველგვარი სეზონურობის იდენტიფიცირება თქვენს პროდუქტში შესაბამისი განაკვეთების ცვლილებებით;
- ანარმოეთ მიწოდებული ტარიფების აღრიცხვა, შემდგომში მის განსაახლებლად;
- არ ეცალოთ დაარცესოთ სხვადასხვა ფასი ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისთვის, თუ არ არის განსხვავება შეთავაზებებში.

## ტუროპერატორების ფასნარმოქმნა

ტურისტული პაკეტის ფასმა უნდა ასახოს ყველა ის დანახარჯი, რომლის განევაც უხდება ტუროპერატორს ტურისტული პროდუქტების შესაძნად შემდგომში მათი პაკეტში ჩართვის მიზნით. ამ თანხას ემატება მიზნობრივი ბაზრისთვის განსაზღვრული მოგების მარჟა. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით, რომელიც ფასისმიერი დისკრიმინაციის სახელით არის ცნობილი, ერთი და იგივე პაკეტის ფასი შეიძლება განსხვავდებოდეს სამიზნე ბაზრების მიხედვით. მაგალითად, ტურისტული პაკეტი მაღალგადახდისუნარიან სეგმენტს შეიძლება უფრო ძვირად შესთავაზოთ, ვიდრე სეგმენტს, რომელსაც დაბალი შემოსავლები აქვა. შესაბამისად, ამ ბაზრებს შემთხვევაში სხვადასხვა მოგების მარჟა იქნება გათვალისწინებული.

რჩევები ტუროპერატორებს ტურისტული პაკეტის ფასდადებისას:

- ფასნარმოქმნის პროცესში გაითვალისწინეთ ტურისტული პროდუქტების შეძნასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი. ამასთან, არის თუ არა მომსახურების მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელი და მოახდენთ თუ არა დღგ-ს ჩათვლას;
- განსაზღვრეთ ფასები სამიზნე ბაზრების მიხედვით;
- გაითვალისწინეთ კონკურენტების ფასნარმოქმნა;
- ფასის დადების პროცესში გაითვალისწინეთ ყველა ტურისტულ პროდუქტზე ფასნამატის დონე. მაღალი დონის კომპენსაცია შესაძლებელია სხვა რომელიმე პროდუქტზე ფასნამატის დაბალი დონის დაწესებით.

ანგარიშსწორების პროცესში გასათვალისწინებელია უშუალოდ მომხმარებელზე ყიდით ტურისტულ პაკეტს თუ უცხოურ პარტნიორ კომპანიაზე. უცხოური პარტნიორი კომპანიები ჩვეულებრივ ანგარიშსწორებას ახდენენ მომსახურების გაწევის შემდეგ.

## ადგილი

დისტრიბუცია არის დამაკავშირებელი რგოლი პროდუქტსა და მომხმარებელს შორის. დისტრიბუციის სტრატეგია მხედველობაში იღებს “ადგილს”, სადაც თქვენი პროდუქტი იყიდება. გამომგზავრებამდე საერთაშორისო მოგზაურებამა შეიძლება პაკეტი ადგილობრივი ტურისტული აგენტისგან შეიძლება მომინიჭინობის ჩამოსვლის შემდეგ დაჯავშნონ.

ნაკლებ დამოუკიდებელი მოგზაურები სავარაუდოდ უფრო მეტად მოგზაურობენ ტრადიციული სადისტრიბუციო არხის საშუალებით. შედარებით გამოცდილი მოგზაურები კი მრავალ აქტივობას ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ უწევენ ორგანიზებას. ამასთანავე არ უგულებელყოთ ისეთი სადისტრიბუციო წერტილები, როგორიცაა: ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრი, სასტუმროს კონსილირი, რომელსაც პოტენციური მომხმარებელი შეიძლება დაუკავშირდეს.

სავაჭრო მარკეტინგული სტრატეგია უნდა ასახავდეს:

- როგორ შეისყიდის თქვენი სამიზნე ბაზარი ამ ტიპის პროდუქტს?
- როგორ გაიგებენ პროდუქტის შესახებ?
- როგორ მოახდენთ პროდუქტის დისტრიბუციას სავაჭრო წერტილების საშუალებით?
- რა ხარჯებთან არის დაკავშირებული?
- დაუსახეთ თუ არა მიზნები თქვენი პროდუქტის დისტრიბუტორებს?
- აქვთ თუ არა ტრენინგი გავლილი თქვენი პროდუქტის გასაყიდად?
- როგორ უკუკავშირს ელოდებით? რა სიხშირით?
- აქვთ თუ არა მათ თქვენს პირდაპირ კონკურენტებთან კავშირი?

მნიშვნელოვანია აკონტროლოთ თითოეული სადისტრიბუციო პარტნიორის შედეგი, საიდან მოდის შეკვეთები და რომელ პარტნიორებს მოაქვთ ყველაზე მეტი შემოსავალი. ეს დაგეხმარებათ მარკეტინგული დანახარჯების პპტიმიზირებაში და შესაძლებლობას მოგცემთ გაამყაროთ ურთიერთობები კარგი შედეგების მქონე აგენტებთან და პარტნიორებთან.

## პრომოუშენი

პროდუქტის პრომოუშენი მოითხოვს სამიზნე ბაზრისა და მასთან მისაღწევი ყველაზე ეფექტური გზის ცოდნას.

პრომოუშენისთვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებები:

- **რეკლამირება** - ბეჭდვა, მაუწყებლობა, ინტერნეტი და სხვა;
- **საზოგადოებრივი ურთიერთობა** - მედია რელაზები, პრეს კონფერენციები, ინტერვიუები და პრეზენტაციები;
- **პრესონალური გაყიდვები** - სავაჭრო და მომზარებელთა ღონისძიებები, კომერციული წინადადებები, თანამშრომელთა ტრენინგები;
- **გაყიდვების სტიმულირება** - წამახალისებელი გაყიდვები, რომელიც მოიცავს ფასდაკლებებს, აქციებს, სავაჭრო წარმოდგენებს და სხვ.

კარგი პრომოუშენის სტრატეგია უნდა მოიცავდეს აქტივობების კომბინაციას, რომლის დახვენაც შესაძლებელია ბიზნესში გამოცდილების ზრდასთან ერთად. არ შეგვინდეთ ახალი სტრატეგიების გამოცდის, მაგრამ დარწმუნდით, რომ მათი ეფექტიანობის გაზირებას შეძლებთ.

იმის მიუხედავად, თუ რომელ მასტიმულირებელ აქტივობას გამოიყენებთ, თქვენი მარკეტინგული დანახარჯების მონიტორინგი ძალზედ მნიშვნელოვანია. ეს დაგეხმარებათ განსაზღვროთ რომელი კამპანიები გააგრძელოთ და რომელი მათგანი საჭიროებს გადახედვას. ამისთვის შეგიძლიათ მარტივად ჰერიტეიტობით მომხმარებელს, როგორ აღმოაჩინეს თქვენი პროდუქტი, როდესაც დაჯავშნის შესახებ დაგიკავშირდნენ.

## რეკლამირება

რეკლამირება ძეირია, განსაკუთრებით საერთაშორისო გარეტინგის წარმოებისას. ადგილობრივ ბაზარზე მისი მნიშვნელობა დიდია, თუმცა საერთაშორისო ბაზარზე რეკლამირების როლი შედარებით მცირეა. ეს ძირითადად გამოწვეულია სავაჭრო სადისტრიბუციო პარტნიორებზე დამოკიდებულებით, რომლებიც პრომოუშენს საერთაშორისო ბაზარზე ახდენენ.

იმის გაგება, თუ როგორ იღებს სამიზნე ბაზარი მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილებას, საშუალებას მოგცემთ აირჩიოთ საუკეთესო შუალებები და აუდიტორია მთავარი გზავნილის მისაწილებლად. თუ სამიზნე ბაზარი ტურისტულ აგენტებზე დამოკიდებული დაჯავშნის პროცესში, უფრო ეფექტურები იქნება რეკლამირება პროდუქტის ბუკლეტებით. თუ ის ტურების უმრავლესობას გეგმავს ინტერნეტის საშუალებით, გამოიყენეთ რეკლამა მაღალი ხარისხისა და პროფილის მქონე ვებ-გვერდზე.

თუ თქვენ მომხმარებლის მოზიდვა მათი ჩამოსვლის შემდეგ გსურთ, რეკლამირება ტურისტულ მეგზურში უნდა განახორციელოთ, რომელიც მოგზაურებს ქალაქის სასტუმროში მიენიდებათ.

## საზოგადოებრივი ურთიერთობები

კარგი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამყარება ერთერთი ხარჯთევეტიანი გზაა პროდუქტის და გამოცდილების სტიმულირებისთვის. ამის მისაღწევად კი საჭიროა კარგი რეპუტაციის მქონე მასმედიის საშუალებით ბიზნესის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

საზოგადოებრივი ურთიერთობები განსხვავდება რეკლამისგან, რომლის დროსაც პროექტის სტიმულირებისთვის გარკვეული საფასურის გადახდა ხდება. საზოგადოებრივი ურთიერთობების შემთხვევაში, ინფორმაცია თქვენი ბიზნესის შესახებ უზრნალ-გაზირების და ბეჭდური მასალის საშუალებით ვრცელდება. იმის გამო, რომ მასალები დამოიკადებლად მოიპოვება, ისინი შედარებით სარწმუნო წყაროს წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში გამოიკვლეოთ:

- რა ტიპის ინფორმაციის წარდგენა ხდება მათ მიერ;
- როგორ ხდება ინფორმაციის წარდგენა;
- ვინ არის სამიზნე აუდიტორია, მკითხველი თუ მსმენელი.

წარმატების მისაღწევად აუცილებელია მედიისთვის დასაბეჭდად „გამზადებული მასალების“ მიზნდება, რომელიც წაახალის ჟურნალისტებს ან გამომცემელს, დაწეროს თქვენს პროდუქტიზე. საზოგადოებრივი მედია ყოველთვის ეძებს ახალ, განსხვავებულ, საზოგადოებრივი ინტერესითა და ემოციური ვიზუალით გამორჩეულ ამბებს.

## ციფრული მარკეტინგი

ციფრული მარკეტინგი (ცნობილი ასევე, როგორც ელექტრონული მარკეტინგი, ონლაინ მარკეტინგი) ან ინტერნეტ მარკეტინგი) არის მარკეტინგის ტიპი, რომელიც კონცენტრირებულად ინტერნეტ სივრცეზე. ციფრულ მარკეტინგში შედის შემდეგი:

- ონლაინ რეკლამა;

- საძიებო სისტემების მარკეტინგი<sup>2</sup> და საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია<sup>3</sup>;
- სოციალური ქსელები და მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტი (user generated content);
- მობილური ტელეფონების გამოყენება ინტერნეტში საძიებლად;
- ვებ-გვერდის პრომოუშენი;
- ელექტრონული ფოსტის და ვირუსული კამპანია<sup>4</sup>.

ონლაინ მარკეტინგისგან შესაძლებელია შემდეგი სარგებლის მიღება:

- მეტ საერთაშორისო მომხმარებელზე წვდომა;
- შესვლის დაბალი დანახარჯები;
- ტრადიციული მარკეტინგის ფორმებთან (მაგ. რეკლამა) შედარებით ხარჯთეფეტიანობა;
- მარკეტინგული აქტივობების შედეგების გაზომვისა და გაანალიზების შესაძლებლობა;
- დაჯავშნისა და შეკვეთების ავტომატიზირებული პროცესი.

## **როგორ ვაწარმოოთ ეფექტიანი მარკეტინგული კამპანია ვებ-გვერდის საშუალებით?**

ვებ-გვერდმა უნდა ასახოს თქვენი ბიზნესის ინდივიდუალურობა პროდუქტის ეფექტიანი გაყიდვების უზრუნველსაყოფად.

ვებ-გვერდის განვითარების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები:

- უზრუნველყოფით, რომ საიტი სწრაფად ფუნქციონირებდეს, იყოს ადვილად გამოყენებადი და აღქმადი ნებისმიერი ზომის ეკრანზე, როგორიცაა სმარტფონი და ტაბლეტი;
- აირჩიეთ მარტივად დასამახსოვრებელი „დომეინ“;
- გამოიყენეთ ძების ოპტიმიზაციის სერვისი თქვენს ვებ-გვერდზე წვდომის გასაუმჯობესებლად;
- უზრუნველყოფით მომხმარებლისთვის რელევანტური და მოსახერხებელი ნავიგაციის შესაძლებლობა ვებ-გვერდზე;
- მომხმარებელს მიანოდეთ მოწესრიგებული, მაღალი ხარისხის და განახლებული ინფორმაციის;
- განათავსეთ ბმულები სოციალურ ქსელებში;
- გამოიყენეთ ბლოგები მომხმარებლებთან ორმხრივი კავშირის განსაკითარებლად;
- განათავსეთ სურათები და ვიდეოები თქვენს ვებ-გვერდზე;
- განათავსეთ თქვენი რეგიონის ძირითადი ტურისტული ორგანიზაციებისა და შემაგრებელი პროდუქტების საიტების ბმულები თქვენს გვერდზე;
- გამოიყენეთ ინტერაქტიული გზა მომხმარებლებთან ურთიერთობისთვის თქვენი პროდუქტის განსახილებლად და შესაფასებლად;
- შესთავაზეთ დაჯავშნის მარტივი პროცედურები და უსაფრთხო გადახდის ტექნოლოგია, იმისთვის რომ მომხმარებელი კომფორტულად გრძნობდეს თავს გადახდისთვის საჭირო დეტალების შეყვანისას.

## **რა არის სოციალური მედია და როგორ გამოვიყენოთ ის ბიზნესში წარმატებისთვის?**

სოციალური მედია ხელს უწყობს ინტერაქტიულ პროცესს და ინფორმაციის გაცვლას ონლაინ რეჟიმში. იგი ადამიანების ურთიერთობებზე დამყარებული ონლაინ გარემოა.

ბიზნესი იყენებს სოციალურ მედიას, როგორც ინსტრუმენტს მომხმარებლებამდე მისაღწევად და რეპუტაციის შესაქმნელად ან შესანარჩუნებლად. სოციალური მედია განაგრძობს ზრდას და გლობალურად უფრო მეტ მომხმარებლამდე მიღწევის შესაძლებლობაც შესაბამისად იზრდება. ქვემოთ მოცემულია პოპულარული საიტები, რომლებიც ტურისტულ ბიზნესში აქტიურად გამოიყენება.

## **Facebook**

Facebook მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია დაახლოებით 1.1 მილიარდი აქტიური მომხმარებლით. Facebook-ის სწრაფად მზარდი დემოგრაფიული კატეგორია არის 45-54 წლის ასაკობრივი ჯგუფი. უფასო პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კლიენტებთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, ასევე მათთან უკუკავშირის მიზნით. თუ თქვენ ბიზნესის მფლობელი ხართ, შესაძლებლობა გეძლევათ შექმნათ Facebook გვერდი, რომელიც წარადგენს თქვენს ბიზნესს. აქ განათავსებთ ინფორმაციას თქვენი კომპანიის შესახებ, ასევე სახალისო და ყოველდღიურ სიახლეებს.

## **Twitter**

Twitter არის პოპულარული სოციალური ქსელი და ინტერაქტიული მიკრო ბლოგინგის სერვისი, რომელიც მობილური ტელეფონისა და ინტერნეტის ინტერფეისის საშუალებით, მომხმარებლებს 140 სიმბოლოსგან შემდგარი შეტყობინების დაგზავნის შესაძლებლობას აძლევს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მომხმარებლის გზავნილით (ე.წ. ტვიტი) დაინტერესება მოხდება, შესაძლებელია სიახლეების გამოწერა. ტურისტული ბიზნესის კუთხით, Twitter გამოყენება ინდუსტრიის სიახლეების გასაცნობად, კონტაქტების დასამყარებლად, ონლაინ რეპუტაციის მონიტორინგისა და ბიზნესის ინდივიდუალური ფაქტებისა და სიახლეების მარტივად გასაზიარებლად.

## **YouTube**

Youtube მსოფლიოში მეორე უდიდეს საძიებო სისტემას წარმოადგენს google-ის შემდეგ. ის ვიდეო გაზიარების საიტია, რომელსაც ყოველთვიურად მიღიარა მეტი აქტიური მომხმარებელი ჰყავს. თქვენ შეგიძლიათ თქვენს პროდუქტზე ან ტურზე შექმნათ ხარისხიანი მოკლე ვიდეოები, რომლებიც გადმოსცემს იმ გამოცდილებას, რომლის მიღებაც თქვენს სტუმრებს შეეძლებათ. გამოიყენეთ საკვანძო სიტყვები თქვენი ვიდეოს დასახელებაში იმისათვის, რომ გაუადვილოთ მომხმარებელს საძიებო სისტემის მეშვეობით მისი პოვნა.

## **Pinterest**

Pinterest არის ვირტუალური დაფა, სადაც მომხმარებლებს

<sup>2</sup> საძიებო სისტემების მარკეტინგი არის ინტერნეტ მარკეტინგის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მოიცავს პროდუქტის ვებ-გვერდის პრომოუშენს ფასიანი რეკლამების საშუალებით, რომელსაც შედეგად საძიებო შედეგების ვებ-გვერდებში საიტის ხილვალის რაოდენობის გაზრდა მოჰყებება.

<sup>3</sup> საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია არის პროცესი, რომელიც მაქსიმიზაციას უკეთებს კონკურენტულ ვებ-გვერდზე ვიზუალური გვერდების შედეგების სამართვის მიზან მაღალ ადგილს უზრუნველყოფს.

<sup>4</sup> ვირუსული კამპანია არის მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც პროდუქტის ან სერვისის შესახებ ინფორმაციის და მოსაზრებების გავრცელების საშუალებით როგორიც არის ვებ-გვერდი ან ელექტრონული ფოსტის და ვირუსული კამპანია.

შესაძლებლობა აქვთ შექმნან საკუთარი პროფილი და გააზიარონ მათი საყუარელი სამოგზაურო დანიშნულების ადგილების ფოტოები. Pinterest ჰყავს დაახლოებით 50 მილიონი მომხმარებელი, რომელთა უმრავლესობაც მდედრობითა სქესის წარმომადგენელია. ამ საიტზე შესაძლებელია ბიზნეს გვერდის შექმნა თქვენი პროდუქტის ან რეგიონის ვიზუალურად წარსადგენად მაღალი ხარისხის ფოტოების საშუალებით.

## Instagram

Instagram არის აპლიკაციაზე დაფუძნებული ფოტო და ვიდეო გაზიარების სოციალური ქსელი. ეს არის მზარული და ორიგინალური გზა, თქვენი ბიზნეს შეთავაზებების მისაწოდებლად ფოტოების და 15 წამიანი ვიდეოების საშუალებით. მრავალფეროვანი ფილტრების გამოყენებით, შესაძლებელია ფოტოს ხარისხის გაუმჯობესება და თქვენი რეგიონისა თუ პროდუქტის სურათების გაზიარება რეალურ დროში. ის არის ძალიან სწრაფად მზარდი სოციალური ქსელი, რომელიც ადვილი და სწრაფია გამოსაყენებლად.

## Linked In

Linked In არის ბიზნესების დამაკავშირებელი სოციალური ქსელი 225 მილიონზე მეტი მომხმარებლით. მომხმარებელი ხსნის ანგარიშს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს შექმნას საკუთარი პროფილი სრული სამუშაო გამოცდილების მითითებით და ამასთანავე დაუკავშირდეს სხვა პროფილებს.

Linked In არის კარგი შესაძლებლობა ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან დასაკავშირებლად და თანამშრომლების დასაქირავებლად. შესაძლებელია ბიზნეს გვერდის შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ინფორმაციას თქვენი ბიზნესის შესახებ. თუ თქვენი მომხმარებელი აქტიურად იყენებს Linked In-ს, შესაძლებლობა გეძლევათ, დაამყაროთ ურთიერთობები და კავშირები მასთან.

## Google +

Google+ არის Google-ის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი. ყველა Google -ის ანგარიშის მქონე მომხმარებელი ავტომატურად ფლობს Google+ -ის ანგარიშსაც. ის სთავაზობს მრავალფეროვან მახასიათებლებს პერსონალური პროფილებისა და კომპანიის გვერდების ჩათვლით. Google+ - ის ანგარიშის შექმნა დაგეხმარებათ გააუმჯობესოთ თქვენი სამიერო რეიტინგები და გაუადვილოთ მომხმარებლებს თქვენი ვებ-გვერდის პოვნა.

## Flickr

Flickr არის ონლაინ ფოტო მენეჯმენტის საიტი, სადაც ყველას შეუძლია ატვირთოს ფოტოები და მსოფლიოს გაუზიაროს. თქვენი საკუთრების ან ტურების ფოტოების განთავსება ისეთ ონლაინ ფოტო მენეჯმენტის საიტზე, როგორიცაა Flickr, აამაღლებს პროდუქტის ცნობადობას და შესაძლებლობას მოგცემთ გახვიდეთ სხვადასხვა ბაზარზე. ამ საიტზე ასევე შესაძლებელია მაღალი რეზოლუციისა და ხარისხის ფოტოების შენახვა, რომლებსაც ადვილად ჩამოტვირთავს და გამოიყენებს მედია.

## სწრაფი ბმულები:

სოციალური მედია საიტები  
[www.facebook.com](http://www.facebook.com)  
[www.twitter.com](http://www.twitter.com)  
[www.youtube.com](http://www.youtube.com)  
[www.pinterest.com](http://www.pinterest.com)  
[www.instagram.com](http://www.instagram.com)  
[www.linkedin.com](http://www.linkedin.com)  
[www.plus.google.com](http://www.plus.google.com)  
[www.flickr.com](http://www.flickr.com)

## როგორ შევქმნათ პროშურები?

პროშურების შექმნა მთავარი საპრომოციო დანახარჯია მრავალი ტურისტული ბიზნესისთვის. დიზაინის პროცესში რამდენიმე ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით შესაძლებელია თქვენი მარკეტინგული შეტყობინების ეფექტიანობის გაუმჯობესება. გადასაწყვეტია, ბროშურას მიაწოდეთ მომხმარებელს, ტურისტულ შეუძლიალს თუ ორივეს. ბროშურის მომზადებისას გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

- უზრუნველყავით ბროშურის ისეთ ფორმატში შექმნა, რომელიც შეეფერება თქვენს სამიზნე ბაზარს. განსაზღვრეთ დისტრიბუციის ადგილები (გამოფენებზე, ლონისძიებებზე და სხვა), რადგან ეს გავლენას მოახდენს მის ზომასა და დიზაინზე. უწვევულო ფორმები, ზომები და დიზაინი ლამაზია, თუმცა შეიძლება შეზღუდოს მათი წარდგნის და დისტრიბუციის შესაძლებლობა;
- განათავსეთ თქვენი კომპანიის სახელი მთავარი გვერდის დასაწყისში და ის ნათლად აღქმადი გახდება გამოფენებზე;
- მოკლედ აღწერეთ თქვენი პროდუქტი და მისი გასაყიდი ადგილები, გამოიყენეთ მოკლე წინადადებები და ადვილად გასაგები ენა, რომელიც ადვილად აღქმადია და კონცენტრაციას ახდენს გამოცდილებაზე. გახსოვდეთ, რომ მომხმარებლებისთვის ინგლისური შეიძლება მეორე ენა იყოს;
- შეიტანეთ საკონტაქტო დეტალური ინფორმაცია, როგორიცაა: ფიზიკური მისამართი, ელ-ფონსტის მისამართი, ვებ-გვერდის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომერი საერთაშორისო კოდების ჩათვლით;
- გამოიყენეთ ხარისხის ფოტოები, რომლებიც გამოხატავენ დადებით ემოციებს. შეგიძლიათ გამოიყენოთ ფოტო-არქივი;
- გამოიყენეთ რეკლემი თქვენი პროდუქტის ადგილმდებარების საილუსტრაციოდ;
- საფასო დეტალებმა შეიძლება შეზღუდოს თქვენი ბროშურის სასიცოცხლო ცეკვი, მისი ხშირი ცვლილებების გამო. დარწმუნდით, რომ ნათლად გაქვთ ჩამოყალიბებული პირობები;
- ყურადღებით წაიკითხეთ შემუშავებული ბუკლეტი, სანამ დასაბუჭდად გაუშვებთ.



# საქართველოს სახადიფო კოლეგიუმი და საგადასახლი აღმატაბი ტურიზმის ცენტრი

სახელმწიფოს ტურიზმის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მას შეუძლია ტურიზმის, როგორც განვითარების სტიმულირება, ასევე მისი დაბრკოლებაც. სტიმულირების მაგალითად შესაძლებელია ავიაციის ინდუსტრიის სუბსიდირება და ტურისტული ინფრასტრუქტურის (პორტები, აეროპორტები და გზები) მშენებლობა მოვიყვანოთ. გარდა ამისა, სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ქვეყნის და მისი რეგიონების შესახებ ცნობადობის ამაღლების კუთხით საერთაშორისო ბაზარზე. მისი მნიშვნელობა დიდია უსაფრთხოების რეგულაციებშიც. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საკვების უსაფრთხოება რესტორნებში. ტურიზმის განვითარების დაბრკოლების ერთ-ერთი კველაზე პირდაპირი გზა გადასახადებია, რომელიც ზრდის ფასს ტურისტულ სერვისებზე. ზოგ შემთხვევაში ერთ-ერთი კველაზე ხელისშემლელი ფაქტორი გარემოს დაცვითი რეგულაციები შეიძლება იყოს. სახელმწიფომ ასევე შეიძლება დროთა განმავლობაში შეცვალოს თავისი პოლიტიკური ინსტრუმენტები ტურიზმის სტიმულირებასთან დაკავშირებით. ამის კველაზე კარგი მაგალითი კაზინოა. სსვა-დასხვა ქვეყანაში ამ კუთხით განსხვავებული გამოცდილებაა. ზოგი ქვეყანა კაზინოების სტიმულირებას ახდენს მისითვის, რომ მეტი ტურისტი მოიზიდოს, სსვები კი კრძალავენ. ზოგი ქვეყანა ამომრჩეველს აძლევს საშუალებას აირჩიოს იყოს ქვეყანაში კაზინოები თუ გაუქმდეს.

ტურიზმის მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე სრულიად გამართლებულია მის სამართავად ძლიერი და სტრუქტურულად გამართული ადმინისტრაციის არსებობა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურიზმის ადმინისტრაციას განმარტავს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს, რომელსაც ტურიზმის ადმინისტრირების ვალდებულება უმაღლეს დონეზე აქვს, ან უფლებამოსილება გააჩნია პირდაპირი ინტერვენცია განახორციელოს ტურიზმის სექტორში.

მტო-ს განმარტებით ტურიზმის ადმინისტრაციის არსებობა შემდეგი საჭიროებებიდან გამომდინარეობს:

- ტურიზმისთვის მნიშვნელოვანი ეროვნული პოლიტიკის კონდინირება (გადასახადები, მომხმარებელთა დაცვა, სოციალური და შრომის კანონმდებლობა, გარემოს დაცვის და განათლების პოლიტიკა და ა.შ.);
- ტურიზმის განვითარების პოლიტიკასა და საზღვარგარეთ რეკლამირებას შორის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა;
- ინოვაციების მხარდაჭერა (ახალი ტურისტული პროდუქტების პოლიტიკა), რაც გულისხმობს მათ დისტრიბუციის გამარტივებას ქვეყანაში და ბაზარზე დამკვიდრებას;
- სტატისტიკის შეგროვება და ეკონომიკური აქტივობის ეროვნულ დონეზე მონიტორინგი ტურიზმის სსვა სექტორის მართვისა და სამართლებრივი მიმართულებით ნასამართავად;
- ტურიზმის სექტორში კრიზისების მენეჯმენტი;
- ქვეყნის ნარმოჩენა სავაჭრო და სამომხმარებლო გამოფენებზე.

ტურიზმის ადმინისტრაციები განსხვავდება მათი სტრუქტურის და სახელმწიფოს სსვა ორგანოებთან დამოკიდებულებ-

ის მიხედვით. ტურიზმის ადმინისტრაციების სამი ძირითადი ფორმა არსებობს:

- სახელმწიფო ტურიზმის სამდივნო, რომელიც არის მაღალი დონის ოჯისი და ფუნქციონირებს დამოუკიდებლად ან სამინისტროს ფარგლებში და ჰყავს წარმომადგენელი აღმართულებელ ხელისუფლებაში. მაგალითად ლიბის ტურიზმის სამინისტრო.
- სახელმწიფო სააგენტო ან ბიურო დეპარტამენტის ფარგლებში (როგორიცაა კომერციის ან ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტი), რომელიც ანგარიშვალდებულია ამავე დეპარტამენტთან. მაგალითად, ტაივანის ტურიზმის ბიურო.
- კვაზი-სახელმწიფო ტურიზმის კორპორაცია, რომელიც ხშირად მოიცავს კერძო სექტორის წარმომადგენლებს და ფინანსდება კერძო წყაროებიდან. ეს ფორმა სხვებთან შედარებით უფრო დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. მაგალითად კანადის ტურიზმის კომისია.

ტურიზმის ადმინისტრაციის სტრუქტურა ადაპტირებულია ქვეყანაში არსებულ პირობებთან. სტრუქტურა შესაძლებელია შეიცვალოს დროში სიტუაციის ცვლილების შესაბამისად. ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა სახელმწიფოს და კერძო სექტორის როლის განსაზღვრა ტურიზმის განვითარებასა და მენეჯმენტში.


## საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტივობები

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს კერძო სექტორის მხარდასაჭერად. განხორციელებული ძირითადი აქტივობები მოიცავს:

- მასშტაბურ მარკეტინგულ კამპანიებს შიდა და საერთაშორისო ბაზებზე. ადმინისტრაცია მონაწილეობს მსოფლიოს გარშემო ძირითად საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, ახორციელებს პრეს და გაცნობით ტურიებს და აწარმოებს აქტიურ ციფრულ მარკეტინგს სხვადასხვა არხის საშუალებით.
- მომსახურების ხარისხის ზრდის მიზნით ჩატარებული ტრენინგები. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით ტურიზმში დასაქმებული ადამიანებისთვის ინტენსიური ტრენინგები ხორციელდება. სასწავლო კურსები მოიცავს შემდეგ თემატიკას: გიდის უნარების მიმართ მარკეტინგი და გაყიდვების მხარდაჭერა, ჰიგიენა და უსაფრთხოება, ღვინო და კულინარია და სხვ.
- რეგიონებში ტურიზმის განვითარება. რეგიონების როლის გაზრდის და უფრო მოქნილ სისტემაზე გადასვლის მიზნით 2004 წელს მოხდა ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების შემოღება. საქართველოში ტურისტული ადგილის მართვის ოფისები ჩამოყალიბების პროცესშია, რომელმაც უფრო მკვეთრი დეცენტრალიზაცია უნდა მოახდინონ. გარდა, ამისა აჭარაში ფუნქციონირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

- ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება. ტურისტული მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებში განიხილება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს პროექტ „ლვინის გზის“ ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდაზე, სამთო საფეხმავლო ბილიკების მარკირებაზე, საინფორმაციო დაფარისა და მიმართულების მანიშნებლების მონტაჟზე.
- ახალი პროდუქტების და პაზრების ათვისება. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში მუდმივ რეუიში მიმდინარეობს ახალი პროდუქტების და პოტენციური ბაზრების პოტენციალის კვლევა და მათი მოზიდვის მეთოდების შემუშავება.

### საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია





## რა არის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა?

სავაჭრო გამოფენა (სავაჭრო შოუ, ექსპო) სპეციფიკური ინდუსტრიის კომპანიების თაყვანილობაა, სადაც მათ შესაძლებლობა ეძღვევათ წარადგინონ უახლესი პროდუქტები და სერვისები, შეხვდნენ ინდუსტრიის პარტნიორებს და მომხმარებლებს, შეისწავლონ კონკურენტების აქტივობები და გაეცნონ ბაზრის ტენდენციებს და შესაძლებლობებს. ტურიზმის ინდუსტრიისთვის საერთაშორისო ტურისტული გამოფენები შეხვედრების ინდუსტრიის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ის კარგი მარკეტინგული საშუალებაა, სადაც ტურისტული პროდუქტების გამოფენა სპეციფიკური აუდიტორიისთვის ხორციელდება. მიუხედავად იმისა, თქვენ საბითუმო თუ საცალო მოვაჭრე ბრძანდებით, სავაჭრო შოუებზე დასწრებას მრავალი უპირატესობა აქვს. რა თქმა უნდა გამოფენაზე დასასწრებად დანახარჯების განევა მოგინევთ, თუმცა სარგებლობა საკმაოდ დიდია ღირებული გამოცდილების და ცოდნის მიღების სახით. ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი მიზეზები გამოფენაზე დასასწრებად.

- მიიღეთ თქვენი კომპანიისთვის საინტერესო ცოდნა ტურიზმის ახალი ტენდენციების, პროდუქტების და რესურსების შესახებ. ეს არის საუკეთესო საშუალება გაიგოთ რა სჭირდება თქვენს კომპანიას და რა უნდა გააკეთოს ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.
- შეხვდით სხვა ტურისტულ კომპანიებს, ეცადეთ ისწავლოთ მათგან, მიიღოთ გამოცდილება.
- შეისწავლეთ თქვენი კონკურენტები და შეადარეთ მათ თქვენი კომპანია. ეს საშუალებას მოგცემთ განსაზღვროთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც თქვენი ბიზნესის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ.
- გაზარდეთ საკონტაქტო პირების რაოდენობა და დამყარეთ სტრატეგიული კავშირები პარტნიორებთან და მომხმარებლებთან. აუცილებლად შეაგროვეთ ბიზნეს ბარატები.
- მონაწილეობა მიიღეთ საგანმანათლებლო სემინარებში, ღონისძიებებსა და გამოკითხვებში, რაც საშუალებას მოგცემთ ახალი ადამიანები გაიცნოთ.
- მიიღეთ დაუყოვნებლივი პასუხები თქვენს კითხვებზე სხვა ტურისტული კომპანიებისგან, რადგან ტურისტული გამოფენები საშუალებას იძლევა მოხდეს მარტივი კომუნიკაცია.
- მიიღეთ მეტი ინფორმაცია ინდუსტრიის შესახებ, იმისთვის,

რომ უკეთესად მოახდინოთ თქვენი კლიენტების მომსახურება ყველა რესურსის გამოყენებით, რომელსაც სავაჭრო შოუ გთავაზობთ.

- გაერთეთ, რომ დარჩეთ მოტივირებული და მოგინდეთ მეტი მუშაობა. სხვა არაფერი არ აძლევს ბიზნესის მფლობელს იმდენ ენერგიას, რამდენსაც კარგად გატარებული დრო სამუშაო პერიოდში.

როგორც უკვე აღინიშნა, ტურისტული გამოფენები მოიცავს მნიშვნელოვან მარკეტინგულ ინვესტიციებს მონაწილე კომპანიებისგან. დანახარჯები მოიცავს: ადგილის დაქირავებას, დიზაინს და კონსტრუირებას, მოგზაურობას, განთავსებას, საპრომოციო ლიტერატურას და დამსწრე საზოგადოებისთვის გადასაცემ ბროშურებს. დამატებითი დანახარჯები არსებობს ასევე შოუზე ისეთ სერვისებზე, როგორიცაა: ელექტროენერგია, სტენდის განვითარება, ინტერნეტ მომსახურება. შედეგად ქალაქები ხშირად ახდენენ ასეთი სახის ბაზრობების ორგანიზებას, რადგან მათი ჩატარება ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს. ტურისტული გამოფენები ქვეყნებისთვის, სადაც ისინი ტარდება, მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარების გენერატორია და ათასობით დოლარის გამომუშავებას ახდენს სასტუმროების, რესტორნების და სხვადასხვა ღირშესანიშნაობებისთვის. ტურიზმის შოუები მნიშვნელოვანი ნაწილია შეხვედრების ინდუსტრიისთვის.

## როგორ მივიღო მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში?

საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად პირველ რიგში საჭიროა საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. რეგისტრაციის გასავალებად შემდეგი საბუთები დაგჭირდება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- კომპანიის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის ასლი;
- ტურისტული კომპანიის ანკეტა და განცხადება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სახელზე (ორივე მათგანი იყვენება ადგილზე).

ბაზაში რეგისტრაცია საშუალებას მოგცემთ მოხვდეთ ელექტრონული ფოსტის საკონტაქტო სიაში, რომლის საშუალებითაც ყოველი წლის დეკემბერში დაგეგზავნებათ ინფორ-

მაცია მომავალ წელს დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენების შესახებ, სადაც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია იღებს მონაწილეობას. ინფორმაციის გაცნობის და თქვენთვის საინტერესო ბაზრის არჩევის შემდეგ როგორია წერილით წერილით უნდა მიმართოთ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას კონკრეტულ გამოფენაზე მონაწილეობის სურვილის გამოხატვით. წერილის საფუძველზე დგება მემორანდუმი, რომლის ხელმოწერის შემდგომ საშუალება გექნებათ მონაწილეობა მიიღოთ გამოფენაში.

## მნიშვნელოვანი:

- ☒ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მთლიანად ფარავს ფართის დანახარჯს. თანამონაწილეობის თანხით კი იჯარება სტენდის დანახარჯები.

## როდის ტარდება საერთაშორისო ტურისტული გამოფენა საქართველოში?

საქართველოში ყოველწლიურად საერთაშორისო ტურისტული გამოფენა Caucasus Tourism Fair იმართება, რომელიც წლიდან წლამდე იმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო გამოფენების სიაში. ბოლო, მე-21 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა და ტურისტული ფასდაკლებების ფესტივალი 2019 წლის 3-5 მაისს გაიმართა.

## რა არის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია?

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით დანიშნულების მართვის ორგანიზაცია არის „წამყვანი ორგანიზაციული ერთეული, რომელიც როგორც წესი მოიცავს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს, დაინტერესებულ მხარეებს და პროფესიონალებს და ხელს უწყობს პარტნიორობას ტურისტული ადგილის სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაში“.

მსოფლიოში დანიშნულების მართვის ორგანიზაციები განსხვავდება მართვის ფორმის მიხედვით. არსებობს როგორც მთლიანად სახელმწიფო უწყების ფორმა, სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობის და მთლიანად კერძო სექტორზე აწყობილი მოდელი.

დანიშნულების მართვის ორგანიზაციის განვითარების საწყისი ეტაპი ტურისტული ადგილის მიმდინარე მდგომარეობის დადგენაა. ამ მიზნით იდეალურ სიტუაციაში საკონსულტაციო პროცესი ტარდება, სადაც ტურისტული ადგილის ყველა დაინტერესებული პირი იღებს მონაწილეობას, მათ შორის: კერძო და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოება (ადგილობრივი საზოგადოება და რეზიდენტები, აკადემიური სფერო, არასამთავროები და ა.შ.) და სხვ. შედეგად, დანიშნულების მართვის ორგანიზაცია განსაზღვრავს ტუ-

რისტული ადგილის განვითარების სტრატეგიას, რომელიც ადაპტირებული იქნება მონაწილეების საჭიროებებზე და პრიორიტეტებზე.

დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) საქმიანობა, როგორც წესი, მარკეტინგულ აქტივობებს მოიცავს, თუმცა ბოლო პერიოდში საქმიანობის სფერო ფართოვდება, რაც გამოიხატება სტრატეგიულ ლიდერობაში ტურისტული ადგილის დაგეგმვასა და მენეჯმენტში. მისი წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია მისი შესაძლებლობით მიიღოს შესაბამისი ნდობა ყველა მოქმედი დაინტერესებული პირისგან და განხილული იყოს როგორც ლეგიტიმური უწყება ინსტიტუციურად, ლეგალურად და ოპერაციული კუთხით. ამის განსახორციელებლად შესაბამისი სახელმწიფო მოდელი უზრიშვნელოვანების ელემენტია. დანიშნულების მართვის ორგანიზაციების ფუნდამენტური ფუნქციებია:

- სტრატეგიული დაგეგმვა;
- ტურისტული ადგილის ტურიზმის პოლიტიკის ფორმულირება (ან ფორმულირებაში მონაწილეობა);
- ბაზრის შესახებ ინფორმაცია (ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი, ბაზრის კვლევება, ა.შ.);
- ტურისტული პროდუქტი და ბიზნესის განვითარება;
- დიგიტალიზაცია და განვითარება;
- მონიტორინგი;
- კრიზისის მენეჯმენტი;
- ტრენინგი და უნარების ზრდა (საკუთარი ადამიანური რესურსებისთვის და ადგილობრივი ტურიზმის პროფესიონალებისთვის);
- პრომოუშენი მარკეტინგი და ბრენდინგი;
- დაფინანსება და ინვესტიციების მოზიდვა;

დმო-ს მთავარი ფუნქციაა სახელისუფლო უწყებების, დაინტერესებული პირების და პროფესიონალების კოორდინირება ერთი მთავარი მიზნისთვის - ტურისტული ადგილის კონკურენტურიანობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში.

ტურისტული ადგილები, რომელიც კოორდინირებულია და მართულია დანიშნულების მართვის ორგანიზაციის მიერ გამოირჩევინ მეტი ინვაციით და ეფექტურანტით დაგევამვასა და პროდუქტის განვითარებაში, ასევე გაზრდებული გადაწყვეტილების მიღებებში. ეფექტური ტურისტული ადგილის მართვის ორგანიზაციის რამდენიმე უპირატესობა მოცემულია ცხრილში.

## სწრაფი პმულები:


მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პუბლიკაცია <https://www.e-unwto.org/doi/book/10.18111/9789284420841>

კონკურენტურიანობის ამაღლება	ტურიზმისგან სარგებლობის გაფართოება
მდგრადობის უზრუნველყოფა	ტურიზმის კულტურის გაღრმავება ტურისტულ ადგილა
ინსტიტუციური მმართველობის გაძლიერება	ტურისტული შემოსავლის გაუმჯობესება
გადაფარვის თავის არიდება და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება	ძლიერი ბრენდის ჩამოყალიბება

## დანიშნულების მართვის ორგანიზაცია საქართველოში

საქართველოში დანიშნულების მართვის ორგანიზაციების მოდელის შექმნა რეგიონალური განვითარების პროექტის „კახეთის და იმერეთის რეგიონების ტურიზმის მარკეტინგი, პრომოუშენი, ონლაინ დაფარვა და დანიშნულების მართვა“ ფარგლებში განხორციელდა, რომელიც მსოფლიო პანკის მრავალმილიონიანი მხარდაჭერის ნაწილია და მიმართულია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისკენ. ექსპერტებმა რამდენიმე ვარიანტიდან შეიმუშავეს საქართველოსთვის ყვე-

ლაზე მორგებული სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობაზე დაფუძნებული დანიშნულების ადგილის მართვის კონცენტრაცია. კონცეფცია მოიცავს ორგანიზაციის მისას, სტრუქტურას, ოფიციალური შიდა ორგანიზაციას, დანიშნულების მართვის ორგანიზაციის კავშირს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, შესაძლო დაფინანსების წყაროებს, საზოგადოების ცნობადობის ამაღლების საშუალებებს, პერსონალის სამუშაო აღწერას, კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობებს და დეტალურ სამუშაო პროგრამას. დმო-მ უნდა განვითაროს გეგმა, რომელიც ხედვასთან თანხვედრაში იქნება და უზრუნველყოფს ტურიზმის მდგრად განვითარებას და შესაბამის აქტივობებს ამ მიზნის



მისაღწევად. მან უნდა იმუშაოს სახელმწიფოსთან, დონორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან პროდუქტის განვითარების სტრატეგიის შესამუშავებლად და ტურისტული ადგილის გასაყიდად, მნიშვნელოვანი დახმარებით კერძო სექტორიდან. საქართველოსთვის შემუშავებული დმო-ს მოდელი პპრობაციას რამდენიმე რეგიონში გადის: კახეთი, იმერეთი, სამცხე ჯავახეთი, სამეგრელო ზემო სვანეთი.

მოდელი ფუნქციებში შემცირებულია:

- ტურისტული პროდუქტის განსაკუთრებით კი ტურისტული მარშრუტების განვითარება რეგიონში, რომელიც აკავშირებს არსებულ პროდუქტებს და სერვისებს მომხმარებელს, ასევე ფესტივალების ორგანიზება;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საშუალებით ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე პრომოუშენი და მარკეტინგი (ციფრული, ბეჭდური); ზოგიერთ შემთხვევაში მარკეტინგული აქტივობები საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე;
- ძირითადი რეგიონალური სტატისტიკა, როგორიცაა ტურისტული რესურსები, შემოსვლები, დამისთევები, მოტივაცია, კმაყოფილება;
- ტრენინგები და საუკეთესო პრაქტიკის ცოდნის გაზიარება განსაკუთრებით მცირე ზომის პარტნიორი ტურისტული ბიზნესებისთვის
- ტურისტებთან და ტურისტულ ბიზნესებთან კომუნიკაცია-ტურიზმის განვითარების მნიშვნელობის წარმოსაჩენად
- ეკონომიკური განვითარების და ინვესტიციების პრომოუშენი

## აწარმოე საქართველოში

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროგრამა რეგიონებში ეხება დაინტერესებულ მეწარმეს, რომელიც ააქტინებს ახალ სასტუმროს საქართველოს რეგიონებში, (თბილისისა და ბათუმის გარდა), მოახდენს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოვება/გადაიარაღებას, ასევე, გააფორმებს ფრენ-შაიზინგის ხელშეკრულებას სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანს უცხოურ ბრენდს ქართულ ბაზარზე.

პროგრამის ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აწარმოე საქართველოში ახდენს სამი სახის თანადაფინანსებას, ესენია: ფრენშაიზინგის ხელშეკრულები და სესხის თანადაფინანსება, მხოლოდ ფრენ-შაიზინგის ხელშეკრულების თანადაფინანსება და მხოლოდ სესხის თანადაფინანსება. პროგრამა ასევე მოიცავს ბენეფიციარებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის თანადაფინანსებას.

## მნიშვნელოვანი:

- ☒ სსიპ აწარმოე საქართველოში ასევე პერიოდულად ახორციელებს მიერო და მცირე ბიზნესის შელშეწყობის საგრანტო პროგრამას, რომელიც ტურიზმსაც მოიცავს.

## სწრაფი ბმულები:

დამატებითი ინფორმაცია და პირობები იხილეთ შემდეგ მისამართზე: [www.enterprisegeorgia.gov.ge](http://www.enterprisegeorgia.gov.ge) ან საკონსულ-

ტაციო ცენტრის მეშვეობით ნომერზე: 15 25

**პროგრამა „გადაილე საქართველოში“** მიზნად ისახავს, საქართველოს აღმოსავლეთ ევროპაში მიმზიდველ გადასალებ ცენტრად ქცევას. პროგრამის ფარგლებში დაინერგა ე.წ „cash rebate“ მქანიზმი, რომელიც კინომწარმოებლის მიერ საქართველოში დახარჯული ბიუჯეტიდან კვალიფიციური ხარჯების ნაწილის (პროცენტის) ანაზღაურებას გულისხმობს. აღნიშნული მექანიზმი მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული. საქართველოს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობასა და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს განვითარების კუთხით საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს.

„ერთი სარემლის“ პრინციპის გამოყენებით პროგრამა ხელსაყრელ გარემოს უქმნის საქართველოში ფილმის გადაღებით დაინტერესებულ პროდიუსერებს. პროგრამა გულისხმობს დახმარებას სასურველი ლოკაციების მოძიებაში, კინოგადაღების დაგეგმვაში, ნებართვების მიღებასა და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციაში. საქართველოში გადაღებები ძირითადად განხორციელდა შემდეგ ლოკაციებზე: თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ყაზბეგი, სვანეთი, ლიკანი, ბორჯომი, თუშეთი და ჯავახეთი. კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - აწარმოე საქართველოში, საქართველოს ეროვნულ კინოცენტრითან თანამშრომლობით.

## სწრაფი ბმულები:

[www.filmingeorgia.ge](http://www.filmingeorgia.ge)

## საპარტნიორო ფონდი

საქართველოს საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით შესაძლებელია ინვესტიციების განხორციელება სასტუმროს ბიზნესში. ფონდი კერძო ინვესტორებს სთავაზობს თანადაფინანსებას და თანამონაწილეობას. ფონდი აფინანსებს კერძო ინვესტორებს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საპარტნიორო ფონდს შეუძლია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში, შემდეგი მიმართულებებით: ენერგეტიკა, უძრავი ქონება, წარმოება, სოფლის მეურნეობა;
- ფონდი ახორციელებს ინვესტიციებს მხოლოდ კომერციულად მოგებიან პროექტებში;
- ფონდი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა კაპიტალში და ასევე გასცეს სუბორდინირებული/უპირატესი სესხები (**both convertible and non-convertible**);
- ფონდის მონაწილეობა პროექტში, იქნება ეს კაპიტალისა თუ სესხის სახით, არ უნდა აღემატებოდეს კერძო ინვესტორის წილს;
- ფონდის მიზანია მიიღოს მონაწილეობა პროექტებში უმცირესი თანამენილის სახით, საშუალო ან გრძელვადიანი პერსპექტივით. როდესაც პროექტი გახდება მდგრადი, ფონდი გამოდის თანამონაწილეობიდან.

## პროექტები საპარტნიორო ფონდის თანამონაწილეობით

- სასტუმრო „როიალბატონი“ ყვარელში (დასრულებული)
- სასტუმრო “Gino Wellness Spa” (დასრულებული)
- სასტუმრო „რედისონი“ წინანდალში (დასრულებული)
- სასტუმრო „ბორჯომი ლიკანი“ (დასრულებული)
- დასასვენებელი კომპლექსი საირმეში (დასრულებული)
- სასტუმრო “Best Western” ქუთაისში (დასრულებული)
- ლოპოტას სასტუმრო კომპლექსი (დასრულებული)
- სასტუმრო აბასთუმანში (მიმდინარე)

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები:

- პარტნიორს უნდა ჰქონდეს ფინანსური რესურსი კაპიტალის სახით პროექტის ნაწილის დასაფინანსებლად;
- წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება (ბაზრის კვლევა);
- ფონდის წილი არ უნდა იყოს მთლიანი ინვესტიციის 50%-ზე მეტი;
- პროექტიდან ფონდის გასვლა უნდა იყოს შესაძლებელი 3-7 წლის განმავლობაში.

## სწრაფი ბმულები:

საპარტნიორო ფონდი  
[www.fund.ge](http://www.fund.ge)

## საქართველოს ტურიზმის განვითარების სფონდი

2016 წლის ოქტომბერში საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ინიციატივით ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული სანვესტიციო პროექტებისთვის შეიქმნა საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი, რომლის მიზანია გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი პროექტების მხარდაჭერა, მაღალმხარჯველი ტურისტების მოზიდვა და საქართველოს დამკაიდრება შსოფლიო ტურიზმის რუკაზე.

ფონდის დაფუძნების იდეა გაჩნდა სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის აღსანიშნავია ქვეყანაში მნიშვნელოვნად და სწრაფი ტემპით მზარდი ტურისტული წარმატებები და ამავე დროს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით არსებული გამოწვევები.

სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი მზად არის მიმდინარე პროექტების გარდა განიხილოს სხვა ისეთი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც უკავშირდება რეგიონის ბუნებრივი პოტენციალის ათვისებას და ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრების შექმნას თანამედროვე დასასვენებელი და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურით. ტურიზმის განვითარების ფონდის მიმდინარე პროექტების მსგავსად ახალ პროექტებში ძირითადი აქცენტი გრძელვადიანი პერსპექტივის მქონე ინვესტიციებზე გაკეთდება.

საინვესტიციო მიმართულებასთან ერთად საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სასტუმროების მართვის კომპანიის კომპონენტი. ფონდის ქვეშ გაერთიანდა ქართული კომპანია, რომელიც ლიცენზირებულია მარიოტის საერთაშორისო ქსელის მიერ, რაც მას უფლებამოსილ ხდის იყოს ნებისმიერი სასტუმრო კომპლექსის სრულყოფილი მართვის სერვისის მიმწოდებელი, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სასტუმროების მართვის კომპანიას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება რეგიონალური ტრენინგ ცენტრების შექმნის კუთხით, რომელიც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადებას, მათი კვალიფიკაციის ფონის ამაღლებას და სერვისის ინდუსტრიის განვითარებას რეგიონების მასშტაბით.

## პროექტები ტურიზმის განვითარების ფონდის თანამონაწილეობით

მარიოტის ქსელის, „Luxury Collection“-ის ბრენდის სასტუმრო თავისუფლების მოედანთან;

მარიოტის ქსელის, „Autograph Collection“-ის ბრენდის სასტუმრო და საკონფერენციო დარბაზი სოლოლაკის ქედზე;

მარიოტის ქსელის, „Autograph Collection“-ის ბრენდის სასტუმრო და გოლფ კლუბი თაბორზე;

სასტუმრო ერეკლე II-ს მოედანზე;

საოფისე შენობა ერეკლე II-ს მოედანზე;

მარიოტის ქსელის, „Autograph Collection“-ის ბრენდის სასტუმრო „პარაგრაფ რიზორტი და სპა შეკვეთილში“;

სასტუმრო განმუხურში;

სამკურნალო-გამაჯანსალებელი კომპლექსი მწვანე კონცხზე;

სასტუმრო სიღნაღმში;

მარიოტის ქსელის, „Autograph Collection“-ის ბრენდის გამაჯანსალებელი სასტუმრო აბასთუმანში;

ამჟამად საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის საინვესტიციო პორტფელში ათი პროექტი ერთანდება, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 600 მლნ აშერიკულ დოლარს აჭარბებს. პროექტები ვითარდება ქ. თბილისში, კახეთში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში. ათივე პროექტი განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა და დღეის მდგომარეობით მათში ჯამურად უკვე ინვესტირებულია 297 მლნ აშშ დოლარზე მეტი. ამ მასშტაბური პროექტების ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე ჯამურად დასაქმდება 10,000 ადამიანზე მეტი, ხოლო კომპლექსების ამოქმედების შემდეგ მუდმივად დასაქმებულთა რიცხვი 2,500-ს გაუტოლდება.

## სწრაფი ბმულები:

საქართველოს თანაინვესტირების ფონდი  
[www.gcfund.ge](http://www.gcfund.ge)



## საგადასახადო შეღავათები ტურიზმში

საქართველოში ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით შემდეგი საგადასახადო შეღავათები არსებობს:

### ტურიზერატორებისთვის:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან ჩათვლის უფლებით, თუ:

1. ხდება ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა;
2. ტურიზერატორის პაკეტი მოიცავს მინიმუმ ორ მომსახურებას

### ტურისტული საწარმოსთვის:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების ან მათი ნაწილის სხვა პირისათვის მიწოდება ამ ქონების უკან მიღების მიზნით. არის შემთხვევები, როცა ტურისტული საწარმო აქტივებს ან მათ ნაწილს ყიდის უკან დაბრუნების გარეშე. ასეთ შემთხვევაში თუ სასტუმროს აქტივების მესაკუთრე ორი წლის განმავლობაში გააფორმება სასყიდლიან ხელშეკრულებას და ტურისტულ საწარმოს ოპერირებისთვის გადასცემს სასტუმროს ოთახს, მაშინ ეს ოპერაციაც გათავისუფლდება დღგ-სგან ჩათვლის უფლებით და მოხდება დასაბეგრი იპერაციის კორექტირება.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 983-ე მუხლის მე-სამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჯ“ ქვეპუნქტის და 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტურისტული საწარმოს მიერ (ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ) სასტუმროს ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არა უმტეს 60 დღის ვადით მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ განეცივისთვის:
- მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება ამ პერიოდის მანძილზე სასტუმროში ცხოვრების შედეგად სასტუმროს ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი და ტურისტული საწარმოს მიერ უსასყიდლოდ განეცული მომსახურების შედეგად.
- საქართველოს გადასახადისაგან თავისუფლდება სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ ამ პერიოდში სასტუმროში ცხოვრების შედეგად მიღებული სარგებელი.
- დღგ-სგან თავისუფლდება ჩათვლის უფლებით ტურისტული საწარმო, რომელიც მოცემულ პერიოდში სასტუმროს ნომრის მესაკუთრეს უსასყიდლოდ ანვდის მომსახურებას.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 1332-ე” მუხლის პირველი და მეორე ნაწილის შესაბამისად ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება იძეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5%- ან განაკვეთით. ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი,

<sup>5</sup> საგადასახადო კოდექსში ამჟამად წარმოდგენილი ტურისტული საწარმოს განმარტება ხშირად ორაზროვნებას იწვევს. ეს განმარტება თავისი შინაარსით ყველაზე ახლოს დგას საზოვარებრივი დამკვიდრებულ სასტუმროს ტაპთან, „AbaRt ცოტელი“-თან, რომელიც მიიცავს საცხოვრებელი ტურისტული გადასახადის რომელშემ არის სამზარეულო და ყველა საჭირო პირის დასახლებებისთვის და ასევე შესაძლებელია სასტუმროს მომსახურებისთვის სარგებლობა. ტურისტული საწარმოს განმარტება და თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილობდეს ის, შეგიძლია ითილოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 261 მუხლის.

<sup>6</sup> მაღალმთანი რეგიონი (მაღალმთანი დასახლება) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-4 მუხლის პირველი ცუნქტით გათვალისწინებული დასახლება, რომელიც შეტანილია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ მაღალმთან დასახლებათა წესსაში.

რომელიც დაიბეგრება გადახდის წყაროსთან, არ ჩაითვლება მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ არ დაბეგრება.

### მაღალმთანი რეგიონებისთვის:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჰ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება მაღალმთანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის მიერ მაღალმთანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით) მიღებული შემოსავალი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთანი დასახლებაში მუდმივად ცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ ამავე მაღალმთანი დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბორჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება მაღალმთანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთანი დასახლებაში საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები (რომლებიც გათვალისწილებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ - „დ“ ქვეპუნქტებით, შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით);
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქ“ და „ჸ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდებულია მაღალმთანი დასახლებაში მუდმივად ცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი; ასევე მაღალმთანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება — შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

### სწრაფი ბმულები:

საგადასახადო კოდექსი (მუხლი 26, 82, 99, 1332, 168, 206)

[www.matsne.gov.ge/ka/document/view/1043717](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1043717)

საქართველოს კანონი „მაღალმთანი რეგიონების განვითარების შესახებ“

[www.matsne.gov.ge/ka/document/view/2924386](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2924386)

### მოგების გადასახადის რეფორმა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რომელსაც საფუძვლოდ არის მოგების გადასახადის უდევს მოგების გადასახადის ეგრეთნოდებული „ესტონური მოდელი“.

აღნიშნული რეფორმის შესაბამისად მოგების გადასახადით დაბეგვრა განხორციელდება მოგების მიღების ნაცვლად მისი განაწილებისას. შესაბამისად, საწარმოები (მათ შორის ტურისტული სააგენტოები და ტუროპერატორები) მოგების გადასახადს გადაიხდიან, მხოლოდ მიღებული მოგების განაწილების შემთხვევაში. ამასთან, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას, რაც არა მარტო საწარმოს ფარგლებში, არამედ „ჯგუფის“ წევრ კომპანიებში მოგების გადასახადით დაბეგვრის გარეშე მიღებული მოგების რეინვესტირების საშუალებას იძლევა.

მოგების გადასახადით დაბეგვრება კომპანიის მიერ პარტიიორზე განაწილებული დივიდენდი, ასევე სხვა ფორმით განაწილებული მოგება, როგორიცაა: არაეკონომიკური საქმიანობისათვის განეული ხარჯები, ზღვრული ოდენობის ზემოთ განეული წარმომადგენლობითი ხარჯები, უსასყიდლოდ განხორციელებული ოპერაციები და მოგების სხვა ფარული განაწილები. შენარჩუნდება მოგების გადასახადის განაკვეთი (15 პროცენტი), ასევე შენარჩუნდება პროცენტზე, როიალტზე და დივიდენდზე არსებული გადასახადის განაკვეთი. მოგების გადასახადის საანგარიშო პერიოდად განისაზღვრება კალენდარული თვე და საწარმოებს, რომლებიც დაბეგვრებიან ახალი რეჟიმით, არ ექნებათ მიმდინარე (საავანსო) გადასახდელების გადახდის ვალდებულება.

## თავისუფალი ტურისტული ზონები

სასტუმროს ბიზნესში ინვესტიციების წახალისებისთვის შეიქმნა თავისუფალი ტურისტული ზონები. თავისუფალი ტურისტული ზონები ფუნქციონირებს ქობულეთში, ანაკლიასა და განმუხურში და ინვესტორებს სთავაზობს მთელ რიგ შეღავთებს. ინვესტორებს, რომლებიც განახორციელებენ სასტუმროს მშენებლობაში ერთ მილიონ ლარზე მეტ ინვესტიციას, შესაძლებლობა აქვთ მიიღონ შემდეგი შეღავთები:

- უფასო მიწა (სიმბოლურ ფასად ერთ ლარად);
- სასტუმროს უფასო პროექტი;
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლება;
- ტერიტორიის საინჟინრო კომუნალური ქსელებითა და სათანადო გარე ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- სასტუმროსთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგე-



ნილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის სტატუსის მინიჭება და მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით მიღება.

გარდა ამისა, ბაზარზე შესვლა შესაძლებელია არა მარტო როგორც სასტუმროს მფლობელის, არამედ სასტუმროს ოპერატორის სახითაც. მაგალითად, ბევრი ქართული სასტუმრო დაინტერესებულია საერთაშორისო ოპერატორებთან თანამშრომლობთ, რაც საშუალებას მისცემს მათ გაზარდონ მიღებული შემოსავალი და დატვირთვის კოეფიციენტის მაჩვენებლები.

თავისუფალ ტურისტულ ზონებში მენარმეებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი შეღავთებით:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „რ“ ქვეპუნქტების თანახმად, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება ტურისტული ზონის მენარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო ომომსახურების განევით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განაწილებლი განაცემები (რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველინ აწილის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტებით) 2026 წლისპირველ იანვრამდე;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტურისტული ზონის მენარმე სუბიექტის სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება თავისუფლდება ქონების გადასახადისგან 2026 წლის 1 იანვრამდე.

### სწრაფი ბმულები:

საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ:

[www.matsne.gov.ge/ka/document/view/1073482](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1073482)



# საქართველოს სტრატეგია 2025

## ტურიზმის სტრატეგია 2025

დაახლოებით ერთი წლის მუშაობის შედეგად 2015 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციიმ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაასრულა ტურიზმის სტრატეგიაზე მუშაობა. სტრატეგიის მომზადებისას კონსულტაციები გაიმართა ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ფართო სპექტრთან. კონსულტაციებში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო, კერძო სექტორის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის მიზანია ისეთი გზამყვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდას და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას.

ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა მისი ყველაზე მარტივი განმარტებით არის სასურველი მომავლის წარმოდგენა, შესაბამისი ნაბიჯების ორგანიზება და გადადგმა მიზნის მისაღწევად. სტრატეგიული დაგეგმვა შეიძლება შევადაროთ „გზამყვლებს“, რომელიც ტურიზმთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს და ქვეყანას მისა ახლანდელი მდგომარეობიდან გაუძლევება იმ მიზნისკენ, როგორებიც უნდათ რომ იყენენ რამდენიმე წლის შემდეგ. საქართველოს შემთხვევაში ეს 10 წელია. ეს არის ტურიზმის სარგებლიანობის ოპტიმიზირების პროცესი და საშუალება, რის შედეგადაც მიიღება ბალანსი შესაბამისი სარისხის და რაოდენობის მიწოდებასა და შესაფერის დონის მოთხოვნას შემორის. სტრატეგიული გეგმა შედგება სიტყვებისგან, რომელიც აღნერს იმ ძირითად გადაწყვეტილებებს, რომლის მიღებაც ორგანიზაციას სტირდება მომავალ წლებში. ის აანალიზებს თუ სად იყო ორგანიზაცია, სად უნდა წასვლა, როგორ მოხვდება იქ, რა რესურსები სტირდება იქ მოსახვედრად და როდის დაინტება პროცესი. ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა კოლაბორაციური მენეჯმენტის საშუალებაა, რომლის დახმარებითაც შემუშავდა ტურიზმის განვითარების ხედვა, მისია, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები და ტაქტიკები. პროცესი სტრატეგიულია, რადგან ის აძლევს ორგანიზაციას რაციონალურ საშუალებას მართოს რესურსები და მოახდინოს დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაახლოება ხარისხის, ეფექტურიანობის და ეფექტურობის ხაზგასმით. ის დაეხმარება ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის და დაინტერესებულ პირებს მომავალი გეგმების საზოგადოების საჭიროებებთან დაახლოებას, რაც ორგანიზაციის სტაბილურობას და ეფექტურობას განაპირობებს.

## ხედვა

ხედვის განსაზღვრა პირველი ნაბიჯი იყო ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. ხედვა სულ რამდენიმე სიტყვისგან შედგება და აღნერს სურათს თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის ტურიზმი მომავალში. ხედვა შეიძლება შთამაგონებელიც იყოს და მსოფლიოს აცნობდეს, თუ რისთვის სურს ქვეყანას რომ მას იცნობდნენ. სხვა სიტყვებით, ის იძლევა საერთო ოცნებას, რაც ყველა დაინტერესებულ პირისთვის მისაღებია. ხედვის შემუშავებისას დაინტერესებულ პირებთან რამდენიმე ბრეინსტორმინგის სესია ჩატარდა, სადაც მოხდა ხედვების დაახლოება. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის მიერ მოწვევული ექსპერტები. შედეგად ხედვამ შემდეგი ფორმულირება მიიღო:

„2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იქნება, როგორც მონინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით. ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მსოფლიოს მასშტაბით მაღალგადახდისუნარიანი ტურისტებისათვის უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით, საქართველო ტურიზმის დარგში კონკურენციის მონინავე რიგებში წარმოჩინდება. ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხის გაზრდის შედეგად ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად მოიმატებს. მეტი ყურადღება დაეთმობა ვიზიტორთა ხარისხსა და მრავალფეროვნებას და არა ვიზიტორთა მთლიან რაოდენობას.“

ტურიზმის სტრატეგიაში განსაზღვა რვა სტრატეგიული მიზანი, რომელმაც 2025 წლისთვის ბევრად განვითარებულ ტურიზმს უზრუნველყოფს საქართველოში. სტრატეგიული მიზანი ზოგადი ხასიათისაა, რომლის მისაღწევად შესაბამისი სპეციფიციური ამოცანები შემუშავდა. სპეციფიური ამოცანების შესრულება შესაბამისი აქტივობებით და პროექტებით ხორციელდება.

სტრატეგიაშივე მოხდა სამიზნე ინდიკატორების განსაზღვრა, რომელიც სტრატეგიული მიზნების შესრულების შედეგად უნდა იქნას მიღწეული.

## ტურიზმის რვა სტრატეგიული მიზანი

ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა;

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის მიზნით;


ეფექტური მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან; შიდა ტურიზმის სტიმულირება;

კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების მეშვეობით;

საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა;

ტურიზმის სფეროში მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის, ასევე სექტორის განვითარების შეფასების შესაძლებლობების გაუმჯობესება;

ზემოხსენებული ამოცანების მისაღწევად პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფო, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.



## მონიტორინგი და შეფასება

შეფასება არის სამუშაოების ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსთვის უკუკავშირს მათი პროგრამების მიზანშეწონილობის ან საქმის შესრულების შესახებ. ტურიზმის სტრატეგიაში შეფასება ახდენს სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც კონკრეტულად ამოცანის შესრულების ეფექტურიანობას ესება. შეფასება პირველ რიგში შექმნილია იმისთვის, რომ ტურიზმში ხელმძღვანელების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში. შეფასების პროცესში სხვადასხვა მოდელების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ კუთხით ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია დაბალისებულ მაჩვენებელთა სისტემას იყენებს, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

## მარკეტინგული სტრატეგია

საქართველოს მარკეტინგული სტრატეგიის შექმნა ტურიზმის სტატეგია 2025-ით იყო გათვალისწინებული, რომელიც მსოფლიო ბანკის რეგიონალური განვითარების პროექტის „კახეთის და იმერეთის რეგიონების ტურიზმის მარკეტინგი, პრომოუშენი, ონლაინ დაფარვა და დანიშნულების მართვა“ ფარგლებში რეალობად იქცა. მარკეტინგული სტრატეგიის მიზანია ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაციის ეფექტიანობის გაუმჯობესება, საქართველოს უკეთ პოზიციონირება ხარისხიანი ტურისტული ადგილის სახით, რომელიც უნიკალური და აუთენტური გამოცდილებების შეთავაზებას ახდენს. მარკეტინგული სტრატეგიის თანხმად სპეციფიკური პროდუქტების იდენტიფიცირებულ ბაზრებთან დაკავშირება უნდა მოხდეს. მარკეტინგული სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

- საქართველოს როგორც თანამედროვე და უსაფრთხო ტურისტული ადგილის იმიჯის შექმნა და მისი ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო, მაღალმხარჯველიან ბაზრებზე.
- საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება ტურისტულ ორგანიზაციებთან, ტუროპერატორებთან, შეხვედრების ინდუსტრიის ორგანიზაციონებთან და საერთაშორისო ავიაკომიპანიებთან.
- საერთაშორისო ვიზიტების გაზრდა.
- სეზონზე და არასეზონზე ტურისტების დანახარჯების და მათი ლამისთვების გაზრდა.

- ტურიზმიდან შემოსავლების გაზრდა.
- ტურისტების კმაყოფილობის დონის და ერთგულების გაზრდა განმეორებითი ვიზიტებისგან სარგებლის მისაღებად.

## საქართველოს ძირითადი ტურისტული პროდუქტები

ტურისტული ადგილის განვითარებისთვის და მარკეტინგისთვის ტურისტული პროდუქტების განსაზღვრა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ყველა შემდგომი გადაწყვეტილებების ორიენტირება ხდება. აუცილებელია შერჩეული პროდუქტების მიზნობრივი განვითარება და პოზიციონირება ბაზარზე დივერსიფიცირებულ მოთხოვნაზე საპასუხოდ. ტურისტული პროდუქტების აზრიანი შერჩევა და მათში პრიორიტეტიზაცია ფინანსური სახსრების მიზნობრივად გამოყოფის სამუალებას იძლევა.

ტურისტული პროდუქტების შერჩევისას შემდეგი საკითხების გათვალისწინებაა საჭირო:

- ტურისტული ადგილის მახასიათებლები;
- კონკრეტულობა, სპეციფიურობა და შეუცვლელობა;
- მიმდინარე და მომავალი ტენდენციები;
- არსებული ძირითადი ბაზრები;
- ღირებულების შექმნის პოტენციალი.

ტურისტული პროდუქტების შეთავაზებით ტურისტულ ადგილს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დიფერენციაცია ცხადი კონკურენტული უპირატესობით. ამასთანავე, პროდუქტები უნდა პასუხობდნენ მიზნობრივი ბაზრების მოთხოვნებს.

საქართველოს მარკეტინგულმა სტრატეგიამ საქართველოს ტურისტული შეთავაზებიდან იდენტიფიცირება სამ ძირითად ტურისტულ პროდუქტს გაუკეთა: ღვინო და საკვები, ბუნება და თავგადასავალი, კულტურული მემკვიდრეობა. ძირითადი ტურისტული პროდუქტების შერჩევა საქართველოს ამჟამინდელი იმიჯის და პოზიციონირების კვლევაზე, ასევე მიმდინარე ტენდენციებზე დაყრდნობით მოხდა, რომელიც საერთაშორისო დონეზე ასეთი სახის შეთავაზებზე ზრდად მოთხოვნას აჩვენებს. გარდა ამისა, კონკურენტუნარიანობის ანგარიშებიც ადასტურებს საქართველოს ამ პროდუქტებში შედარებით უპირატესობას.

## ბუნება და თავგადასავალი

ქალაქური დასვენება  
(City Breaks)


MICE

კულტურული  
მემკვიდრეობა

ლოინო და  
საკვები

მზე და ზღვა

ჯანმრთელობა და ველნესი



## ბუნება და თავგადასავალი (Nature and Adventure)

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარი, რომელიც მრავალ გარე აქტივობას მოიცავს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. ასეთი მრავალფეროვანი შეთაგაზებები იზიდავს უპირატესად საერთაშორისო ვაზიტორებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან კომპინირებული, ბუნებრივი და აუთენტური კულტურული გამოცდილების მიღებით. საქართველომ არსებული მდიდარი და ხელშეუხებელი ბუნებრივი სილამაზე, უნიკალური ბიომრავალფეროვნება, მიკროკლიმატი, ქვეყნას კარგ პოზიციაში აყენებს, რომ გაბარდოს ბუნებაზე ორიენტირებული მოგზაურობის ბაზარი.

**ბუნებრივი ლირშესანიშნაობები:** მღვიმეები, კანიონები, ტბები, ხეობები, ბუნებრივი ნაკრძალები და დაცული ტერიტორიები, ჩანჩქერები.

**კავკასიური თავგადასავალი:** ლაშქრობა და დაკვირვება, მთაზე ცოცვა (უშბა, თეთნულდი და სხვა), კლდეზე ცოცვა, პარაპლანით ფრენა, სხვადასხვა სტილის თხილამზებით სრიალი, სამთო ველოსიპედი, 4X4 მგზავრობა, ჯომარდობა, ჭეზით ჯირითი.

**აქტიური გარე თავგადასავალი (წყალი):** კაიაკინგი, სპორტული თევზაობა, ცურვა.

**ველური ბუნების ტურიზმი:** უნიკალური ფაუნა და ფლორა, ფრინველებზე და ცხოველებზე დაკვირვება, ტყეში სეირნობა, თევზაობა და ნადირობა.

## ღვინო და საკვები (Wine and Food)

სამზარეულოს უნიკალურობასა და ღვინის 8,000 წლიანი ისტორიიდან გამომდინარე, საქართველოს ღვინისა და საკვების ბაზარს ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს მარკეტინგი, ღვინისა და სამზარეულოსთან დაკავშირებული სერვისების განვითარება გამოიწვევს მაღალმხარჯელიანი ბაზრებიდან ვიზიტორების მოზიდვას.

**„ღვინის აკვანი:“** ღვინის დამზადების 8,000 წლიანი ისტორია, ქვევრი - ღვინის დაყენების უძველესი ტექნიკა, 525 ენდე-მური ყურძნის სახეობა.

ღვინის გზა კახეთისა და იმერეთში.

**უნიკალური ქართული სამზარეულო:** საჭაპური, ჩურჩხელა, ქართული პური, ხინკალი.

**საფესტივალო გასტრონომიული გამოცდილება:** ახალი ღვინის ფესტივალი, ყველის ფესტივალი, თბილისობა, რთველი.

## კულტურული მემკვიდრეობა (Cultural Heritage)

საქართველო წარმოადგენს მრავალფეროვანი და უნიკალური კულტურული შეთავაზების საზაფა, რომელიც მოცავს ანტიკურ ნანგრევებს, უნიკალურ და რეგიონისთვის დამახასიათებელ სამთო დასახლებების არქიტექტურას, უძველეს ისტორიას, რელიგიურ მემკვიდრეობას, ლვინის წარმოშობის ადგილს, ანტიკური კულტურების კვეთას, სოფლის ტრადიციებს და თბილისის კოსმოპოლიტურ კულტურას.

**იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილები:** გელათის მონასტრი, მცხეთის ისტორიული ძეგლები და ზემო სვანეთი.

**საქართველოს მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილები:** უძველესი ეკლესიები და მონასტრები, შუა საუკუნეების კლდეში ნაკვეთი ქალაქები, ციხესიმაგრეები.

**კულტურული ლირშესანიშნაობები:** ეთნოგრაფიული მუზეუმები, უნიკალური არქიტექტურა თუშეთსა და სვანეთში, სილნალის ცენტრი და მისი კედლები.

**მომლოცველობა/პილიგრიმობა:** უძველესი ეკლესიები და მონასტრები.

**ტრადიციული ქართული გამოცდილება:** სუფრა და სადლეგრძლო, ქართული მუსიკა და ცეკვა.



## ჯანმრთელობა და ველნესი (Health and Wellness)

საქართველოს ჯანდაცვა ფასის მიხედვით კონკურენტულად მდგრადია, სამედიცინო ტურიზმი კი ნიშვრი პროდუქტია, რომელსაც უდიდესი პოტენციალი გააჩნია საშუალოვადიან პერიოდში. საქართველო საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო სპა და მინერალური წყლებით, რაც დსთა-ს ქვეყნებიდან ვიზიტორების დაინტერესებას განაპირობებს.

**ჯანმრთელობა და სამედიცინო ტურიზმი:** ჯანმრთელობაზე ორიენტირებული კურორტები მრავალფეროვანი მკურნალობის საშუალებების შეთავაზებებით, მენტალური ჯანმრთელობა.

**გაჯანსალება და სილამაზე:** თერმო წყლებით გაჯანსალება, ბალნეოთერაპია, კლასიკური სპა მკურნალობა, წონის დაკლება, დეტოქსით მკურნალობა და სხვა.

**ფიზიკური სიჯანსალე:** წყალთან და დაცულ ტერიტორია-სთან დაკავშირებული გამოცდილება, როგორიცაა: სეირნობა, ველოსიპედით სიარული, ჯომარდობა/კაიაკინგი, ფიტნეს ვარჯიში.

## MICE ტურიზმი

**MICE** სექტორი საქართველოში ძირითადად ბიზნესთან და კორპორატიულ კლიენტებთან არის დაკავშირებული და მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. თბილისი და ბათუმი მიმზიდველი არჩევანია შეხვედრებისთვის დიდი რაოდენობის სასტუმროების და გასართობი საშუალებების გამო. რეგიონული სათხოლამურო კურორტები ბაჟურიანი და გუდაური პოპულარულია, როგორც ზამთრის ღონისძიებისთვის, ასევე კონფერენციების, ვორქშოუების, ტრენინგებისთვის და სხვა აქტივობებისთვის.

**კონფერენციები, კონგრესები და ბიზნეს მოგზაურობა:** ტრადიციული ან თანამედროვე გართობა, ღირშესანიშნაობები და ტურების არჩევანი.

**ბაზრობა და გამოფენები:** თბილისი და ბათუმი.

**ბუნებრივი და კულტურული თემატიკის გამოცდილება და გუნდური მუშაობის აქტივობები:** მთებში, ქალაქებით.

**სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები,** მუსიკალური ფესტივალები, კინოსა და თეატრის ფესტივალები: რაგბის თამაშები, **CHECK IN GEORGIA**, ბათუმის მუსიკალური ფესტივალი და სხვ.

**რეგიონული და ლოკალური კულტურული ფესტივალები:** თუშეთობა, თბილისობა, სვანეთობა, და ა.შ.

## ქალაქები დასვენება (City Breaks)

თბილისის კოსმოპოლიტური კულტურა, AIR B&B - ის და BOOKING.COM - ის სერვისების გაფართოება, აზარტული თამაშების ლეგალურობა, ასევე პირდაპირი ფრენების ზრდადი რაოდენობა განაპირობებს პროდუქტის „ქალაქები“ დასვენების“ ბაზრის ზრდას. მსოფლიო დონის კულტურა და გასართობი შეთავაზებები.

**თანამედროვე დამის ცხოვრება და გართობა:** კლუბები თბილისა და ბათუმში, ელექტრონული მუსიკის ადგილები.

**აზარტული თამაშები:** თბილისი, ბათუმი, გუდაური და სხვა კურორტები.

**ხელოვნება და კრეატიული ინდუსტრია:** თბილისის ქუჩის ხელოვნება, ალტერნატიული მუსიკა.

**ქალაქის შოპინგი და მწვანე ქალაქები:** შოპინგი, ბოტანიკური ბაღები, ტბები, მტირალას ეროვნული პარკი, თბილისის ეროვნული პარკი.

## მზე და ზღვა (Sun and Sea)

კარგად განვითარებული პროდუქტია მეზობელი და დსტა-ს ქვეყნებისთვის. ამ პროდუქტს აქვს ზრდის პოტენციალი, თუმცა არასაკმარისად პოზიციონირებულია დსტა-ს ფარგლებს გარეთ. მზის და ზღვის სხვა ტურისტულ ადგილებში არასტაბილურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში მოთხოვნის ზრდა. შავ ზღვაზე დასვენება მოიცავს:

**დამის ცხოვრება და გართობა:** ბათუმის ბულვარი, კლუბები, კაფეები და კაზინოები.

**ოჯახური დასვენება:** კურორტები, როგორიცაა ქობულეთი, ჩაქვი, გონიო, კვარიათი, ურეკის მაგნიტური ქვიშები.

**არასანაპირო გართობა:** კინტრიშის, ისპანის და მაჭახელას დაცული ტერიტორიები, მტირალას ეროვნული პარკი.




## ძირითადი ტურისტული ბაზრები და სეგმენტები

ძირითადი პროდუქტების შერჩევის შემდეგ მოხდა პრიორიტეტული ბაზრების გამოვლენა. საქართველოს მარკეტინგულ სტრატეგიაში მსოფლიოს ქვეყნების სხვადასხვა ჭრილში ანალიზმა და ინდიკატორებს შემუშავებამ 20 პრიორიტეტული ბაზარი გამოავლინა, რომლებიც სამ ძირითად ჯგუფში გაერთიანდა: მეზობელი ქვეყნები/დასთ, ევროპა (+ისრაელი) და გალფის (+ირანი) ბაზარი.

ხუთი ქვეყანა მოიაზრება როგორც შორეული / განვითარებადი ბაზრები, სადაც ერთიანდებიან აშშ, ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და ინდოეთი. ამ ქვეყნებში მარკეტინგი B2B-ზე ორიენტირებული უნდა იყოს და ტურისტული პაკეტების შეთავაზება საერთაშორისო თანამშრომლობით ხდებოდეს.

პოტენციურ / კომბინირებულ ბაზრებში მოხვდა 14 ქვეყანა, რომლებსაც ინდიკატორების თანახმად პრიორიტეტულ ბაზრებთან ერთად კომბინირებული მარკეტინგული აქტივობების პოტენციალი აქვთ.



## ძირითადი სამიზნე ბაზრები

### პოტენციური / კომბინირებული ბაზრები

შვეიცარია, სლოვენია, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, ხორვატია, საბერძნეთი, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, ესტონეთი, ფინეთი, ბულგარეთი, რუმინეთი.

## მოგზაურობის როგორი ტიპები არსებობს?

შერჩეულ მიზნობრივ ბაზრებზე ტურისტები შეიძლება დავახასიათოთ მოგზაურობის სხვადასხვა ტიპის მიხედვით, მათ შორის: დასვენება, ბიზნესი, სპეციალური ინტერესი ან ოჯახი. მოგზაურობის ტიპს გავლენა აქვს მათ გადაწყვეტილებებზე ტურების, აქტივობების, განთავსების საშუალებების შერჩევისას. ეს არჩევანი ასევე დამოკიდებულია ტურისტის ასაკზე, ბიუჯეტზე, კულტურულ იდენტობასა და ნინა მოგზაურობის გამოცდილებაზე.

## ახალგაზრდა მარტოხელები და წყვილები (YS/YC):

ეს სეგმენტი მოიცავს 30 წლის და ნაკლები ასაკის ვიზიტორებს, სტუდენტებს ან ახალგაზრდა პროფესიონალებს, რომლებიც შეიღების გარეშე მოგზაურობენ. სამოგზაურო ჯგუფებში შედიან მარტოდ მოგზაურები, წყვილები, მეგობრები, ორი ან ორზე მეტი წყვილი. ექებენ გასართობ გამოცდილებებს, რომლებიც მოიცავენ მრავალ აქტივობას მათ შორის კვებას და სასმელს, შეპინგს და ლონისძიებებს. ისინი ძირითადად საკუთარი შემოსავლებით მოგზაურობენ, დაინტერესებულები არიან თავგადასავლებით, გართობით, ქალაქური დასვენებით (City Break), მონანილებენ MICE ტურიზმში საკუთარი კარიერული წინსვლისთვის, ასევე მოგზაურობენ არა ტურისტულ სეზონზე.

ახალგაზრდა წყვილები (ოჯახს ქმნიან და ინვესტირებას ახორციელებენ უძრავ ქონებაში, სამსახურში, შემოსავლებში და კარიერულ გეგმებში) ექებენ ბუნებასთან და ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებულ ტურისტულ პროდუქტებს (გასტრონომია, კულტურული ღონისძიებები, მოდა და ტრენდული ღონისძიებები). მათ იზიდავთ ქალაქური გარემო და ექებენ გასართობ ადგილებს. ფასი და მარტივი ხელმისაწვდომობა ღირშესანიშნაობასთან და უსადენო ინტერნეტთან მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ირჩევენ დაბალფასიან განთავსების საშუალებებს.

## ზრდასრული მარტოხელები (AS):

ეს სეგმენტი 30-59 წლამდე ასაკის ადამიანებს მოიცავს, რომლებიც შეიღების გარეშე მოგზაურობენ. სამოგზაურო ჯგუფებში შედიან მარტო ან მეგობრებთან ერთად მოგზაურები. ისინი ექებენ გასართობ გამოცდილებებს, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვან აქტივობებს, მათ შორის ღონისძიებებს. სოციალიზაცია და ჯგუფური აქტივობა მნიშვნელოვანია ამ სეგმენტისთვის.

## ზრდასრული წყვილები (AC):

ზრდასრული წყვილები არიან 30-59 წლამდე ადამიანები, რომლებიც მოგზაურობენ შვილების გარეშე, არიან დაქორწინებულები ან ცხოვრობენ პარტნიორთან ერთად. ეგრეთ წოდებული “Empty Nesters” ადამიანთა კატეგორიაა, რომელთა შეიღები განცალევებულად ცხოვრობენ: მათ მეტი დრო რჩებათ მოგზაურობისთვის, ექებენ გამოცდილებებს, რომლებიც მათ ცხოვრებას გაამრავალფეროვნებს (კულტურა, კულტნარია)



ასევე უპირატესობას ანიჭებენ გაჯანსაღებას (ცელნეს და სპა, ასევე გაჯანსაღების პროგრამები).

ეს სეგმენტი ექებს სარელაქსაციო ადგილებს, სადაც მათ ერთად შეეძლებათ დროის ხარისხიანად გატარება, განსაკუთრებული თარიღის აღნიშვნა ან ყოველდღიურობისგან გაქცევა. მათ შეიძლება ისიამოვნონ ადგილობრივი კულტურით ან გართობით, ბუნებრივი სილამაზით, ადგილობრივი ლირსესანიშნაობების გამოკვლევით და იმ ხალხთან სოციალიზაციით, ვისთან ერთადაც ისინი მოგზაურობენ; ისინი ექებენ მრავალფეროვან ტურისტულ პროდუქტებს, ცდილობენ მთავარი ტურისტული ადგილის გარდა სხვა მრავალი ადგილის მონახულებას. ჩამოდიან არა მხოლოდ ტურისტულ სეზონზე, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ხარისხიან განთავსების საშუალებებს და მიირთმევენ მაღალი ხარისხის საკვებს.

## ოჯახები (F):

ეს სეგმენტი მოიცავს 60 წელზე ნაკლები ასაკის ადამიანთა ჯგუფს, ჰყავთ სულ მცირე ერთი შვილი 18 წელზე ნაკლები ასაკის და წარმადგენენ იჯახებს, რომლებისთვისაც მათი შვილების ბედნიერება და გართობა პრიორიტეტულია. მშობლებმა იციან, რომ რელაქსაციისთვის მეტი დრო ექნებათ თუ მათი შვილები რაღაცით დაკავებულები იქნებიან. მათი არჩევანი განთავსებაზე და საკვებზე ფასთან მიმართებაში სენსიტიურია და უნდათ, რომ წვდომა ჰქონდეთ მრავალ ღირშესანიშნაობაზე, სადაც უსაფრთხოება და მეგობრულობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ექებენ დასვენებისთვის განკუთვნილ ტურისტულ ადგილებს მთავარ ტურისტულ სეზონზე (ზაფხული და/ან ზამთარი). სჭირდებათ ტურისტული პროდუქტები ზრდასრულებისთვის და ბავშვებისთვის, მათი მთავარ დასვენების პერიოდი ძირითადად ბუნებაზე და სპორტულ აქტივობებზე დაფუძნებული, ხოლო მოკლე დასვენებებისას ისინი კულტურული ტიპის პროდუქტებს და ქალაქურ დასვენებას (City Brake) ამჯობინებენ.

## ხანდაზმული მოგზაურები (ST):

ეს სეგმენტი მოიცავს 60 წელზე მეტი ასაკის ადამიანებს, ისინი შეძლებული, განათლებული, ხარისხზე ორიენტირებული, მობილური და საქმაოდ ბევრი დროის მქონე ადამიანები არიან. უფროსი ასაკის ვიზიტორების რაოდენობის ზრდას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ტურიზმზე (პროდუქტები, სეზონურობა, სხვა) ძირითადად პენსიონერები საკმაოდ ბევრი თავისუფალი დროით, სტაბილური შემოსავლით და მაღალი მოლოდინებით ხასიათდებიან მათი წარსული მოგზაურობების გამოცდილებიდან გამომდინარე. ექებენ ჯანმრთელობის და სპა პროდუქტებს, კულტურას და განათლებას, გასტრონომიას, ახალ ტურისტულ ადგილებს და გამოცდილებებს. ამ სეგმენტის სამოგზაურო შეთავაზებებში მაღალი წილით ძირითადად წარმოდგენილია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტურისტული პროდუქტები, საგანმანათლებლო ვიზიტები, ინდივიდუალური ვიზიტები, რელიგიური მოგზაურობები და შოპინგ ვიზიტები. სამედიცინო და ველნეს პროდუქტებზე მოთხოვნა უფრო მაღალია სხვა სეგმენტისთან შედარებით.



ჯავუფური ტურები	სრულიად დამოუკიდებელი მოგზაურები
შუამავლების (ტურისტული კომპანიები, ონლაინ სერვისი და სხვ.) საშუალებით ტურების წინასწარი შესყიდვა	უყვართ საკუთარი მოგზაურობის დამოუკიდებლად დაგეგმვა
ურჩევნიათ სტრუქტურული მარშრუტები	ჩამოსვლამდე გეგმავენ დასევნების ძირითად კომპონენტებს
ორგანიზებული და წინასწარ დაჯავშნილი ტურები	ხშირად მარშრუტებს გეგმავენ ჩამოსვლის შემდეგ
იყენებენ შუამავლების შეთავაზებულ პროდუქტებს	მოგზაურობის დაგეგმვისას დამოუკიდებულები არიან სიტყვიერ რჩევებზე, ინტერნეტზე და სოციალურ მედიაზე
მოგზაურები ნაწილობრივი პაკეტით	მეგობრების და ნათესავების მონახულება
ჩამოსვლამდე გეგმავენ „პაკეტის ჩონჩხს“, რომელიც მოიცავს მგზავრობის დანახარჯებს, ტრანსფერებს და განთავსების საშუალებებს	მეგობრების და ნათესავების მონახულებას აღნიშნავენ, როგორც მოგზაურობის პირველად მიზანს
ეძებენ კონკურენტულ შეთავაზებებს	ხშირად ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გარდა სხვა ტურისტული დანიშნულების ადგილებისკენაც მოგზაურობენ
დამატებითი მომსახურებების შესყიდვა ხდება მოგზაურობის ადგილზე	მოგზაურობის დასაგეგმად რჩევებს საქართველოში მცხოვრები მეგობრებისგან და ნათესავებისგან იღებენ
ზურგჩანთანი მოგზაურები	განათლების მიღების მიზნით მოგზაურები
მათი მოგზაურობის დროს ათენებენ მინიმუმ ერთ ლამეს საოჯახო სასტუმროში (ჰოსტელში, სასტუმრო სახლში, კოტეჯში და სხვ).	მოიცავს მოკლე კურსების მონაწილეებს, გრძელვადიანი უნივერსიტეტის სტუდენტებს, სკოლის ექსკურსიებს და გაცვლით პროგრამებს
ტრადიციულად ეს სეგმენტი მოიცავს 18-25 წლის მოგზაურებს, თუმცა 30 წელს გადაცილებულებიც ხშირად გვხვდებიან	განათლების გარდა ინტერესდებიან მოგზაურობის სხვა ტიპებითაც
ურჩევნიათ არასტრუქტურული და დამოუკიდებელი მოგზაურობა	ჰყავთ ოჯახები, რომლებმაც შეიძლება იმოგზაურონ საქართველოში მათი სწავლის პერიოდში
ქალიან დამოკიდებულები არიან ინტერნეტზე და სოციალურ მედიაზე ინფორმაციის კუთხით	
პიზნეს მოგზაურები	სხვა ინტერესების მქონე მოგზაურები
მოიცავს კონფერენციის დელეგატების ან ინდივიდუალურ პიზნეს მგზავრობებს	მოგზაურობენ სპეციალური მიზნით, როგორიცაა: აგროტურიზმი, ჯანმრთელობა და ფრინველებზე დაკვირვება
ხშირად მოიცავს ტურებს, რომლებიც კონფერენციის წინ ან მის შემდეგ ხორციელდება	ჯავშნიან პროფესიონალი აგენტების საშუალებით, რომლებსაც შეუძლიათ სპეციალური ტურების ორგანიზება
როგორც წესი, პიზნეს მოგზაურების მიერ განეული დანახარჯი საკმაოდ მაღალია	შეისყიდიან გამზადებულ ტურებს
	შემოსავალი მაღალია, ხოლო ამ ტიპის ტურისტების რაოდენობა ხშირად საკმაოდ მცირე

## მარკეტინგული მიზნები და სტრატეგიული აქტივობები

მეზობელი / დსთ-ს ბაზრები  
ბაზარზე შეღწევა

### უფრო მეტი არსებული პროდუქტის გაყიდვა არსებულ ბაზრებზე.

- სტრატეგია:** საქართველოს გაზრდილი წილი პრიორიტეტულ ბაზრებზე პირდაპირი კონკურენციით დაფუძნებულ ტურისტულ ადგილებთან.
- სამიზნე ჯგუფები:** სამიზნე ჯგუფების შესახებ არსებული ცოდნა, მათი მოტივაცია და პრეფერენციები.
- პოპულარიზაცია:** ეფექტური და ეფექტური თარგეტირება, ძლიერი საბაზრო სტიმულირება განსაზღვრული მარკეტინგული მეთოდების გამოყენებით.

გალფი / ირანის ბაზრები  
პროდუქტის განვითარება

### ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტების გაყიდვა არსებულ ბაზრებზე.

- სტრატეგია:** საქართველოს როლის გაზრდა აქტიურ ბაზრებზე ახალი და განსაკუთრებული პროდუქტების მახასიათებლების რეკლამირებით.
- სამიზნე ჯგუფები:** ტურისტული ადგილების მოთხოვნის ზრდის პერიოდინგი და შესაძლებლობების ძეგბა.
- პოპულარიზაცია:** ბაზრების სტიმულირება მერჩეული მარკეტინგული საშუალებების გამოყენებით.

ევროპული ბაზრები / ისრაელი  
ბაზრის განვითარება

### არსებული პროდუქტების გაყიდვა ახალ ბაზრებზე.

- სტრატეგია:** საქართველოს ცნობადობის გაზრდა პოტენციურ / კომბინირებულ ბაზრებზე არსებული პროდუქტების შეთავაზებით.
- სამიზნე ჯგუფები:** შესაძლებლობების ძიება მოთხოვნის სტიმულირებისთვის.
- პოპულარიზაცია:** პრიორიტეტულ / აქტიურ ბაზრებთან სინერგიების განხორციელება მარკეტინგული კამპანიებისთვის.

შორეული განვითარებადი ბაზრები / ახალი ბაზრები  
პროდუქტის დივერსიფიკაცია

### ახალი პროდუქტების გაყიდვა ახალ ბაზრებზე.

- სტრატეგია:** ვიზიტების რაოდენობის გაზრდა, საქართველოში, როგორც კავკასიის კარიბჭეში რეგიონებშორისი ბრუნვის გაძლიერება.
- სამიზნე ჯგუფები:** სხვა მიზნობრივი ჯგუფებისგან განსხვავებული მოტივაციის და პრეფერენციების მქონე, ზრდის პოტენციალი, საბაზრო დაკვირვება.
- პოპულარიზაცია:** ინდივიდუალური B2B მარკეტინგული აქტივობების გამოყენება.

## საპრომოციო მიზნები და სტრატეგიები ბაზრებზე

მეზობელი / დსთ-ს ბაზრები: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, უკრაინა, თურქეთი.

ძირითადი მარკეტინგული მიზანი რუსეთი/დსთ-ს ბაზრისთვის მიმდინარე პოზიციის შენარჩუნებაა. გარდა ამისა, უნდა მოხდეს ახალი / ახალგაზრდა თაობის ვიზიტორების მოზიდვა მათი ახალი სამოგზაურო და ცხოვრების ჩვევებით; ასევე ვიზიტორების სტაბილური საშუალო ზრდის შენარჩუნება მათი საშუალო მოხმარების გაზრდით.

- საქართველოს, როგორც ნაცნობი, მარტივი, თავსებადი და კულტურულად მდიდარი ტურისტული ადგილის პოზიციონირება, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია მოკლე და ხანგრძლივი დასვენებებისთვის.
- რეგიონში ჯამშირულობის და სპა ტურისტულ ადგილად დაფუძნება, ისეთი სერვისებით როგორიცაა: მინერალური და ორმული წყლით გაჯანსაღება, კარგი კლიმატი, ახალი თანამედროვე აღჭურვილობა კურორტებზე და სანატორიუმებში რუსულად მოლაპარაკე მიმსახურე პერსონალი.
- საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების და სათავგა-დასავლო პროდუქტების ეფექტური კომუნიკაცია.
- შევი ზღვის სანაპიროს, როგორც საოჯახო ტურისტული ადგილის „სანაპირო, ბუნება, თავგადასავალი“ შეთავაზების პოპულარიზაცია.
- საქართველოს ღვინის და კულინარიული ტურიზმის, როგორც მთლიანად ტურისტული გამოცდილების გამდიდრების საშუალების პოპულარიზაცია.
- საქართველო, როგორც კონკურენტული ტურისტული ადგილი MICE სექტორისთვის.
- საქართველო, როგორც კულტურულად ახლო და ნაცნობი ტურისტული ადგილი.
- ვიზიტორების საშუალო გაჩერების ხანგრძლივობის და ადგილობრივი დანახარჯების გაზრდა, ასევე ვიზიტების განმეორების მიღწევა.
- ავიაბაზებთან თანამშრომლობა ახალი მიმართულებების და საპრომოციო პაკეტების შესაქმნელად.
- თბილისის, როგორც ახალი „ქალაქური დასვენების“ (City brake) ტურისტული ადგილის პოპულარიზაცია, გართობაზე და კულტურაზე ფოკუსირებით.
- საქართველოს, როგორც ევროპის ზღუბლთან არსებული ქვეყნის კომუნიკაცია.

გალფი / ირანის ბაზრები: ირანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი.

ძირითადი მარკეტინგული მიზანი გალფის/ირანის ბაზრებისთვის საქართველოს, როგორც ევროპის ზღუბლთან არსებული მწვანე ტურისტული ადგილის წარმოდგენაა, საოჯახო რელაქსაციის პროდუქტებით და სერვისებით, ენერგიული ქალაქური ცხოვრებით და თანამედროვე ცხოვრების სტილით მულტიულტურულ გარემოში. უნდა მოხდეს საერთაშორისო შემოსვლების საშუალოზე უფრო მაღალი ზრდის უზრუნველყოფა და მაღალმხარჯველანი მომსმარებლების მოზიდვა მაღალ უკუცებით.

- საქართველოს, როგორც მარტივი, კონკურენტული, ტოლერანტული და კულტურულად მრავალფეროვანი ტურისტული ადგილის პოზიციონირება, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია როგორც მოკლე, ასევე ხანგრძლივი დასვენებებისთვის.
- ვიზიტორების საშუალო გაჩერების ხანგრძლივობის და ადგილობრივი დანახარჯების გაზრდა, ასევე ვიზიტების განმეორების მიღწევა.
- ავიაბაზებთან თანამშრომლობა ახალი მიმართულებების და საპრომოციო პაკეტების შესაქმნელად.
- თბილისის, როგორც ახალი „ქალაქური დასვენების“ (City brake) ტურისტული ადგილის პოპულარიზაცია, გართობაზე და კულტურაზე ფოკუსირებით.
- საქართველოს, როგორც ევროპის ზღუბლთან არსებული ქვეყნის კომუნიკაცია.

**აღმოსავლეთ ევროპა: პოლონეთი  
კომბინირებული ბაზრები: ჩეხეთის რესპუბლიკა, რუ-  
მინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი.**

**ძირითადი მარკეტინგული მიზანი** აღმოსავლეთ ევროპუ-  
ლი ბაზრებისთვის საქართველოს თანამედროვე ქვეყნის  
იმიჯის განვითარება და მიმზიდველი, კონკურენტული,  
მაღალი დამატებითი ღირებულების, ასევე ბიუჯეტური  
ტურისტული პროდუქტების შეთავაზებაა. გარდა ამისა,  
საერთაშორისო შემოსვლების ზრდის განაკვეთი უნდა  
იყოს საშუალოზე უფრო მაღალი, ტურიზმის მთლიან შე-  
მოსვლებში ნიღლის ზრდით.

- საქართველოს, როგორც სარელაქსაციო, სტუმართ-  
მოყვარე, კონკურენტუნარიანი, ბიუჯეტური, კულტურუ-  
ლად მდიდარი ტურისტული ადგილის პოზიციონირება,  
რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია როგორც მოქალა-  
კის ხანგრძლივი დასვენებებისთვის.
- ვიზიტორების საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა და  
ადგილობრივი დანახარჯების გაზრდა, ასევე ვიზიტების  
განმეორების მიღწევა.
- საქართველოს ცნობადობის ამაღლება, როგორც ტუ-  
რისტული ადგილის, რომელიც სთავაზობს კულტურას,  
ბუნებას, საკუთხევლას და ღვინოს.
- საქართველო, როგორც კონკურენტული ტურისტული  
ადგილი MICE სექტორისთვის.
- საქართველოს რეგიონების და მთების პოპულარიზა-  
ცია, როგორც „ნაკლებად ტურისტულად კომერციალი-  
ზებული“ „გაუკვალეთი“, „ჯერ კიდევ აუთენტური, ვე-  
ლური და ტრადიციული.“
- საქართველოში სათავგადასავლო დასვენებისთვის  
შესაფერისი ტურისტული პროდუქტების მრავალფერ-  
ოვნების ეფექტური კომუნიკაცია.
- ქუთაისის და თბილისის, როგორც ახალი სასურველი  
„ქალაქური დასვენების“ (City brake) ტურისტული ად-  
გილის პოპულარიზაცია (ფოკუსი ბუნებაზე, კულტურა  
და კულინარია ქუთაისში, გართობა და კულინარია თბი-  
ლისში).
- შავი ზღვის სანაპიროს, როგორც საოჯახო ტურის-  
ტულ ადგილის პოპულარიზაცია „სანაპირო, ბუნების და  
თავგადასავლების“ შეთავაზებით.

**სამხრეთ ევროპა: იტალია, ისრაელი  
კომბინირებული ბაზრები: საბერძნეთი, სლოვენია,  
ხორვატია, ესპანეთი.**

**ძირითადი მარკეტინგული მიზანი** სამხრეთ ევროპისთ-  
ვის არის საქართველოს ნარმოდგენა, როგორც მწვანე,  
ენერგეტული და ახალგაზრდული ტურისტული ადგილი,  
რომელიც სთავაზობს გასართობ, მხიარული ცხოვრების  
ნესს და რელაქსაციას. აღნიშნული ბაზარი ნანილობრივ  
განვითარებადია, ამიტომ საშუალო ზრდაა მოსალოდნე-  
ლი. ამ ბაზრიდან საჭიროა აქტიური, მხიარული და გარ-  
თობაზე ორიენტირებული მაღალმხარჯებულიანი ტურის-  
ტების მოზიდვა.

- საქართველოს, როგორც მარტივი, კონკურენტული  
და კულტურულად მდიდარი ტურისტული ადგილის პო-  
ზიციონირება, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია რო-  
გორც მოქალაკის ხანგრძლივი დასვენებებისთვის.
- ვიზიტორების საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა და  
ადგილობრივი დანახარჯების გაზრდა, ასევე ვიზიტების  
განვითარების მიღწევა.
- საქართველოს, როგორც კულტურის, ბუნების და  
ღვინის შემთაგაზებლის ცნობადობის გაზრდა.
- მაღალმხარჯებულიანი ვიზიტორების მოზიდვა.
- ავიახაზებთან თანამშრომლობა ახალი მიმართულე-  
ბების და საპრომოციო პაკეტების შესაქმნელად.
- საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი გართო-  
ბის, ღამის ცხოვრების და მხიარულების ტურისტული  
ადგილის პოპულარიზაცია.
- საქართველოში სათავგადასავლო დასვენებისთვის  
შესაფერისი ტურისტული პროდუქტების მრავალფერ-  
ოვნების ეფექტური კომუნიკაცია.

**ჩრდილო / დასაცლეთ ევროპა:** გერმანია, ავსტრია გაურ-თანებული სამეფო, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ბელგია, ლატვია.

**კომპინირებული ბაზრები:** შეეცარია, ლუქსემბურგი, ფრანგია, ესტონეთი, ლიეტუვა.


**ძირითადი მარკეტინგული მიზანი** ჩრდილოეთ / დასაცლეთ ევროპული ბაზრისთვის საქართველოს, როგორც თან-ამედროვე და მიმზიდველი ტურისტული ადგილის იმიჯის შექმნა და ცნობადობის გაზრდა. გარდა ამისა, საჭიროა ტურისტული ადგილის იმიჯის შექმნა და ცნობადობის გაზრდა, ტურისტული შემოსავლების საშუალოზე უფრო მაღალი დონის მიღწევა, მათი კმაყოფილების და უკუ-გების მაღალ მაჩვენებელთან ერთად.

- საქართველოს, როგორც სარელაქსაციო, უსაფრთხო, ვიზიტორებზე მორგებული და კულტურულად მდიდარი ტურისტული ადგილის პოზიციონირება, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია როგორც მოყლე დასვენებებისთვის, ასევე რეგიონალური კავკასიური ტურისთვის.
- ვიზიტორებს საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა და ადგილობრივი დანახარჯების გაზრდა, ასევე ვიზიტების განმეორების მიღწევა.
- საქართველოს ცნობადობის გაზრდა, როგორც ტურისტული ადგილის, რომელიც ყველა ასაკობრივ ჯგუფს სთავაზობს კულტურის, ბუნების და თავგადასავლების, საკურების და ღვინის ტურისტულ პროდუქტებს.
- ავიაკომპანიებთან თანამშრომლობა ახალი მიმართულებების და საპრომოციო პაკეტების შესაქმნელად.
- საქართველოს რეგიონების და მთების პოპულარიზაცია, როგორც „ნაკლებად ტურისტულად კომერციალიზებული“, „გაუკვალავი“, „ჯერ კიდევ აუთენტური, ველური და ტრადიციული.“
- თბილისის, როგორც ახალი სასურველი „ქალაქური დასვენების“ (City Break) ტურისტული ადგილის პოპულარიზაცია, განსაკუთრებული აქცენტით გართობაზე, კულტურასა და კულტურასა და კულინარიზაციაზე.

**შორეული / განვითარებადი ბაზრები:** აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია.

**ძირითადი მარკეტინგული მიზანი** შორეული / განვითარებადი ბაზრებისთვის ცნობადობის გაზრდა და საქართველოს ნარმოდგენაა როგორც ახალი, აღმოუჩენელი, მეგობრული და უსაფრთხო ევროპული ტურისტული ადგილი კავკასიის რეგიონში, მიმზიდველი შეთავაზებით, კარგად შენახული ბუნებით, უძველესი ისტორიით, კულტურული მემკვიდრეობით, ღვინის და საკვების მდიდარი ტრადიციებით, ასევე დინამიური ვიბრაციული ქალაქური ცხოვრებით და თანამედროვე ცხოვრების წესით მულტიკულტურულ გარემოში. უნდა მოხდეს ამ დიდი ბაზრებიდან ვიზიტორების მაღალი ნილის მოზიდვა საქართველოში, მაღალმხარჯველიან სეგმენტზე ფოკუსირებით.

- ცნობადობის შექმნა და საქართველოს როგორც უსაფრთხო, ვიზიტორებთან მეგობრული, ტოლერანტული, კულტურულად მდიდარი და მრავალფეროვანი ტურისტული ადგილის პოზიციონირება, აუთენტური და მიმზიდველი შეთავაზებით, კავკასიური რეგიონალური ტურის ფარგლებში აუცილებლად სანახავი.
- ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა შორეული / განვითარებადი ბაზრებიდან.
- პოლიტიკურ ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობის სტიმულირება საქართველოში მათი მოქალაქეებისთვის შესვლის გამარტივებისთვის და ქვეყნის, როგორც მიმზიდველი უსაფრთხო ტურისტული ადგილის პოპულარიზაცია.
- ავიახაზებთან თანამშრომლობა ახალი მიმართულებების და საპრომოციო პაკეტების შესაქმნელად.
- ბათუმში და შავ ზღვაზე ბუნებრივი ღირშესანიშნაობების, კულტურის, ღვინის და კულინარიზაციის და სპა, დასვენების ადგილების პოპულარიზაცია.
- თბილისის, როგორც ახალი „ქალაქური დასვენების“ (City brake) ტურისტული ადგილის პოპულარიზაცია, გართობაზე და კულტურიზე ფოკუსირებით.
- საქართველოს, როგორც ევროპის ზღურბლზე მდებარე ქვეყნის კომუნიკაცია.



## მიზნობრივ ბაზარზე სეგმენტაციის მაგალითი

### გერმანია



პუნეპა და თავგადასავალი

ლვინო და გასტრონომია

კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა

ახალგაზრდები

ახალგაზრდები  
სანშიშესული წყვილები

ახალგაზრდები  
სანშიშესული წყვილები

### საუდის არაბეთი



პუნეპა და თავგადასავალი

საქალაქო ტურიზმი

ოჯახები


ახალგაზრდები

## დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემა

ტურიზმის სტრატეგია მთლიანად ქვეყნის სტრატეგიაა და ქვეყნის ტურისტულ განვითარებას ეხმარება, დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემა კი ორგანიზაციის შესასრულებელ საქმიანობებზე კონცენტრირდება. დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა (**Balanced ScoreCard (BSC)**) არის მენეჯმენტის მეთოდი, რომელიც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს მისი პროგრესის პერიოდული შეფასება მოახდინოს სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზაზე. კონცეფცია შემუშავებულ იქნა ადრეულ 90-იან წლებში როპერტ კაპლანისა და დევიდ ნორტონის მიერ და მას შემდეგ, ეს მეთოდი სულ უფრო პოპულარული ხდება. მსოფლიოში კომპანიების 60%-დან 70%-მდე აღნიშნული მიღდომის გარკვეულ ვერსიას იყენებს და სულ უფრო აქტიურად გამოიყენება სახელმწიფო ორგანიზაციებში. დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა აფასებს ორგანიზაციის საქმიანობას ოთხი განსხვავებული, მაგრამ დაკავშირებულ

პერსპექტივის მეშვეობით: ფინანსური, მომხმარებელი, პროცესი, სწავლა და ზრდა.

ფინანსური და მომხმარებლის პერსპექტივა წარმოადგენს სტრატეგიის „რა“ ნაწილს, რაც იმის აღმნიშვნელია თუ რა უნდა გააკეთოს ორგანიზაციამ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტებისთვის-მომხმარებლისთვის. პროცესის პერსპექტივა აღწერს თუ „როგორ“ განხორციელდება სტრატეგია. ის აკეთებს იმ პროცესების იდენტიფიკაციას, რომელიც ყველაზე არსებითა მომხმარებელთა მოლოდინების დასაკმაყოფილებლად. მეოთხე პერსპექტივა სწავლა და ზრდა პასუხობს კითხვაზე თუ როგორ შეიძნენ თანამშრომლები ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემას წინ უსწრებს სტრატეგიული რუკის შექმნა, რომელიც ეხმარება ორგანიზაციებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ილუსტრირებაში დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის ოთხ პერსპექტივას შორის.




## ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მაგალითი

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველომ შეიმუშავა დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა და სტრატეგიული რუკა ტურიზმში. სტრატეგიული რუკა გამოიყენება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საილუსტრაციოდ სტრატეგიულ მიზნებს შორის დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის ოთხი პერსპექტივის ფარგლებში.

პირველ ეტაპზე განისაზღვრება გრძელვადიანი ფინანსური და სტრატეგიის საბოლოო მიზნები. შემდეგ მომხმარებელთა პერსპექტივის ირჩევა სამიზნე მომხმარებლები, რომელიც

შემოსავლების გენერირებას მოახდენენ ახალი სტრატეგიისთვის. პროცესის პერსპექტივაში იმ მიზნების პრიორიტეტიზაცია ხდება, რომელიც შექმნის და მიაწოდებს მოხმარებელს ლირებულების განაცხადს და აამაღლებს სერვისის ხარისხს, რასაც ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება მოჰყვება. საბოლოოდ განისაზღვრება თანამშრომელთა გამოცდილება, მისაწოდებელი ინფორმაცია და ორგანიზაციის კულტურა, ასევე მისი რეგულირების საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი პროცესების გაუმჯობესებას. ორგანიზაციები წარმოადგენ ამგვარ კავშირს სურათით, რომელსაც სტრატეგიული რუკა (strategy map) ეწოდება.

### სტრატეგიული რუკა



## ფინანსური პერსპექტივა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ამოცანა დანახარჯებზე ბზე ამონაგბის გაუმჯობესებაა. დანახარჯებზე ამონაგბის ასახავს ორგანიზაციის საბიუჯეტო თანხებით ვიზიტორებიდან შემოსავლების გენერირების უნარს. დანახარჯების ოპტიმიზირებით და შემოსავლის გაზრდით იმატებს ამონაგბის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დახარჯულ ერთლარზე. ამას კი სამი ფინანსური ამოცანა უწყობს ხელს:

**შემოსავლის შესაძლებლებების გაფართოება** – ბაზრის გაფართოება და მაღალმხარჯველიან სეგმენტის ვიზიტორებზე აქცენტის გაკეთება მათვის შეთავაზებული პროდუქტების გადახალისებით. მაღალმხარჯველიან ვიზიტორების მოზიდვა და შენარჩუნება, ასევე ახალი ბაზრების ათვისება, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მარჟით, არსებული ტურისტული პროდუქტის გაყიდვითა და ახალი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებით.

**არსებული ვიზიტორების ღირებულების ზრდა** – არსებულ ვიზიტორებთან ურთიერთობების გაღრმავება, მათვის დამატებითი პროდუქტის ან მომსახურების მიყიდვით, რაც ზრდის მათ მიერ განეულ მთლიან ტურისტულ დანახარჯებს საქართველოში.

**ხარჯის სტრუქტურის გაუმჯობესება** – მარკეტინგული, დასაქმებულებზე განეული და სამიღლინებო ხარჯების ოპტიმიზირება იგივე ან მეტი რაოდენობის ვიზიტორების მოზიდვის პოტენციალის შენარჩუნებით.

## მომხმარებლის პერსპექტივა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მისდევს მომხმარებელზე ორიენტირებულ სტრატეგიას, რომელსაც ახასიათებს გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება სამიზნე მომხმარებელთან. მომხმარებელზე ორიენტირებული ამოცანის დასახვა ინვენსაბაზო წილის იმ სეგმენტში გაზრდას, რომლებიც ხასიათდება მაღალი მხარჯველუნარიანობით. ახალი ვიზიტორების მოზიდვა ამ სეგმენტში შესაძლებელია მიმზიდველი ღირებულების განაცხადის შეთავაზებით, რომელიც ქვემოთ არის აღნერილი:

„განვახორციელებთ ტურისტული პროდუქტის დიფერენცირებას და თანამშრომლების საშუალებით, რომელთაც შესწევთ უნარი და გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა გააცნობიერონ მაღალმხარჯველიანი ვიზიტორების მოთხოვნები, მოვახდენთ საქართველოს, როგორც ბრენდის სწორ პოზიციონირებას ბაზარზე. საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, შეთავაზებული მაღალი ხარისხი, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტი და მომსახურება დაეხმარება მათ საქართველოში ვიზიტით მაქსიმალური სიამოვნების მიღებაში.“

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ორიენტირებულია ასევე არსებული მომხმარებლის შენარჩუნებაზე მუდმივი მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებით.

## პროცესის პერსპექტივა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს შემდეგი ამოცანებით და მაჩვენებლებით:

## ოპერაციული პროცესი

**მომსახურება** – მომსახურების მხრივ წარმატების მიღწევა თანამშრომლებისა და სისტემის გამოყენების შედეგად, მომხ-

მარებლისთვის ყველაზე საიმედო, ხელმისაწვდომი, უნაკლო მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის მიწოდება. მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურება წარმოადგენს ვიზიტორებთან არსებული ურთიერთობების შენარჩუნებისა და ახალი მაღალმხარჯველიანი ვიზიტორების მოზიდვის მნიშვნელოვან ნაწილს.

## მომხმარებლის მართვის პროცესი

**ბაზრის შექმნა**. მაღალმხარჯველიანი სეგმენტის მოთხოვნების დადგენა; ამ სეგმენტს გააჩნია მაღალი მომგებიანობა და წარმოადგენს მომავალ ეკონომიკურ პოტენციალს. თითოეულ მათგანთან დაკავშირებით რისკების გარკვევა და ასევე იმის დადგენა, თუ როგორ უნდა მოახდინოს ადმინისტრაციამ სამიზნე მომხმარებლის მიხედვით დიფერენცირება.

**ბაზარზე გატანა და გაყიდვა**. ქვეყნის ტურისტული პოტენციალისა და მომსახურების მარკეტინგული ხერხებით გაყიდვა ორგანიზებული, კვალიფიციური, აქტიური თანამშრომლების საშუალებით. მიზნობრივი სეგმენტის მოთხოვნების გამოკვლევა, ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუ როგორ შეუძლია ჩვენი ქვეყნის ტურისტული პოტენციალს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

## ინოვაციის პროცესი

**შეთავაზების შემუშავება**. მომგებიანი, ინოვაციური ტურისტული პროდუქტის შექმნა, რომელიც იქნება ლიდერი ბაზარზე და განკუთვნილი სამიზნე მომხმარებლისთვის.

## სწავლისა და ზრდის პერსპექტივა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სწავლისა და ზრდის ამოცანების და მაჩვენებლების არჩევა, ხელს უწყობს უკვე დადგენილი პროცესის, მომხმარებლის და ფინანსური მიზნების მიღწევას. ქვემოთ მოცემულია სწავლისა და ზრდის ამოცანები, რომელიც არსებითია ახალი სტრატეგიის წარმატებისთვის:

## ადამიანური რესურსი

**სტრატეგიული კომპეტენციის ქონა** – თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უნარები, ნიჭი და ინოვაციური ხედვა, იმისთვის რომ სტრატეგიით განსაზღვრული აქტივობები რეალობად აქციონ. მათ უნდა გააჩნიათ უნარი გააცნობიერონ ვიზიტორების მოთხოვნები და განიონ ქვეყნის პოტენციალის შესახებ კონსულტაცია. მეორეს მხრივ თანამშრომლებს ესაჭიროებათ მრავალმხრივი ცოდნა ტურისტული პროდუქტის პორტფელის და ტურისტული ბაზრის შესახებ, რათა ხელი შეუძლია ტურისტული პროდუქტის მიწოდებას საერთაშორისო ბაზრებზე. ასევე საჭიროა ქვეყნაში არსებული ტურისტული ობიექტების თანამშრომელთა ტრენინგი, მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

## საინფორმაციო ტექნოლოგია

**სტრატეგიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** – ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემების, მონაცემთა ბაზების და დაგროვილი ცოდნის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიის ეფექტურად განხორციელების პროცესში. უნდა შეგროვდეს ტურისტის შესახებ მონაცემები და პარალელურ ცვლილებების შესახებ მონაცემების მიწოდებას საერთაშორისო ბაზრებზე. ასევე საჭიროა ქვეყნაში არსებული ტურისტული ობიექტების თანამშრომელთა ტრენინგი, მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

## რეგულირება და კულტურა

**კულტურა და კლიმატი** – თანამშრომლებს გააზრებული და გა-  
თავისებული აქვთ ხედვა, სტრატეგია და კულტურული ღირე-  
ბულებები, იმსოთვის რომ სტრატეგია განახორციელონ.

**მიზანზე ორიენტირი** – საქმიანობის მენეჯმენტის სისტემა  
წარმოადგენს თანამშრომელთა კომუნიკაციის, მოტივაციისა  
და დაწინაურების არსებით ნაწილს, რომელიც ხელს უწყობს  
დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემის ბიზნეს ამოცანებს.  
ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ რესურსებზე, რადგან დავარეგული-  
როთ დანახარჯები და გადაწყვეტილებები სტრატეგიულ პრი-  
ორიტეტებთან დაკავშირებით. რესურსების განაწილდება, იმ  
მიმართულებით, სადაც ამონაგები ყველაზე მაღალია და შესა-  
ბამისობაში მოდის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და უფრო  
ეფექტიანად მოქმედების საშუალებას გვაძლევს.

დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა სტრატეგიული პროცე-  
სის კრიტიკული ნაბიჯია. ბევრი ორგანიზაცია ქმნის სტრატე-  
გიულ გეგმას და შემდეგ იგნორირებას უკეთებს სხვადასხვა  
მიზეზთა გამო. დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა პერი-  
ოდულად ახსენებს ორგანიზაციას, რომელია სტრატეგიული  
საკითხები და აძლევს საჭირო უკუკავშის მათ მისაღევეად.

საჭიროა დავიმახსოვროთ, რომ დაბალანსებულ მაჩვენებელთა  
სისტემა სასწორის პრინციპით მოქმედებს. სასწორის ფუნქციაა  
არა წონაში დაგაკლებინოთ არამედ უკუკავშირი მოგცეთ, თუ  
რამდენად კარგად მიდისართ მიზნისაკენ. დაბალანსებულ  
მაჩვენებელთა სისტემა არ აუმჯობესებს ორგანიზაციის ქცე-  
ვას. ის იძლევა უკუკავშირს, თუ რამდენად კარგად მივდივართ  
სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზაზე.

პერსპექტივა	მიზანი	მაჩვენებელი
ფინანსური	ამონაგები დანახარჯები	წმინდა შემოსავალი/დანახარჯი
	შემოსავლის შესაძლებლობების გაფართოება	პირველადი ვიზიტორების საშუალო დანახარჯები
	ვიზიტორების ღირებულების ზრდა	განმეორებითი ვიზიტორების საშუალო დანახარჯები
	ხარჯის სტრუქტურის გაუმჯობესება	მომსახურების, მიმდინარე და მოკლევადიანი ანგარიშების ხარჯების პროცენტული ოპტიმიზირება
მომხმარებელი	ახალი მაღალმხარჯების ვიზიტორების მოზიდვა	ახალი მაღალმხარჯების მიმიზნე სეგმენტებში
	ახალი ვიზიტორებისთვის ღირებულების განაცხადი	ახალი ვიზიტორების კმაყოფილობის მიმოხილვა უკუკავშირის ჩათვლით შემდეგთან დაკავშირებით: ღირებულების განაცხადი, ინფორმაციის სელმისაწვდომობა, სერვისის ხარისხი
	არსებული ვიზიტორების შენარჩუნება	ვიზიტორების შენარჩუნების მაჩვენებელი
	მუდმივი სტაბილური სერვისის მინიდება	არსებული ვიზიტორების კმაყოფილობის მიმოხილვა კრიტერიუმებით: სერვისის ხარისხი, ინფორმაციის სელმისაწვდომობა, რეაგირების უნარი, პრობლემები
პროცესი	მომსახურება	ვიზიტორთა პრეტენზიების რაოდენობა ვიზიტორთა მოთხოვნაზე რეაგირების დრო
	ბაზრის შექმნა	შემოსავლის პოტენციალი სამიზნე სეგმენტებში
	ბაზარზე გატანა და გაყიდვა	მარკეტინგული კამპანიების ქვეყნებიდან შემოსავლის ნაზრი
	შეთავაზების შემუშავება	პროდუქტის შემუშავების სიკლის დრო ვიზიტორების პროცენტი ახალი პროდუქტიდან და მომსახურებიდან
სწავლა და ზრდა	ადამიანური რესურსი	ძირითადი დასაქმებულების შენარჩუნება
	სტრატეგიული ინფორმაცია	სტატისტიკური ბაზების არსებობა
	რეგულირება და კულტურა	% მიღებული ახალი პრაქტიკა

# სარიზო მიული ტურიზმი

## გასტრონომიული ტურიზმი

ლიტერატურაში გასტრონომიული ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული განსაზღვრება შემოთავაზებულია ჰოლისა და შარფლის მიერ (Hall and Sharples 2003). გასტრონომიული ტურიზმი წარმოადგენს მოგზაურობას გასტრონომით ცნობილ რეგიონში, რეკრეაციის და გართობის მიზნით, რომელიც მოიცავს გასტრონომიულ ფესტივალებს, საკუვების ბაზრობებს, ლონისძიებებს, კულინარიულ წარმოდგენებსა და სანახაობებს, ხარისხიანი პროდუქტების დაგემოვნებას, ვიზიტებს საკუვების პირველად და მეორად მნარმოებლებთან და ნებისმიერ ტურისტულ აქტივობას, რომელიც დაკავშირებული საკუებთან. გასტრონომიულ ტურიზმად ითვლება გამოცდილება, რომელიც მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ან ერთ-ერთ აქტივობას, როგორც მოგზაურობის მთავარ მიზანს ან მოტივაციას. გასტრონომიული ტურიზმი უნივერსალური მასშტაბის ადგილობრივი ფენომენია, რომელიც მკაფიო ზრდის ფაზაში იმყოფება. სულ უფრო მეტი ტურისტი ინტერესდება მათი ტრადიციებისგან განსხვავებული სამზარეულოს დაგემოვნებით, რომელიც კონკრეტულად რომელიმე ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. მას დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკაზე, დასაქმებაზე და ადგილობრივ მემკვიდრეობაზე. ტურიზმის ეს ტიპი იზიდავს მაღალმხარჯელიანი ტურისტების სეგმენტს, რომლებიც ორიენტირებული არიან მაღალი ხარისხის პროდუქტებზე. ის ტურიზმის დიფერენცირების კარგი საშუალებაა, ხელს უწყობს პროფესიონალური სექტორების ჩართულობის გაზრდას ტურიზმში, ტურისტული ადგილების ბრენდინგს, ტურისტული ადგილის ზოგადი აღქმის გაუმჯობესებას, ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებასა და დაცვას. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებით მცირე შემოსავლიანი სოფლის მოსახლეობისთვის, სადაც ტრადიციული კერძების დაგემოვნებაა შესაძლებელი. კვლევების მიხედვით მთლიანი ტურისტული დანახარჯების მესამედი საკუებზე ისარჯება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გასტრონომიული ტურიზმი ტურისტული ადგილის შერჩევისას მთავარი მოტივაცია არ არის, ის მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რესტორნებში კვება ხშირად ტურისტების მეორე ყველაზე საყვარელი აქტივობაა. გასტრონომიული ტურიზმის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს გასტრონომიული მარშრუტები წარმოადგენს. მარშრუტები ძირითადად მოიცავს მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ბრენდირებულ, თემატურ შეთავაზებებს: რესტორნებსა და მარნებს, რომლებიც თავმოყრილია ტურისტულ გზამკვლევში და უკავშირდება სპეციფიკურ საკუებს, პროდუქტს ან კერძს. ზოგჯერ მარშრუტი მოგზაურს ინფორმაციას ანვდის სხვა ტურისტულ ადგილებსა და ისტორიულ მემკვიდრეობაზე, რითაც ხელს უწყობს ადგილის ეკონომიკურ განვითარებას. მარშრუტის მთელი იდეა სხვადასხვა ტიპის ტურისტული ღირშესანმნაობების ერთად თავმოყრა და მოსახერხებელი პაკეტის სახით შეთავაზებაა, რაც განაპირობებს ტურისტების უფრო ხანგრძლივად გაჩერებას.

გასტრონომიულ ტურიზმთან დაკავშირებული კვლევები შედარებით მცირეა და ძირითადად ორიენტირებულია ღვინოზე. ამ კვლევების თანახმად აღნიშნული სეგმენტის ტურისტების მოსაზიდად შემდეგი საკითხები უნდა გაითვალისწინოთ:

- გასტრონომიული ტურიზმი მსოფლიო მასშტაბით მზარდი ბაზარია, ის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური სეგმენტია ტურიზმის ბაზრებს შორის.
- გასტრონომიული ტურისტები მონაწილეობას იღებენ კულტურული მოხმარების ახალ ტენდენციებში. ისინი ექცევნ აუთენტურ ადგილებს საკუების მიხედვით, დაინტერესებულნი არიან პროდუქტების წარმომავლობითა და მისი წარმოების პროცესით, რადგან ამ ყველაფერს კულტურული ტურიზმის გამოხატულებად მიიჩნევენ. გარდა ამისა, გასტრონომიის მნიშვნელობას აღიქვამენ როგორც სოციალიზაციის საშუალებას და სივრცეს, სადაც საკუთარი ცხოვრების სხვისთვის გაზიარება და გამოცდილებების გაცვლა შესაძლებელი. ამ სეგმენტისთვის დამახასიათებელია საშუალოზე მაღალი დანახარჯები, არიან მომთხოვნები, აქვთ სერვისის შეფასების კარგი უნარი და თავს არიდებენ ერთფეროვნებას.
- გასტრონომიული სერვისების შეთავაზების ტერიტორია წარმოადგენს გასტრონომიული ტურიზმის საყრდენს, მისი დიფერენცირების საშუალებასა და ადგილობრივი იდენტურობის წყაროს. ტერიტორია მისთვის დამახასიათებელ სამზარეულოსთან ერთად შეიძლება მოიცავდეს ლანდშაფტურ სილამაზეს, ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.
- საკუების დაგემოვნებისა და ადგილზე მიღებული გამოცდილების საშუალებით გასტრონომია ტურისტებს შესაძლებლობას აძლევს წვდომა ჰქონდეთ ტურისტული ადგილის კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობასთან.
- ტურისტულმა ადგილებმა, რომელთაც გასტრონომიული ტურიზმის განვითარება სურთ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ხარისხითან დაკავშირებული საკითხები: ადგილობრივი პროდუქტების დაცვა და აღიარება, კონკურენტული შეთავაზების შექმნა, დამაინური რესურსების პროფესიონალიზაციი, მათი ტრენინგები, გადამზადება და მომზარებელთა დაცვა. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ვიზიტორების კმაყოფილების დონეს მნიშვნელოვნად გაზრდის.
- ტურისტულმა ადგილებმა გასტრონომიული ტურიზმის შესახებ სანდო და აუთენტური ინფორმაციის სწორად მინდება უნდა შეძლონ ვიზიტორებისთვის.
- სამოგზაურო გამოცდილება შეიცვალა და მხოლოდ მოგზაურობის დღეების რაოდენობით არ შემოიფარგლება. მოგზაურობა იწყება ბევრად ადრე, მისი მოსამზადებელი ეტაპიდან (ტურისტი იღებს შთაგონებას, აგროვებს ინფორმაციას, ადარებს, ყიდულობს) და მთავრდება მაშინ, როდესაც მოგზაური აფასებს მის მიერ მიღებულ გამოცდილებას და აზიარებს სოციალური ქსელების საშუალებით. ამ პროცესში და ტურისტული ადგილის იმიჯის შექმნაში განსაკუთრებულ როლს თამაშობები: ცნობილი მზარეულები, რომელებმაც მოცემულ სეგმენტში რევოლუცია მოახდინეს, მედია (განსაკუთრებით ტელევიზია), ტურისტული გზამკვლევები, კულინარიული ბლოგები და სოციალური ქსელები.

### სწრაფი ბმულები:

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის „გლობალური ანგარიში საკუების ტურიზმზე“

WWW.AFFILIATEMEMBERS.UNWTO.ORG/PUBLICATION/UNWTO-AM-REPORT-VOL-4-GLOBAL-REPORT-FOOD-TOURISM

## ლვინის ტურიზმი

ლვინის ტურიზმი განაბარტებულია, როგორც ვიზიტები ვენახებში, ლვინის მარნებში, სანარმოებში, ფესტივალებსა და ნარმოდგენებზე. ტურიზმის ამ ტიპისათვის ლვინის რეგიონში სტუმრობა და ლვინის დაგემოვნება ან მისი ატრიბუტების გაცნობა ვიზიტის მთავარ მოტივაციას წარმოადგენს. არსებობს მეორეჯარისხსოვანი მიზეზებიც, როგორიცაა: ლვინოსთან დაკავშირებული საპაზისო ცოდნის შექმნა, ლვინის სანარმოს გარემოთი სიამოვნების მიღება და ისეთ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება, რომლების დაინტერესებულნი არიან ლვინით.

ლვინის რეგიონი მოგზაურობის მინიშვნელოვანი მოტივატორია და მოცავს: ლვინის რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობას, ტერიტორიის ბრენდულ იმიჯს, ლვინის ნარმობის პროფილს, მის პროდუქტებსა და ლანდშაფტს, ასევე სხვა სანახაობებს, როგორიცაა: ლვინის გზა, ლვინის ფესტივალი ან ლვინის ლონ-ისძიებები.

ტურისტები, რომლებიც ღვინის ტურიზმის ფარგლებში მოგზაურობენ, არაერთგვაროვნებით გამოიჩინან, რაც მათი დიფერენცირების საშუალებას იძლევა. ჰოლმა (Hall 1996) განსაზღვრა ღვინის ტურისტების სამი კატეგორია: „ღვინის მოყვარულები”, „ღვინით დაინტერესებულები” და „ცნობის-მოყვარეები.”

„ღვინის მოყვარულს” ღვინოსთან დაკავშირებული ცოდნის მაღალი დონე და ინტერესი აქვს. ღვინის საწარმოები და ღვინოები ტურისტულ ადგილას მისი ვიზუალური უმთავრესი ფაქტორია, სადაც როგორც წესი ღვინოსაც ყიდულობს.

„ღვინით დაინტერესებულს“ სურს იცოდეს მეტი ღვინის შესახებ და სიამოვნებას იღებს ამ პროცესისგან. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ეს არ იყოს მისი ღვინის რეგიონში სტუმრობის უპირველესი და ერთადერთი მიზეზი. ტურისტს აქვს საბაზისო ცოდნა ღვინის შესახებ და დიდი ალბათობით შეიძენს ღვინოს მოგზაურობისას.

„ცრობისმოყვარე“ წინა თრ ტიპთან შედარებით ღვინით ნაკლებად არის დაინტერესებული, რადგან ღვინის ქარხანაში ვიზიტი მისთვის უფრო მეტად აქტივობა ან თაგისუფალი დროის გატარების და სოციალური კონტაქტების დამყარების საშუალებაა.

კვლევების თანახმად ამ სეგმენტის ტურისტების მოსაზიდად შემდგენ საკითხები უნდა გაითვალისწინოთ:



ის გამო სტუმრობს. ისინი ასევე ერთვებიან ეკოლოგიზმის სხვადასხვა აქტივობებში, საკეპებისა და დვინის შესამები-სთვის ან კულტურული და რომანტიკული მიზნებით.

- დამატებითი აქტივობა როგორიცაა საკუების დაგემოვნება მოაზრება ღვინის გამოცდილების ნაწილად. ღვინის წარმოებასთან კომბინირებული ინვესტიციები საკუმაოდ დიდი დამატებითი ღირებულების შემჩენელია ღვინის მარნების სთვის და ახალი საწარმოებისთვის.
  - ღვინისა და საკუების ტურიზმი უკვე აღარ არის ლიმიტირებული ასაკობრივი დემოგრაფიული პროფილისთვის - ახალგაზრდობა (25-34 წლის) სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. რეგიონული ღვინისა და საკუების ბაზარი შედგება მაღალშემოსავლიანი სეგმენტებისგან. ვიზიტების მაღალი განერობებითომა მიანიჭებს, რომ ერთგულება მაღალია, რაც ტურისტული ადგილის შესახებ სიტყვიერი რეკლამის საშუალებას იძლევა.

## ლვინის გზა საქართველოში

ლეიინის გზა წარმოადგენს ტურიზმის ეროვნული აღმინის-ტრაციის პროექტს, რომლის ფარგლებშიც 2011 წელს დაიწყო საქართველოს ლეიინის ტურიზმის პოტენციალის შესწავლა. განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით ლეიინის მარნებისა და სა-წარმოების იდენტიფიკაცია და აღწერა.

პირველ ეტაპზე მოხდა ქვეყნის მასშტაბით იმ მარწმბისა და სანარმოების იდენტიფიცირება, რომელიც ტურისტებს მასპინძლობდნენ.

მიღებულ მასალას ანალიზი გაუკეთდა სამი კრიტერიუმის მიხედვით:

1. ლვინის წარმოება საბოლოო პროდუქტის მიღების მთლიანი პროცესის გათვალისწინებით.
  2. არსებული ინფრასტრუქტურა და საჭირო ინვენტარი.
  3. მოწიახურების ხარისხი. შეთავაზიბების მიწოდებული ღრუ ტიპი.

აღნიშნულის საფუძველზე მოხდა ლგინის ტურიზმის საუკეთესო ობიექტების შერჩევა, ერთანი ქსელის შექმნა, რუკაზე ობიექტების განთავსება და მონიშვნა. „ლგინის გზის“ საგზაო მანიშნებლებს სწორედ ამ ლგინის შერჩეული მასპინძელი ობიექტის კონკრეტურობა მიზყავართ.

დღესდღეობით პროექტში 165 ობიექტი არის ჩართული. პერი-  
ოდულად ხდება პროექტის განახლება, რაც გულისხმობს ქვეყ-  
ნის მასშტაბით ახალი ღვინის ობიექტების იდენტიფიცირებას,  
შეფასებას, ინფორმაციის რეკაზე და კატალოგში განთავსე-  
ბასა და ღვინის გზის საგზაო მანიშებლების მონტაჟის საშუ-  
ალებით მათ პროექტში ჩართვას.

## სწრაფი პმულები:

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია  
[www.georgia.travel](http://www.georgia.travel)

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ელექტრონული ბიბლიოთეკა კატეგორია „ღვინის და საკვების“ ტურიზმი  
[www.gnta.ge/publications](http://www.gnta.ge/publications)

## ღვინის ეროვნული სააგენტო

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც შექმნილია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ღვინის ეროვნული სააგენტო თავის საქმიანობას ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებსა და მეღვინეობის სფეროში მოქმედ კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერიფიცირება, ქართული ღვინის პიპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება, საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია, ვენახების საკადასტრო უწყებრივი რეესტრის შექმნა და რთველის ორგანიზებულად ჩატარების ხელშეწყობა.

## სწრაფი პმულები:

ღვინის ეროვნული სააგენტო  
[www.georgianwine.gov.ge](http://www.georgianwine.gov.ge)



# თურიზმის ტიპები: ბაზები და თავგადასავლო

## რა არის სათავგადასავლო ტურიზმი?

სათავგადასავლო ტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კატეგორია. სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების ეტაპზე მყოფი მრავალი ქვეყნა სათავგადასავლო ტურიზმის პრიორიტეტიზაციას მისი დადგებითი ეკოლოგიური, კულტურული და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო ახდენს. UNWTO-ს ლიტერატურაში სათავგადასავლო ტურიზმის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ გხვდება. თუმცა „სათავგადასავლო ტურიზმით ვაჭრობის ასოციაცია“ (ATTA) სათავგადასავლო ტურიზმს განსაზღვრავს როგორც მგზავრობას, რომელიც მოიცავს სულ მცირე ორს შემდეგი სამი ელემენტიდან: ფიზიკური აქტივობა, ბუნებრივი გარემო და კულტურული ჩართულობა.

2010 წელს ჩატარებული სათავგადასავლო ტურიზმის პირველი კვლევის თანახმად მისი მოცულობა 89 მილიარდ დოლარს შეადგენდა. სამი წლის შემდეგ ჩატარებულმა განმეორებითმა კვლევამ კი 263 მილიარდი დოლარი აჩვენა. აღნიშნული შთამბეჭდავი (195%-იანი) ზრდა განპირობებულია საერთაშორისო მოგზაურობის ზრდადი ტენდენციით, სათავგადასავლო მოგზაურობების წილის და მათი საშუალო დანახარჯის მნიშვნელოვანი ზრდით.

სათავგადასავლო ტურიზმი იზიდავს მაღალშემოსავლიან მომხმარებლებს, ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკისა და მდგრადი გარემოს განვითარებას. აღნიშნული სექტორის გაზრდას პაზიტიური ეფექტი აქვს არამხოლოდ ტურიზმზე, არამედ ტურისტული ადგილების ეკონომიკაზე, ხალხზე და გარემოზე.

სათავგადასავლო ტურიზმის მრავალი ტურიზმის სახეობისგან გამიჯვნა მარტივია, თუმცა არსებობები ისეთი მიმართულებებიც, რომელიც მასთან ახლოს დგანან და მის დამახასიათებელ ნიშნებს იზიარებენ.

**ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი (Nature Tourism)** ზოგადი ტერმინი, რომელიც მოიცავს ყველა ტურისტულ გამოცდილებას, რომელიც ორიენტირებულია ველურ და ბუნებრივ გარემოზე.

**გარემოსთან დაკავშირებული ტურიზმი (Environmental Tourism)** ტურიზმი, რომელიც ხორციელდება ბუნებრივ პირობებში და ფიქსირებულია ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებასა და გააზრებაზე.

**ეკოტურიზმი (Eco Tourism)** მიზნობრივი მოგზაურობა ბუნებრივ ადგილებში, კულტურის და გარემოს ბუნებრივი ისტორიის გასაზრებლად, ეკოსისტემის მთლიანობის შენარჩუნებით. ამასთანავე მნიშვნელოვანია ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

**ველური ბუნების ტურიზმი (Wildlife Tourism)** ტურიზმი, რომელიც ბუნებასთან და ველურ გარემოსთან ახლო კონტაქტის საშუალებას იძლევა.

**გეო ტურიზმი (Geo Tourism)** ტურიზმის სახეობა, რომელიც ინარჩუნებს ან ანგითარებს ადგილის გეოგრაფიულ მახასიათებლებს - მის გარემოს, კულტურას, მემკვიდრეობას და ადგილობრივთა კეთილდღეობას.

**მდგრადი ტურიზმი (Sustainable Tourism)** ტურიზმის სახეობა, რომელიც სრულად იღებს მხედველობაში მის ამჟამინდელ და სამომავლო ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ზემოქმედებას, ასევე ვიზიტორების, ინდუსტრიის, გარემოს და მასპინძლი საზოგადოების საჭიროებებს.

სათავგადასავლო ტურიზმი შეიძლება იყოს ადგილობრივი ან საერთაშორისო, როგორც ყველა მოგზაურობა უნდა მოიცავდეს ღმისთვესას და არ უნდა გრძელდებოდეს ერთ წელზე მეტი ხნით. სტატისტიკურად მოგზაურობა ითვლება სათავგადასავლო მოგზაურობად, თუ რესპონდენტი ბოლო ვიზიტის ძირითად მიზნად მიზნად სათავგადასავლო აქტივობას დაასახელება.

არსებობს სათავგადასავლო ტურიზმის ორი ძირითადი კატეგორია: აქტიური (Hard) და მსუბუქი (Soft). მათი იდენტიფიცირება განსხვავული აქტივობების მხედვით ხდება, თუმცა მუდმივი დებატებია თუ რომელი აქტივობა მიეკუთვნება ამ კატეგორიებიდან ერთ-ერთს. ყველაზე მარტივი გზა სათავგადასავლო მოგზაურობის კატეგორიზაციისთვის მისი ძირითადი აქტივობების განსაზღვრაა, მსუბუქი და აქტიური სათავგადასავლო აქტივობების გარდა ასევე არსებობს სხვა ტიპის სათავგადასავლო მოგზაურები. მაგალითად, სათავგადასავლო ენთუზიასტები: ველოსიპედისტები, ფრინველებზე დამკვირვებლები და სხვა.

სათავგადასავლო ტურიზმის ასოციაციამ (ATTA) მოახდინა იმ აქტივობების კლასიფიკაცია, რომელიც მიეკუთვნება აქტიურ და მსუბუქ სათავგადასავლო ტურიზმის ტიპს.



აქტივობა	ტიპი
არქეოლოგიური ექსპედიცია	მსუბუქი
ზურგჩანთით მოგზაურობა	მსუბუქი
ფრინველებზე დაკვირვება	მსუბუქი
კემპინგი	მსუბუქი
კანიონინგი	მსუბუქი
სპელეო ტურიზმი	აქტიური
მთასვლელობა/მექანიზრობა	აქტიური
ეკო-ტურიზმი	მსუბუქი
სათავგადასავლო პროგრამები	მსუბუქი
მდგრადი აქტივობები	მსუბუქი
თევზაობა	მსუბუქი
მსუბუქი ლაშქრობა	მსუბუქი
ცხენოსნობა	მსუბუქი
სამონადირეო ტურიზმი	მსუბუქი
კაიაკინგი	მსუბუქი
გარემოში ორიენტირება	მსუბუქი
ჯომარდობა	მსუბუქი
კვლევითი ექსპედიციები	მსუბუქი
საფარი	მსუბუქი
აფროსნობა	მსუბუქი
აკვალანგით ყვინთვა	მსუბუქი
თავისუფალი ყვინთვა	მსუბუქი
თხილამურებზე სრიალი/სინუბორდინგი	მსუბუქი
სერფინგი	მსუბუქი
ლაშქრობა	აქტიური
სამოხალისეო ტურიზმი	მსუბუქი

ორივე აქტიური და მსუბუქი სათავგადასავლო ტურიზმი მაღალშემოსავლიან კატეგორიას წარმოადგენს. 2015 წელს ევ-ერესტის მხოლოდ დალაშქრის ნებართვის აღება, რომელიც აქტიურ თავგადასავლს მიეკუთვნება დაახლოებით 11,000 დოლარს უტოლდებოდა. დამატებითი მომსახურეობების გათვალისწინებით (ტრენინგი, ტურ-გიდები, გამყოლები და აშ.) დანახარჯი დაახლოებით 48,000 დოლარამდე აღწევდა ერთ ადამიანზე. კომერციული სათავგადასავლო ტურების შეთავაზებას ახდენენ, საშუალოდ 308 დოლარს აწესებდნენ დღეში 2012 წელს. მათი საშუალო გაჩერების პერიოდი 8.8 დღეს, ხოლო საშუალო მთლიანი დანახარჯი 20,710 დოლარს შეადგენდა თვითმფრინავის ბილეთის გარეშე.

ენთუზიასტების მხარჯველუნარიანობა არ განსხვავდება სათავგადასავლო ტურიზმის და სხვა ტიპის მოგზაურებისაგან, თუმცა მათ უფრო ხშირი საერთაშორისო ვიზიტები ახასიათებთ, რომელიც საშუალოდ უფრო მეტანს გრძელდება. ისინი მეტ უფლს ხარჯავენ აღჭურვილობასა და ტექნიკაზე, რადგან მოსწონთ და სჭირდებათ ბრენდები, რომლებიც მათ მაღალ სპეციალიზირებულ საჭიროებებს შეესაბამება. ისინი ეძებენ მაღალი პოტენციალის, თუმცა ჯერჯერობით უცნობ ადგილებს, სადაც წვდომა გართულებულია. ცალკე შეიძლება გამოვყოთ ექსტრემალური თავგადასავლების მოყვარულები, რომლებიც ნაკლებ ფულს ხარჯავენ, რადგან საკუთარი აღჭურვილობა აქვთ, არ სჭირდებათ დახმარება მოგზაურობის ორგანიზებაში და ასევე ხშირად საკუთარი ტრანსპორტით მიემგზავრებიან როგორც მისალწევ ადგილებში. ექსტრემალური სეგმენტი საკმაოდ მცირეა მთლიანად სექტორში. ამ მიზეზის გამო ისინი იშვიათად ხდებიან გადაწყვეტილების მიმღების ინტერესის საგანი.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოხდება სათავგადასავლო ტურიზმის კატეგორიზაცია, ის მაინც ყოველთვის სუბიექტური ტერმინი იქნება თავად მოგზაურებისთვის, რადგან ის მათ ინდივიდუალურ გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. ერთი ადამიანისთვის თავგადასავალი სხვისთვის შესაძლოა ყოველდღიურობის ნაწილი იყოს.

### რა უნდა ვიცოდეთ სათავგადასავლო მოგზაურების მოსაზიდად?

თავგადასავლების მაძიებლები ყველა ასაკობრივ ჯგუფში, შემოსავლის დონესა და გეოგრაფიულ ადგილებში გვხდება. ფსიქოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რას ფიქრობენ ამ ტიპის მოგზაურები, მათი მოგზაურობის დაგეგმვისას. მათზე ნაკლები გავლენა აქვს ისეთ ტრადიციულ ბარიერებს, როგორიცა: გრძელ დისტანციაზე მოგზაურობა, დროში პრობლემები და დანახარჯები. ისინი უფრო დაინტერესებულები არიან პოტენციური მოგზაურობის ტურისტული დანაშნულების ადგილებით და როგორც წესი გრძელ დისტანციაზე მოგზაურების სეგმენტის მთავარ კატეგორიას წარმოადგენს. ეს მიზნობრივი ბაზარი სავარაუდოდ უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაჩერდება ქეყანაში, დაბარვავს მეტ თანხას და მეტ რეგიონს მოინახულებს. კვლევების თანახმად ამ სეგმენტის ტურისტების მოსაზიდად შემდეგი საკითხები უნდა გაითვალისწინონ:

- სათავგადასავლო მოგზაურები შედარებით ახალგაზრდა სეგმენტს მიეკუთვნებიან, ვიდრე სხვა ტიპის ტურიზმით მოგზაურები, მათი საშუალო ასაკი 36 წელია. მოგზაურებს შორის სექსობრივი კატეგორიზაცია ძრითადად თანბარია.
- სათავგადასავლო მოგზაურები კითხულობენ ისეთ პუბლიკაციებს, როგორიცაა: National Geographic, National

## Geographic Traveler, Men health, Cosmopolitan და Vogue.

- სათავეადასავლო მოგზაურები უფრო მეტად იყენებენ პროფესიულ სერვისებს, როგორიცაა: გიდი, ინსტრუქტორი, ტუროპერატორი. პროფესიული სერვისების გამოყენების მაღალი დონე განპირობებულია ტრენინგისა და სპეციალური აღჭურვილობის საჭიროებით ბევრი სათავეადასავლო აქტივობისთვის. ეს კარგ შესაძლებლობებს ქმნის ტუროპერატორებისა და გიდებისთვის, მათ შეუძლიათ მოიზიდონ არასათავეადასავლო მოგზაურები, რომლებიც მზად არიან ახალი გამოცდილებებისთვის და აქციონ ისინი სათავეადასავლო მოგზაურებად.
- ისინი თავიანთი მოგზაურობას ონლაინ ძიებით და მეგობრების რჩევებზე დაყრდნობით გეგმავენ. ასევე, რეკომენდაციას უწევენ ტურებს სოციალურ მედიაში გაზიარებით, რითაც კარგი „პრომოუტერების“ როლში გამოდიან. სათავეადასავლო მოგზაურების წილი, რომლებიც Facebook-ს იყენებს სწრაფად იზრდება.
- სათავეადასავლო მოგზაურების მცირე ნაწილი მოგზაურობს მარტო, ისინი ამჯობინებენ ოჯახთან, მეგობრებთან და პარტნიორებთან მოგზაურობას. თუმცა ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მარტო მოგზაურების წილი მნიშვნელოვნად იმატება.
- მოგზაურები ტურისტული ადგილის არჩევის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ბუნების სილამაზეს მიიჩნევენ, შემდეგ მოდის ხელმისაწვდომი აქტივობები და ტურისტული ადგილის კლიმატი.
- სათავეადასავლო მოგზაურებმა რელაქსაცია, ახალი ადგილების აღმოჩენა, ოჯახთან ერთად დასვენება და განსხვავებული კულტურის შესწავლა მათი მოგზაურობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად დაასახელეს, რაც აჩვენებს რომ ისინი ამ თვისებით სხვა მოგზაურების მსგავსები არიან. გარდა ამისა, ამ სეგმენტისთვის მნიშვნელოვანია აუთენტური პროსონალური გამოცდილების მიღება, შესვედრები და ურთიერთობების დაყარება ადგილობრივებთან, ყოველდღიურობისგან განსხვავებული გამოცდილების მიღება, ადგილობრივი ცხოვრების წესში უშაულო მონაბილობა და არა მასზე დაკვირვება, აუთენტური ტურისტული ადგილის მონაბილობა, რომელიც შეიძლება ტურისტული მარშრუტის ნაწილი არც იყოს.
- ვირტუალური რეალობის ტექნოლოგია მოთხოვნადი ხდება სათავეადასავლო ბაზარზე. მისი საშუალებით შესაძლებელია პროდუქტის რეალისტური სურათის ჩვენება.
- მეგამონაცემები სულ უფრო მნიშვნელოვნანი ხდება სათავეადასავლო ბიზნესის დასაგეგმად, რაც ბიზნესებს მნიშვნელოვნად ეხმარება სათავეადასავლო ტურიმის სეგმენტის განსაზღვრასა და ახალი პროდუქტების შექმნაში.
- „წელი მოგზაურების“ პოპულარობა იზრდება სათავეადასავლო მოგზაურებს შორის. ეს ტერმინი გულისხმობს ტურისტულ ადგილას დაახლოებით ერთი თვით დარჩენას. ამ პროდუქტზე მოთხოვნას ძირითადად ისეთი ვიზიტორები ქმნიან, რომელთაც დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა აქვთ.
- სხვადასხვა სახის სალაშერო ბილიკი სულ უფრო პოპულარული ხდება სათავეადასავლო ტურისტებს შორის. ბილიკების სათავეადასავლო ტურიზმში ჩართვა იწვევს ვიზიტორების საშუალო ღამეების რაოდენობის ზრდას და ასევე ვიზიტების განმეორებას, რადგან ერთი მოგზაურობისას ყველა ბილიკის მოვლა ხშირად შეუძლებელია.
- მსოფლიოში ზამთრის პროდუქტებზე ვიზიტორების მოთხოვნის ზრდადი ტენდენცია შეიმჩნევა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა მხოლოდ თხილაშურებით სრიალს არ ეხება. ეს ზრდა ძირითადად ჩინელი ვიზიტორების ზამთრის კურორტებისადმი ინტერესით არის გამოწვეული.

## სწრაფი პმულები:

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პუბლიკაცია სათავეადასავლო ტურიზმზე.

[www.affiliatemembers.unwto.org/publication/global-report-adventure-tourism](http://www.affiliatemembers.unwto.org/publication/global-report-adventure-tourism)

„სათავეადასავლო ტურიზმით ვაჭრობის ასოციაცია“ (ATTA)-ის პუბლიკაციები

[www.adventuretravel.biz/research/](http://www.adventuretravel.biz/research/)

## სათავეადასავლო ტურიზმი საქართველოში

საქართველოს მისი რელიეფისა და ბუნებრივი ღირებულებების წყალობით უდიდესი პოტენციალი გააჩნია სათავეადასავლო ტურიზმის განვითარების კუთხით, აქედან გამომდინარე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ინტენსიურად მუშაობს მის განვითარებაზე.

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სალაშერო ბილიკების შექმნა და განვითარება საქართველოს ყველა რეგიონში, რის შედეგადაც საპოლოოდ ჩამოყალიბდება სალაშერო ბილიკების ვრცელი და კარგად ორგანიზებული ქსელი. ბოლო სამი წლის მანძილზე ადმინისტრაციამ შეისწავლა საქართველოს რვა რეგიონი და მოკვლია 190-მდე სალაშერო ბილიკი. მოკვლევის პარალელურად 2016-2017 წლებში სამეგრელო - ზემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონებში მოინიშნა 33 ბილიკი, რომელთა საშუალებითაც შეიქმნა 60-ზე მეტი მარშრუტი. მონიშნული ბილიკების საერთო სიგრძემ შეადგინა 722 კმ. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ბილიკის მონიშვნა მოხდა ქართული, ეროვნული სტანდარტის მიხედვით, რომელიც 2015 წელს შეიქმნა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობით. სამომავლოდ იგეგმება ამ მარშრუტებისთვის ბეჭდური გზამკვლევის გამოცემა. მანამდე კი USAID - ის პროექტ „ზრდასთაა“ თანამშრომლობით მოხდა ამ ბილიკების განთავსება ინტერნეტ სივრცეში.

სათავეადასავლო ტურიზმში მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა. არსებობს სპეციალური სტანდარტები და ტრენინგ პროგრამები, რომელიც აღწერს როგორ უნდა მოხდეს სათავეადასავლო ტურის ორგანიზება ტექნიკური თვალსაზრისით (მაგ. მეკლდეულობის ტექნიკური ასპექტები). სათავეადასავლო ტურების მეგზურობა არის მრავალმხრივი და კომპლექსური სამუშაო, რომელიც მოითხოვს კომუნიკაციურ, ტექნიკურ უნარებს და სპეციფიურ კოდნას. გამყოლები წარმოადგენს ტუროპერატორების ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს. ისინი იღებენ პასუხისმგებლობას არამარტო ვიზიტორების უსაფრთხოებაზე, არამედ მათ სწავლებასა და სამოვნებაზე. საერთაშორისო აღიარებული ხარისხის სტანდარტი, რომელიც უკავშირდება სათავეადასავლო ტურიზმის უსაფრთხოების ISO/TC228WG7 სტანდარტი. მზარდი მოთხოვნა სათავეადასავლო ტურიზმში ასევე ზრდის მოთხოვნას ტუროპერატორებისა და გამყოლების ხარისხიან მომსახურებაზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინსვლა ამ მიმართულებით, რაშიც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში ტურიზმის სათავეადასავლო სკოლის დაფუძნება იყო. სკოლის მთავარი მიზანია სტუდენტების მიანოდოს აუცილებელი ცოდნა და შესანიშნობრივი საჭირო უნარები, რათა მათ შეძლონ თავიანთი პროფესიონალის გახდა.

საქმიანობის მაქსიმალურად უსაფრთხოდ წარმართვა, როგორც საკუთარი თავისთვის ასევე თავიანთი მომხმარებლი-სათვის.

## სწრაფი ბმულები:

ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია  
[www.georgia.travel](http://www.georgia.travel)

სათავეადასავლო მარშრუტებისთვის შექმნილი სპეციალური ვებ-გვერდი  
[www.wikiloc.com](http://www.wikiloc.com)

სათავეადასავლო ტურიზმის სკოლა  
[www.ats.ge/](http://www.ats.ge/)

საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანია

შპს „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანია“ მართავს შემდეგ კურორტებს: გუდაური, ბაკურიანი (კოხტა, მიტარბა, დიდველი), გოდერძი, მესტია (ჰავალი და თეთნულდი).



**გუდაური:** გუდაურის ფერდობებიამოუნურავ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კატეგორიის მოთხილამურებს: ფუნქციონირებს თხის სევადასხვა სირთულის, 20 სასრიალო გზა, რომელთა საერთო სიგრძე 70 კილომეტრა. კურორტზე არსებული სათხილამურო ფერდები იდეალურია თავისუფალი სტილით სრიალის (Freeride) მოვარულთათვის, სადაც თოვლის საფარი საშუალოდ 1-2 მეტრს აღწევს. კურორტის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობაა **Heliski**, რაც კურორტის მიმართ საერთო ინტერესს საგრძნობლად ზრდის. აღსანიშნავია, რომ გუდაურის განვითარების გეგმა მსოფლიოში წამყვანი სამთო - სათხილამურო კურორტების დამგეგმავმა კომპანია ეკოსაინმა მოამზადა.

მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი საბაგიროების მწარმოებელი კომპანია „დოპელმაირის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულა არსებული საბაგიროებიდან „პირველისა“ და „სოლიკოს“ დემონტაჟი და მათ ნაცვლად ახალი საბაგიროების მშენებლობა, ასევე „კუდების“ საბაგიროს რეკონსტრუქცია და კიდევ ერთი ახალი საბაგიროს მშენებლობა. საბაგიროები „სოლიკო“ და „კუდები“ ღია ბაბლის ტიპის ექვს ადგილიანი იქნება, რაც მგზავრის სიცივისგან დაცვას უზრუნველყოფს, ხოლო საბაგირო „პირველი“ ღია, ასევე ექვს ადგილიან. საბაგირო „პირველის“ და „სოლიკოს“ გამტარუნარიანობა საათში 2,800 მგზავრი, ახალი „კუდების“ კი 2,200 მგზავრი იქნება.



**ბაკურიანი:** ბაკურიანი საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს, თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურული სამთო-სათხილამურო კურორტია. კოხტას, მიტარბისა და დიდველის სასრიალო გზების საერთო სიგრძე 29.1 კმ.-ს შეადგენს. ბაკურიანში 23 სევადასხვა სირთულის გზა, რვა საბაგირო და ერთი ფუნიკულირობი ფუნქციონირებს ყველა ტიპის მოთხილამურებთათვის, დამწებიდან პროფესიონალამდე. ფერდობების 11%-ს გააჩნია ხელოვნური თოვლით უზრუნველყოფა, რაც კურორტის სასრიალო გზების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას განაპირობებს. კურორტი ბაკურიანი ცნობილია უნიკალური ბოტანიკური ბალით, რომელიც 1910 წელს დაარსდა, მასში მაღალმთანი კავკასიის ალპურ მცენარეთა სრული უმრავლესობაა წარმოდგენილი.

დიდველზე სამთო-სათხილამურო კურორტების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ატრაქციონი - სამთო (ციგა, ე.წ. „ტობოგანი“) მოქმედებს, რომლის მშენებლობაც სლოვაკურმა კომპანია „Tatralift“- მა განახორციელა. ტრასის სიგრძე 960 მეტრია, საერთო სიგრძე სტარტზე დაბრუნებისას - 1,360 მეტრი, ტრასის დახრილობა კი 28%. ბაკურიანში ასევე ფუნქციონირებს კინოთეატრი.



**მესტია:** თეთნულდის სათხილამური გზა ყველაზე გრძელი და ციცაბოა ამიერკავკასიაში და ყველა დონის მოთხილამურისთვის არის გათვლილი. სათხილამურო გზების საერთო სიგრძე 30 კილომეტრია. კურორტზე დამონტაჟებულია ხუთი საბაგირო. ზამთრის ხელმისაწვდომი აქტივობებია: თხილამურებით სრიალი (თავისუფალი სრიალი, **Heliski**), სწორებორდი, პარასლანით ფრენა, საცხენოსნო ტურები და სხვა.

მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე სათხილამურო კურორტი პანგალი მდებარეობს სვანეთში. მესტიიდან რვა კილომეტრში. კურორტი დამსვენებელს სთავაზობს ხუთ სათხილამურო გზას, რომელთა საერთო სიგრძე შვიდ კილომეტრს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ კურორტზე მოქმედებს ლეიტნერის (Leitner) და დოპელმაიერის (Doppelmayr) მიერ დამონტაჟებული საბაგიროები. პანგალზე სათხილამურო გზები იდეალურია არა მხოლოდ მოვარული მოსრიალებისთვის, არამედ სპორტული შეჯიბრებებისთვისაც. ხანგრძლივი თოვლის საფარი ზამთრის სპორტის სახეობების მაქსიმალური განვითარებისათვის იდეალურ პირობებს ქმნის.



**გოდერძი:** სამთო-სათხილამურო კურორტი გოდერძი ზღვის ფონიდან 2,000 მეტრზე, აქარის მაღალმთანენთში, გოდერძის უღელტეხილზე მდებარეობს. კურორტი შთამბეჭდავია ბუნებით, სუფთა ჰაერით, ულამაზესი პეიზაჟებითა და კარგად აღჭურვილი სათხილამურო ტრასებით. გოდერძი ზამთარში მომხმარებელს სთავაზობს ორ მცირე ზომის საბაგირო ხაზს, ასევე, რვა ადგილიან გონილდასა და ექს ადგილიან სავარძელს. კურორტზე სასრიალო გზების საერთო სიგრძე რვა კილომეტრს შეადგენს.

გოდერძი სტუმრებს მთელი წლის მანძილზე მასპინძლობს. ზაფხულში შესაძლებელია ალპური მთისა და ტყის ჰაიკინგი, ველოსიპედითა და ცხენით გასეირნება. ვიზიტორებს ეძლევა შესაძლებლობა დააგემოვნონ ადგილობრივი სამკურნალო მინერალური წყლები და მონიაზულონ გოდერძის ნამარხი ტყე, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალურია. აქ მდებარეობს მომწუსხველი მწვანე ტბა, რომელიც ხშირად კუმპინგის მოსაწყობად გამოიყენება. ასევე, უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლი, X-XI საუკუნეში აგებული ხიხანის ციხე, რომელიც აჭარა-შეგშეთის საზღვარზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 2,635 მეტრის სიმაღლეზე.

## სწრაფი ბმულები:

საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომისია  
<http://www.mrg.gov.ge/ge/>

## დაცული ტერიტორიების საგენტო

დაცული ტერიტორიების სააგენტოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღვეთილების, დაცული ლანდშაფტების, ბიოსფერული რეზირვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა. სააგენტოს მიზანი დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება, ტერიტორიების აღმინისტრაციების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვის კონტროლი, ახალი დაცული ტერიტორიების დაგეგმვა, შექმნა და განვითარება.

დაცული ტერიტორიები იქმნება ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი და კულტურული პერიოდების დაცვა-აღდგენის მიზნით. საზოგადოებისთვის სულ უფრო ნათელი ხდება, რომ დაცული ტერიტორიები წარმოადგენს არა მხოლოდ შემოლობილ და ყველასათვის აქრძალულ ზონებს, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია ტურისტული მიზნებითაც.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში 86 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიაა, კერძოდ: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 19 აღვეთილი და ორი დაცული ლანდშაფტი. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 595,963 ჰა-ს შეადგენს, რაც ქვეყნის

ტერიტორიის 8.55%-ია, აქედან, დაახლოებით 75% ტყით დაფარული ფართობია, ხოლო დანარჩენი კი - წარმოდგენილია ალპური მდელოებით, ჭაობებით, ნახევარუდაბნოთი, ზღვის აკვატორიით და სხვა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და IUGN - ის საერთაშორისო კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება არსებობდეს დაცული ტერიტორიების ექვსი კატეგორია კერძოდ: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღვეთილი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. შესაბამისად, დაცულ ტერიტორიებზე დაშვებული საქმიანობა განისაზღვრის კანონით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.

დაცულ ტერიტორიებზე სათავგადასავლო და ეკოტურისტული საქმიანობა დაშვებულია ძირითადად ეროვნულ პარკებში, ასევე არსებული პოტენციალის გათვალისწინებით ბუნების ძეგლებზე, დაცულ ლანდშაფტებსა და აღვეთილებში.

დაცულ ტერიტორიებზე შესაძლებელია სხვადასხვა სირთულის სალაშქრო, საცხენოსნო, ველო, კულტურული, ექსტრემალური, სპელეოლოგიური, სპორტული თევზაობის, სათავგადასავლო, სანაოსნო და ფრინველებზე დაკვირვების ტურების დაგეგმვა. აგრეთვე შესაძლებელია ვიზიტორთა ცენტრებში არსებული სხვადასხვა სერვისებით სარგებლობა: სალაშქრო აღჭურვილობის და განთავსების საშუალებების ქირაობა. ტერიტორიაზე მოწყობილია საპერინეკი და საკარვე ადგილები, ვიზიტორთა ცენტრის სასტუმრო ნომრები და ტურისტული თავშესაფრები. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სულ 68 ეკოტურისტული ბილიკია, აქედან 25 მარტივი, 29 საშუალო სირთულის და 14 რთული ბილიკი.

დაცულ ტერიტორიებზე სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტურიზმისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რაც დადებითად ასახება დაცული ტერიტორიების მიმდებარებ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, შედეგად ყოველწლიურად იზრდება დაცული ტერიტორიების მიმდებარებ ტურისტული სერვისების მიმწოდებლების რაოდენობა.


დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტო დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, მათ შორის ტურისტერატორიებთან, ასევე მონაწილეობს ტურისტულ გამოფენებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. დაცული ტერიტორიების ტურისტულ პაკეტში ჩართვისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები.

- დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობისას სასურველი სერვისების დაჯავაბნისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვევთ დაცული ტერიტორიების ვებგვერდს, სადაც კატეგორია ეკო ტურიზმში სერვისებსა და ტარიფებში შეძლებთ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საკონტაქტო ინფორმაციის მოძიებას.
- ეკოტურის დაწყებამდე აუცილებელია დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასა და ვიზიტორთა ცენტრში მისვლა, სადაც ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი ადგილის მოგვიანებით ინფორმაციას არსებული აქტივობების, სერვისებისა და მარშრუტების შესახებ, დაათვალიერებთ საგამოფენო დარბაზს და შეარჩევთ თქვენთვის სასურველ მარშრუტს. ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი ასევე გირჩევთ როგორ შეიყვანოთ დამატებითი სერვისები ტურისტული როგორიცა; კვება, ტრანსპორტირება, გიდი, გამყოლი, დამისთევა და სხვ.

- გაითვალისწინეთ, რომ საზღვრისპირა დაცული ტერიტორიებზე გადაადგილებისთვის (ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ჯავახეთის, მაჭახელას, თუშეთის დაცული ტერიტორიები) აუცილებელია რეგისტრაციის გავლა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში, თან უნდა იქონიოთ მოგზაურთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე წინასწარ უნდა მიმართოთ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას.
- დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას, მოგზაურები ალტურ-ვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და დამატებითი ეკაბირებით, რაც დამოკიდებულია დაცული ტერიტორიების სპეციფიკასა და სეზონზე;
- დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას უსაფრთხოების გამო უნდა გაითვალისწინოთ ვიზიტორთა ქცევის წესები, ამ ინფორმაციასაც დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში მიიღებთ.

### სწრაფი პმულები:

დაცული ტერიტორიების სააგენტო  
[www.apa.gov.ge](http://www.apa.gov.ge)



**თარიღის მისამართი: კალენდარი გამოცემის**

## კულტურული ტურიზმი

კულტურულმა ტურიზმმა უკანას კნელ წლებში უპრეცენდენტო ზრდა განიცადა. მისი პოპულარობა დღითიდელი იზრდება და მნიშვნელოვნად აღემატება ტურიზმის სხვა სეგმენტებსა და მსოფლიოში არსებულ ზრდის ტემპს.

ტუროზმის ინდუსტრიაში კულტურული ტურიზმის განვითარება როგორც ამოცანას წარმოადგენს, შედეგად ამ ეტაპამდე შე-თანხმებული ტერმინი თუ რას აღნიშნავს „კულტურული ტუ-რიზმი“ ტურიზმის ინდუსტრიაში არ არსებობს.

ATLAS (დასვენებისა და ტურიზმის განათლების ასოციაცია) კულტურულ ტურიზმს განსაზღვრავს, როგორც ადამიანთა გადაადგილებას კულტურული ღირშესანიშნაობების მიმართულებით (მემკვიდრეობის ძეგლები, ხელოვნებისა და კულტურული მანიფესტაციები, ხელოვნების ნიმუშები და დრამატურგია) ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილიდან განსხვავებულ გარემოში, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქები, ახალი ინფორმაციის და გამოცდილების მიღების და კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

სიტყვა კულტურის განმარტებაც ასევე რთული საკითხია. ის ტრადიციული კულტურის (მუზეუმების მონახულება, მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენები, გალერეები და კულტურული მემკვიდრეობა) გარდა მოცავს გარევეულ ტერიტორიაზე არსებულ ცხოვრების წესს: ენა, მრნაში, სამზარეულო, ტანისამოსი, ჩვეულებები და ისეთი პროდუქტები, რომლებიც მისგან გამომდინარეობს (არქეოლოგიურა, გარემო). ქალაქები, როგორც წესი სტუმარს სამ ელემენტს სთავაზობენ:

- მეტკაილრობა-წარსულთან დაკავშირებული არტეფაქტები;
  - ხელოვნების ნიმუშები-თანამედროვე და ვიზუალური ხელოვნების ნიმუშები;
  - კრეატივი-შემოქმედებითი ინდუსტრიები.

კულტურულ ტურიზმს ქვეყნისთვის მრავალი სარგებლის მო-  
ტანა შეუძლია. ის ქმნის სამუშაო ადგილებს და შემოსავლებს  
ინვესტიციისთვის, ამცირებს სასოფლო მიგრაციას, იცავს  
კულტურულ აზროვნებას და ზრდის სიამაყის შეგრძნებას  
მასპინძელ საზოგადოებაში.

კულტურული ტურიზმით დაინტერესებული ტურისტები საშუალო ასაკს გადაცილებული ადამიანები არიან, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი შემოსავლით და ცხოვრების დახვეწილი სტილით. ერთი კონკრეტული ადგილის შესწავლას სხვა ტურისტებთან შედარებით, დიდ დროს უთმობენ, შესაბამისად გამოირჩევან მაღალმხარჯელიანობით.

კულტურული ტურიზმით მოგზაურები შეიძლება კლასი-ფიცირდნენ შემდეგ კატეგორიებად:

- მიზანმიმართული კულტურული ტურისტი - ტურისტების ამ ტიპისთვის ტურისტული ადგილის მონახულებისას კულტურული ტურიზმი მთავარი მოტივაციაა და ისინი ღრმა კულტურული გამოცდილებით ხასიათდებიან.
  - ღირშესანიშნაობების მოყვარული ტურისტი - მათთვის ტურისტული ტურიზმი მთავარი მიზეზია ტურისტული ადგილისგან გამოცდილების მიღების პროცესში, თუმცა მათი გამოცდილება ნაკლებად სიღრმისეულია.
  - არაპროგნოზირებადი კულტურული ტურისტი - არ მოგზაურობს კულტურული მიზნებით, მაგრამ გარკვეულ აქტივობებში მონაწილეობის მიღებს შემდეგ ღრმა კულტურული გამოცდილების მოზიარე ხდება.
  - დროებითი კულტურული ტურისტი - კულტურული ტურიზმი სუსტი მოტივაციაა და შესაბამისად მისი გამოცდილებაც საკმაოდ ზედაპირულია.
  - შემთხვევითი კულტურული ტურისტი - არ მოგზაურობს კულტურული მიზნებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მონაწილეობს აქტივობებში და აქვს ზედაპირული გამოცდილება.

კულტურა მთავარი მოტივაციაა მიზანდასახული და ლირშე-  
ესანიშნაობების მოყვარული ტურისტებისთვის, რომლებიც  
დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა კულტურის შესწავლითა  
და გააზრებით, ადგილისა და ხალხის თავისებურებების აღ-  
მოჩენით, ქალაქებით, ისტორიული ადგილებით და ხელოვნებ-  
ის ყველა ასპექტით. ისინი ტურისტულ ადგილას ცნობილი  
ლირშესანიშნაობის ნახვის გარდა სილრმისეულად ინტერეს-  
დებიან კულტურული თავისებურებებით. კულტურული ტუ-  
რიზმის მიზნით მოვზაურობა შეიძლება ძალაში დამღლელი  
აღმოჩენდეს, რადგან დაკავშირებულია ბევრ სიარულთან და  
თვალიერებასთან, მაგრამ ამავდროულად თან ახლავს ადამი-  
ანის პიროვნული განვითარება.

მაშინაც კი, როდესაც კულტურა მოგზაურობის მთავარი მოტივაცია არ არის, კულტურული ღირშესანიშნაობების მონახულება დასვენების მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევა. ისტორიული ქალაქები და ძეგლები მთავარი ღირშესანიშნაობებია ვიზიტის პროცესში, შემდეგ მოდის მუზეუმები, გამოფენები და „აუცილებლად სანახავი“ კატეგორია. სეირნობა და გარე-მოს ალექსა გამოკლილების დიდი ნაწილია.

კულტურული ტურიზმი იყოფა ორ კატეგორიად: მატერიალურ და არამატერიალურ კულტურულ ტურიზმად. მატერიალური კულტურული ტურიზმი, თავის მხრივ კიდევ ორ, მოძრავ და უძრავ მიმართულებებს მოიცავს. უძრავ კულტურულ იპიქტებად მიიჩნევან: ისტორიული ნაგებობები, ძეგლები, ბაღები და ა.შ. მოძრავში კი ერთიანდებიან: წიგნები, ნახატები და ხელოვნების ნიმუშები.

არამატერიალური მემკვიდრეობისგან სიამოწერების მიღება კულტურული ტურიზმის გამოცდილების ნაწილია, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა ტიპის ტურიზმის კომპინაციის გზითაც

გამოიხატოს (ეკოტურიზმი, განათლების ტურიზმი და ა.შ). იუნესკოს მიერ „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ განმარტებულია, როგორც გამოცდილება, წარმოდგენები, გამოხატულებები, ცოდნა და შესაძლებლობები, აგრეთვე ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებთან, ჯგუფებთან და ზოგიერთ შემთხვევაში, ინდივიდუებთან.

კულტურული მარშრუტები კულტურული ტურიზმის მნიშვნელოვანი პროდუქტია. ისინი ხელს უწყობენ ფართო საზოგადოების მონაწილეობას კულტურულ აქტივობებში, რითაც ხდება ცნობიერების ამაღლება საერთო კულტურული მემკვიდრეობის კუთხით. მსოფლიო აღიარებს კულტურული მარშრუტების უდიდეს როლს ტურიზმი. უკანასკნელ ათწლეულში, კულტურული მარშრუტები დამკვიდრდა, როგორც კულტურული ტურიზმის პროდუქტების განვითარების მიზიდვები, მოქნილი და უკიდურესად ეფექტური საშუალება. მსოფლიოში არ არსებობს განსაკუთრებული ფორმულა კულტურული მარშრუტის შესაქმნელად, რომელიც შემდგომ წარმატებულ ტურისტულ პროდუქტად გარდაიქმნება. უპირველეს ყოვლისა კულტურული მარშრუტები მოიცავს ახალი ტურისტული პროდუქტების წარმოქმნის უდიდეს პოტენციალს ტურიზმი არსებული ტერდენციების შესაბამისად. გარდა ამისა, კულტურული ტურიზმის პროფილი შესაძლოა სასარგებლო საშუალება აღმოჩნდეს ტურისტების წასახლისტებლად, რათა გამოსცადონ უნიკალური გამოცდილებები, რომელიც მოიცავს მხიარულებას, ცოდნასა და აღმოჩნდას. კულტურული მარშრუტები ხელს უწყობს ადგილობრივი საზოგადოების განვითარებას და კარგი საშუალება ე.წ. მომწიფებული ტურისტული ადგილების განსავითარებლად, განსაკუთრებით ისეთი პროდუქტების, რომლებიც ორიენტირებულები არიან მზის და ზღვის ტურიზმზე. კულტურული მარშრუტები ამრავალფეროვნებენ მიწოდებას ტურიზმის ახალი სეგმენტებს საშუალებით, ეფექტურად ანანილებენ მოთხოვნას სხვადასხვა სეზონზე (რადგან კულტურული ტურიზმით მოგზაურობა წელინადის ნებისმიერ სეზონზე არის შესაძლებელი) და აძლიერებენ ტურისტული ადგილის ბრენდინგს.

კულტურული მარშრუტები, როგორც ტურიზმის პროდუქტი, მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური თანასწორობის ხელშეწყობის პროცესში. ის აადვილებს ტურისტის მობილურობას და უზრუნველყოფს მოგების პორიზონტალურ განაწილებას, რაც ართულებს ამ რესურსების მონოპოლიზებას. ტურისტი ვიზიტისას სარგებლობს რამდენიმე განთავსების საშუალებით, რაც ეკონომიკური სარგებლის მომტანია მოსახლეობისთვის. გარდა ამისა, ტურიზმის ეს პროდუქტი იყენებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებს ფართო კატეგორიას (მკვეთრები, კონსერვატორი, თარჯიმნები და ა.შ), შესაბამისად ხელფასებიც ტურიზმის სხვა ნაკლებად სპეციფიურ პროდუქტებთან შედარებით მაღალია.

მემკვიდრეობის კულტურულ ტურიზმი მსოფლიო ძეგლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი წარმოადგენს ტერიტორიას, რომლის შერჩევაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციის (იუნესკოს) მიერ ხდება, მისი კულტურული, ისტორიული, სამეცნიერო ან სხვა მნიშვნელობის საფუძველზე და კანონის ფარგლებში დაცულა საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ეს ადგილები უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის კოლექტიური ინტერესებისათვის.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შერჩევისთვის, იგი უკვე კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც

ღირშესანიშნავი და ისტორიულად იდენტიფიცირებული ადგილი, რომელსაც განსაკუთრებულ კულტურული ან ფიზიკური მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, უძველესი ნანგრევები ან ისტორიული სტრუქტურა, შენობა, ქალაქი, კომპლექსი, უდაბნო, ტყე, კუნძული, ტბა, ძეგლი, მთის ან უდაბნოს ტერიტორია). ის შესაძლოა წარმოადგენდეს კაცობრიობის ღირშესანიშნავ მიღწევას და იქცეს პლანეტაზე ჩვენი ინტელექტუალური ისტორიის მტკიცებულებად.

ქართული ძეგლები მსოფლიო მემკვიდრეობის წუსხაში:

### ზემო სვანეთი

1996 წელს განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასების IV და V კრიტერიუმების საფუძველზე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ზემო სვანეთში მდებარე სოფელ ჩაუაში (მესტიის მუნიციპალიტეტი, უშგულის თემი), როგორც გამორჩეული ლანდშაფტისა და კარგად შემონახული თავდაცვითი კოშკებისა თუ საეკლესიო წაგებობების მქონე ადგილს.

### გელათის მონასტერი

ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში აღირიცხა 1994 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 18-ე სესიაზე, განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასების IV კრიტერიუმის საფუძველზე. ბაგრატის კათედრალზე მიმდინარე შეუქცევადი ჩარევების შედეგად ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი 2010 წელს შევიდა საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის წუსხაში. 2017 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41 სესიაზე კომიტეტმა მოიწონა ბაგრატის კათედრალისა და გელათის მონასტერის საზღვრების მნიშვნელოვანი მოდიფიკაციის დოკუმენტაცია და შედეგად, გელათის მონასტერი დააბრუნა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

### მცხეთის ისტორიული ძეგლები

მცხეთის ისტორიული ძეგლები (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველის კათედრალი, სამთავროს მონასტერი) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში აღირიცხა 1994 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 18-ე სესიაზე, განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასების IV კრიტერიუმების საფუძველზე. ბაგრატის კათედრალზე მიმდინარე შეუქცევადი ჩარევების შედეგად ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი 2010 წელს შევიდა საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის წუსხაში. 2017 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41 სესიაზე კომიტეტმა მოიწონა ბაგრატის კათედრალისა და გელათის მონასტერის საზღვრების მნიშვნელოვანი მოდიფიკაციის დოკუმენტაცია და შედეგად, გელათის მონასტერი დააბრუნა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

### სწრაფი პმულები:

მცხეთის ისტორიული ძეგლები (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველის კათედრალი, სამთავროს მონასტერი) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში აღირიცხა 1994 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 18-ე სესიაზე, განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასების IV და III კრიტერიუმების საფუძველზე.

### მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის „გლობალური ანგარიში კულტურულ მარშრუტებზე და გზებზე“

<HTTP://AFFILIATEMEMBERS.UNWTO.ORG/PUBLICATION/AFFILIATE-MEMBERS-GLOBAL-REPORT-VOLUME-TWELVE-CULTURAL-ROUTES-AND-ITINERARIES>

### მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

„ტურიზმი და არამატერიალური კულტურულ მარშრუტებზე და გზებზე“

<HTTPS://WWW.E-UNWTO.ORG/DOI/BOOK/10.18111/9789284414796>

### საქართველოს ეროვნული მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2004 წელს შეიქმნა და წარმოადგენს ყველაზე დიდ სამუზეუმო და კვლეული ინსტიტუციას საქართველოში, ის ქვეყნის სანგრძლივო სამუზეუმი

ტრადიციების გამგრძელებელია. ეროვნული მუზეუმი ქმნის მულტიფუნქციურ სივრცეს, რომელიც მთლიანად დამთვალიერებელზეა ორიენტირებული. მის შემადგენლობაში შედის მუზეუმები, ეროვნული გალერეა, სახლ - მუზეუმები, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები და მუზეუმ - ნაკრძალები. ეროვნული მუზეუმი საზოგადოებას წარმოუდგენს დროებით და მუდმივმოქმედ ექსპოზიციებს მუზეუმის მრავალფეროვანი კოლექციებიდან. მუზეუმის ინსტიტუციური განვითარება Unesco-ს, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით მიმდინარეობს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი მსოფლიო სამუზეუმო და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობს. მუზეუმის კოლექციები პერიოდულად სხვადასხვა ქვეყნის წამყვან მუზეუმებში იფინება, სადაც მიღლონობით დამთვალიერებელი ეცნობა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას. გამოფენებით, კოლექციებით, მრავალფეროვანი პროგრამებითა და ლექციებით, მუზეუმის ქსელი მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურს და სამეცნიერო პლატფორმას ქმნის.

#### თბილისი:

- ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (შ.რუსთაველის გამზ.3)
- დ.შევარდანაძის სახელობის ეროვნული გალერეა (შ.რუსთაველის გამზ.11)
- შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (ლ.გუდიაშვილის ქ.1)
- თბილისის ისტორიის მუზეუმი - ქარვასლა (სიონის ქ.8)
- გ.ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი (კუს ტბის გზატკეცილი)
- ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი (ლ.ქაჩელის ქ.12)

#### რეგიონები:

- სვანეთის მუზეუმი (მესტია, ა.ოთსელიანის ქ.7)
- სიღნალის მუზეუმი (სიღნალი, შ.რუსთაველის ჩიხი 8)
- დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი (დმანისის რაიონი, სოფელი პატარა დმანისი)
- ძალისას მუზეუმ-ნაკრძალი (მცხეთის რაიონი, სოფელი ძალისა)
- ო.ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი (ვანი, ო.ლორთქიფანიძის ქ. 32)

#### სწრაფი ბმულები:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
[www.museum.ge](http://www.museum.ge)

#### საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტო

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტო კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი გამტარებელი ორგანოა. იგი ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამას და თითქმის სრულად მოიცავს ქვეყნის მატერიალური კულტურის ყველა სფეროს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით არსებული კულტურული მემკვიდრეობის

ქეგლებისა და ობიექტების მართვა და დაცვა, კერძოდ: მონიტორინგი და მდგომარეობის შეფასება; კვლევა და ატრიბუცია-დოკუმენტირება; კონსერვაცია-რესტავრაცია, ასევე ინფრასტრუქტურის შექმნა, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, სამუზეუმო ექსპონატების დაცვა და შესწავლა-დოკუმენტირება; მათი ექსპონირება-პრეზენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდა თაობის დაინტერესება.

ქვეყნის მასშტაბით კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობის გარდა, საგნეტო თავად წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ქეგლებისა და ობიექტების მუზეუმ-ნაკრძალებად ჩამოყალიბებული ადგილების ერთობლიობას. ქვეყნაში არსებული მუზეუმ - ნაკრძალების უდიდესი ნაწილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოშია გაერთიანებული, ესენია:


- ვარძის ისტორიულ-არქეოლოგიურული მუზეუმ-ნაკრძალი;
- უფლისციხის ისტორიულ - არქეოლოგურული მუზეუმ - ნაკრძალი;
- პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ - ნაკრძალი;
- დიდ მცხოვარის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ - ნაკრძალი;
- ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ - ნაკრძალი;
- ქუთაისის ისტორიულ - არქეოლოგურული მუზეუმ - ნაკრძალი;
- სამშევილდისა და კლდეკარის მუზეუმ - ნაკრძალი;
- უჯარმისა და დავით - გარეჯის მუზეუმ - ნაკრძალი;
- მუცოს მუზეუმ - ნაკრძალი;
- ჩაუაშის მუზეუმ - ნაკრძალი;
- ქსნის ხეობის ისტორიულ - არქეოლოგურული მუზეუმ - ნაკრძალი;
- დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ - ნაკრძალი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ასევე აერთიანებს რამდენიმე მუზეუმს. ესენია:

- გრემის მუზეუმი:
- ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი;
- ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი.

#### სწრაფი ბმულები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტო  
[www.heritagesites.ge/](http://www.heritagesites.ge/)



## თარიზმის ტიპები: გავალების ინდიკატორი

რა არის შეხვედრების ინდუსტრია და საკონვენციო ბიურო?

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) განსაზღვრებით „შეხვედრა“ ზოგადი ტერმინია, რომელიც აღნიშნავს მოლაპარაკების წარმოების ან რაიმე აქტივობის განხორციელების მიზნით ერთ ადგილას შეკრებილ ადამიანთა ჯგუფს. უფრო დეტალური განმარტებით ტერმინი „შეხვედრა“ გულისხმობს 10 ან მეტი მონანილის მინიმუმ თოხი საათით შეკრებას ღონისძიებისთვის დაქირავებულ ადგილას. შეხვედრები მოიცავს ყრილობებს, კონფერენციებს, კონგრესებს, სავაჭრო შოუებსა და გამოფენებს, წამახალისებებს ტურებს, კორპორაციულ/ბიზნეს შეხვედრებს და სხვა შეხვედრებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მოცემულ კრიტერიუმს.

არსებობს სხვა ტერმინებიც, რომელთაგანაც ყველაზე გავრცელებულია აბრევიატურა MICE. (MEETING-შეხვედრები, INCENTIVE-ნამასალისებული ტურები, CONFERENCE-CONVENTION-კონფერენცია-კონვენცია, EVENT-EXHIBITION-ლონისძიება).

კველა MICE კომპონენტი გარდა ტერმინის - წახალისება “INCENTIVE” მარტივად გასაგებია. წამახალისებელი ტურიზმი ძირითადად ხორციელდება, როდესაც კომპანიას სურვილი აქვს დასაქმებულის მოტივირება განახორციელოს, კარგად შესრულებული სამუშაოს გამო. სხვა „MICE” -ის შემადგენელი ნაწილებისგან განსხვავებით წამახალისებელი ტური ძირითადად ხორციელდება მხოლოდ გართობის მიზნით და არა პროფესიონალური ან საგანმანათლებლო მიზეზებით. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასთან ერთად ტერმინ „შეხვედრების ინდუსტრიას“ უპირატესობას ანიჭებენ შემდეგი ორგანიზაციები International Congress and Convention Association (ICCA), Meeting Professionals International (MPI), Reed Travel.

შეცველრების ინდუსტრია ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ელემენტია. მასთან ასოცირებული დადებითი ფაქტორები მოიცავს:

## କୁ ଏଣ୍ଡିସ ମାଇଟ୍‌ରେଜିସ୍ଟ୍ରେସନ୍ କରିବାକୁ କିମ୍ବା ଏଣ୍ଡିସ ମାଇଟ୍‌ରେଜିସ୍ଟ୍ରେସନ୍ କରିବାକୁ କିମ୍ବା

## MEETING

კორპორატიული კონფერენციები. მაგალითად: კორპორატიული ჯგუფის საბჭოს შეხვედრა, ფინანსური სემინარი უცხოელი ინვესტიციებისათვის

INCENTIVE

კომპანიის მიერ დაგევმზღვილი წამახალისისებელი ტური, რომლის მიზანია თანამშრომელთა დაჭილდოება ან წახალისება. მაგალითად: თანამშრომელთა დაჭილდოების ცერემონიალი, რომელსაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი უდინდება

CONVENTION

კონფერენცია - კონფენცია, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კადემიკური ასოციაციების მიერ ჩატარებული გენერალური ასამბლეა, აკადემიკური კონფერენციები. მაგალითად: APEC, COP 10, მსოფლიო არქიტექტურის კონგრესი, ITB საერთაშორისო კონფერენცია

EVENT-EXHIBITION

კვლეული და სპორტული ღონისძიება, ასევე საგაფრო შოუები და გამოთვენები. მაგალითად: ტოკიოს საერთაშორისო ფილმის ფესტივალი, აზიის საკალათბურთო ლიგა, ტოკიოს მოტორ შოუ, საერთაშორისო საიუველირო გამოთვენა ტონიოში. IAAF მდორისნობების მსოფლიო ჩიმპიონატი

- შეხვედრები მსხვილი პიზნესია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვა პიზნესების მხარდაჭერაში;
  - შეხვედრები წაახალისებს ინვესტიციებს, ვაჭრობას, კომუნიკაციებს და ტექნოლოგიურ განვითარებას;
  - შეხვედრებს მოაქვს განათლება და პროფესიული განვითარება ადგილობრივ ეკონომიკაში, ქმნის სამუშაო ადგილებს;
  - ის არის „უმეტესწილად „სუფთა“ ინდუსტრია და გარემოზე უარყოფითი ეფექტები არ აქვს;
  - შეხვედრების ინდუსტრია მაღალმხარჯველიანი ვიზიტორებით გამოირჩევა;
  - შეხვედრებს მოაქვს გლობალური ექსპერტული ცოდნა;
  - შეხვედრები ქმნის და ავრცელებს ცოდნას მსოფლიოს გარშემო.

2016 წლის ოქტომბერიდან საქართველოს ცურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფარგლებში ფუნქციონირება დაწყო საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ. აღნიშნული ბიუროს მთავარ ამოცანას წარმოადგენს საქართველოში შეხვედრების ინდუსტრიის განვითარება და სხვადასხვა შეხვედრის, წამახალისებრელი ცურის, კონფერენციის, გამოფენისა და სხვა მსეავსი საერთაშორისო ღონისძიების მოზიდვა და ხელშეწყობა. ამასთანავე, საზღვარგარეთ საქართველოს საქმიანი ცურიზმის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

საქართველოს საკონცენტრო და საგამოფენო ბიუროს წევრები იყოფიან ხუთ კატეგორიად, კერძოდ:

1. განთავსების ობიექტები (სასტუმროები);
  2. ტურისტული სააგნტოები, ტუროპერატორები და „ივენტ“ (ღონისძიების ორგანიზატორი) კომპანიები;
  3. საგამოფენო სიურცეები;
  4. ავაკომპანიები;
  5. დამხმარე ინდუსტრია (ტრანსპორტით, კვებით ან ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა).

ერთი სუბიექტის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ერთი კატეგორიის ფარგლებში.

## რა არის საჭირო საკონვენციო პიუროში გასაწევრიანებლად?

### განთავსების ობიექტები (სასტუმროები)

ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე განთავსების ობიექტს სავალდებულოა გააჩნდეს მინიმუმ 55 სასტუმრო ნომერი და საკონფერენციო დარბაზი, რომელსაც საშუალება აქვს ერთდროულად უმასპინძლოს მინიმუმ 70 პერსონას თეატრალური წყობით.

ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მდებარე განთავსების ობიექტს სავალდებულოა გააჩნდეს:

- მინიმუმ 55 სასტუმრო ნომერი;
- საკონფერენციო დარბაზი, რომელსაც საშუალება აქვს ერთდროულად უმასპინძლოს მინიმუმ 70 პერსონას თეატრალური წყობით;
- ბაზაში განვითანებული სამი სუბიექტის მიერ ადმინისტრაციის ან ბიუროს სახელზე გაცემული დადებითი რეკომენდაცია განმცხადებლის შესახებ. რეკომენდაციაში შეფასებული უნდა იყოს განმცხადებელსა და რეკომენდატორს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობა საქმიანი ტურიზმის მიმართულებით.

### ტურისტული სააგენტოები, ტუროპერატორები და „ივენტ“ (ლონისძიების ორგანიზატორი) კომპანიები

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, თითოეულ კალენდარულ წელს, საქმიანი ტურიზმის მიმართულებით, მინიმუმ 50 პერსონაზე, მინიმუმ ერთი ტურის/ლონისძიების ჩატარების გამოცდილება.

ბაზაში განვითანებული მინიმუმ ორი განთავსების ობიექტის (სასტუმროს) მიერ ადმინისტრაციის ან ბიუროს სახელზე გაცემული დადებითი რეკომენდაცია განმცხადებლის შესახებ. რეკომენდაციაში შეფასებული უნდა იყოს განმცხადებელსა და რეკომენდატორს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობა საქმიანი ტურიზმის მიმართულებით.

მინიმუმ ხუთი მუდმივად დასაქმებული თანამშრომელი.

ორგანიზაციის ვებ-გვერდი ინგლისურ ენაზე.

\*დადგენილი კრიტერიუმების დაკაყალება სავალდებულო არ არის იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენიენტების ორგანიზაციის (International Congress and Convention Association, "ICCA") წევრები არიან.

### როგორ შეიძლება დამეხმაროს საკონვენციო პიურო ბიზნესის წარმოებაში?

საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროში განვითანების შემდეგ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ მონაცილეობა მიიღონ ბიუროს მიერ წარმოდგენილ/მოძიებულ საერთაშორისო ტენდერებსა და განაცხადებში (ზიდებში). ბიდების შესახებ ინფორმაცია მიეროდება ყველა შესაბამის წევრს ერთდროულად, ამასთან, გამარჯვებული ვლინდება არა ბიუროს მიერ, არამედ ბიდის წარმომდგენის (დამკვეთის) მიერ.

ამასთან, წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ბიუროს ვებ-გვერდზე „MeetGeorgia.ge“ და საქმიანი ტურიზმის პოტენციალის სარეკლამო მასალებში (კატალოგებში). აქვე, წევრ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაცილეობა, ბიუროს მიერ საზღვარგარეთ დაგეგმილ ღონისძიებებში, პრეზენტაციებსა და სხვა მსგავს აქტივობებში. საზღვარგარეთ ბიუროს მიერ დაგეგმილ აქტივობებში მონაცილეობა ფასიანია და განისაზღვრება ღონისძიების მასშტაბურობიდან გამომდინარე. ბიუროს ორგანი-

ნარმოადგენდეს საგამოფენო ან/და საკონვენციო ცენტრს ან/და სივრცეს, საქართველოს მასშტაბით და საშუალება პერიოდებს უმასპინძლოს ერთდროულად მინიმუმ 300 პერსონას თეატრალური წყობით.

### საგამოფენო სივრცეები

#### ავიაკომპანიები

ავიაკომპანია, რომელიც ახორციელებს რეგულარულ ფრენებს საქართველოს აეროპორტებიდან.

#### დამხმარე ინდუსტრია (ტრანსპორტი, კვებით ან ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა)

ბაზაში განვითანებული 5 სხვადასხვა სუბიექტის მიერ ადმინისტრაციის ან ბიუროს სახელზე გაცემული დადებითი რეკომენდაცია განმცხადებლის შესახებ. რეკომენდაციაში შეფასებული უნდა იყოს განმცხადებელსა და რეკომენდატორს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობა საქმიანი ტურიზმის მიმართულებით.

ზეპიონ გაიმართება სამუშაო შევედრები სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი ტურიზმის ექსპერტების მონაცილეობით, შეხვედრებზე დასწრების პრიორიტეტი აქვთ ბიუროს წევრებს.

ზემოხსენებულთან ერთად, ბიუროს წევრი კომპანიები წარმოადგენენ ქვეყნის საქმიანი ტურიზმის პოტენციალს, შესაბამისად, თითოეულ წევრს აქვს უფლება სარეკლამო და საინფორმაციო მიზნებისათვის გამოიყენოს მისი სტატუსი.

#### სწრაფი ბმულებები:

საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო  
[www.meetgeorgia.ge](http://www.meetgeorgia.ge)  
[www.facebook.com/GeorgiaConvention](http://www.facebook.com/GeorgiaConvention)  
[www.linkedin.com/company/convention-and-exhibition-bureau-of-georgia](http://www.linkedin.com/company/convention-and-exhibition-bureau-of-georgia)

# ტურიზმის ტიპები: ჯანმრთელობის ტურიზმი

## რა არის ჯანმრთელობის, ველნეს და სამედიცინო ტურიზმი?

ჯანმრთელობის, ველნეს და სამედიცინო ტურიზმი ბოლო წლებში სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა. გაზრდილი მნიშვნელობიდან გამომდინარე დღის წესრიგში მათი გამიჯვნა და თითოეულის ცალცალკე განმარტება დადგა. ტურიზმის ყველა აქტივობას ჯანმრთელობისთვის გარკვეული სარგებელი მოაქვს, თუმცა ეს შეიძლება საკარისი არ აღმოჩნდეს მისი ოფიციალურად ჯანმრთელობის ტურიზმად მოხსენიებისთვის ან სტატისტიკის მიზნებისთვის შეგროვებისთვის. შესაბამისად ცხადი განმარტებინა საჭირო ჯანმრთელობის ტურიზმის მასშტაბის დასადგენად, სტატისტიკის მოგროვების ხელშესაწყობად და ჯანმრთელობის ტურიზმის ეფექტის უკეთესად გასაზომად.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით ჯანმრთელობის ტურიზმი (Health Tourism) ისეთი ტიპის ტურიზმს ფარავს, რომელსაც მთავარ მოტივაციად აქვს ფიზიკურ მენტალური ან/და სულიერი ჯანმრთელობის გაუმჯობესება, სამედიცინო და ველნესზე დაფუძნებული აქტივობებით, რომელიც ზრდიან ადამიანების შესაძლებლობებს დააკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნები და იფუნქციონირონ უკეთესად როგორც ინდივიდებმა მათ გარემოში და საზოგადოებაში.

ჯანმრთელობის ტურიზმი მოიცავს: ველნეს ტურიზმს და სამედიცინო ტურიზმს.

ველნეს ტურიზმი არის ტურიზმის აქტივობის ტიპი, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანური ცხოვრების მთავარი სფეროების გაუმჯობესებას და დაბალანსებას მათ შორისაა ფიზიკური, მენტალური, ემოციური, ინტერელექტუალური და სპირიტუალური მახასიათებლები. ველნეს ტურისტის მთავარი მოტივაციაა პრევენციულ, პროაქტიურ ცხოვრების სტილში ჩართვა ისეთი აქტივობებით, როგორიცაა ფიტნესი, ჯანმრთელი კვება, რელაქსაცია, განკურნებითი აქტივობები.

სამედიცინო ტურიზმი არის ტურიზმის ტიპის აქტივობა, რომელიც მოიცავს მტერცებულებაზე დაფუძნებულ სამედიცინო მკურნალობას და სერვისებს (ორივე ინვაზიურს და არაინვაზიურს). მან შეიძლება მოიცვას დიაგნოზი, მკურნალობა, პრევენცია და რეაბილიტაცია.

სამედიცინო ტურისტებისთვის სერვისების მინიდებაში ჩაბმული ქვეყნების უმრავლესობის მთავარი მოტივაცია უცხოური სავალუტო შემოდინებების გაზრდა და საგადასახდელო ბალანსის პოზიციების გაუმჯობესებაა.

## რა უნდა ვიცოდეთ ჯანმრთელობის მიზნით მოგზაურების მოსაზიდად?

ჯანმრთელი ცხოვრების სტილით მცხოვრები მოსახლეობა უფრო დიდი ალბათობით მოითხოვს ჯანმრთელობის ტურიზმის ტიპის ადგილებს, როგორიცაა სპა და ველნეს სასტუმრო. გარდა ამისა, ადამიანი ჯანმრთელობის ტიპის ტურისტი შეი-

დლება ექიმების რეკომენდაციით გახდეს და ასევე დამსაქმებელმა ველნეს ტურიზმები გაგზავნოს დასაქმებული სტიმულირების მიზნით. გარეგანი ფაქტორები, როგორიცაა ეკონომიკური რეცესია იწვევს გაზრდილ საჭიროებას ჯანმრთელობის და ველნესის ტურიზმის მიმართ, სტრესის შემცირების და ენერგიის განახლების მიზნით.

ჯანმრთელობის ტურიზმში დისტრიბუცია საემაოდ უნიკალურია. სამედიცინო ტურიზმში ფასილიტატორები (იშვიათად ტურ ოპერატორები) თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. ველნეს ტურიზმში კი (განსაკუთრებით მკურნალობაზე დაფუძნებული ან სპირიტუალური ტურიზმი) მცირე, მაგრამ შედარებით სპეციალიზებული ტურ კომპანიები უზრუნველყოფენ პაკეტურ სერვისებს ან ოპერირებას უნევენ დისტრიბუციის პლატფორმებს.

მთო-ს პუბლიკაციებში გამოყოფილია ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც განაპირობებს ჯანმრთელობის ტურიზმში ჩართვას, მათ შორისაა:

- დასვენებასთან დაკავშირებული აქტივობების დრო (მათ შორის ჯანდაცვა და პრევენცია) გაიზარდა. მეტი დროის ქონა და გაზრდილი შემოსავალი, რომელიც დასასვენებელ აქტივობებისთვის არის განკუთვნილი (მაგ. მოგზაურობა, გართობა, ჯანდაცვა, პერსონალური სიჯანსაღე) ემარება ჯანმრთელი ცხოვრების სტილის პოპულარიზაციას. კულტურული ტრადიციები, ბუნებრივი აქტივები და მეტვიდრეობა ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოთხოვნის და მოტივაციის განსაზღვრაში.

- ურბანიზაცია სახელმწიფო ჯანდაცვისთვის მთავარი გამოწვევაა. გაეროს მონაცემებით, მსოფლიო პოპულაციის დაახლოებით ნახევარი ქალაქებში ცხოვრობს. ეს პროპორცია შესაძლებელია 2050 წლისთვის მრ-ებამედამდეც გაიზარდოს. ქალაქერი ცხოვრება დაკავშირებულია ჯანმრთელობის გაუარესებასთან და ქრონიკულ დავადებებთან, რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტურების მიმართ მოთხოვნას ზრდის.

- ფინანსური ბაზრების გლობალური ხასიათი იწვევს სწრაფ განვითარებას განსაკუთრებით სპა და სტუმართმასპინძლობის ბაზარზე. ინვესტიციები (ხემირა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სახით) მნიშვნელოვნად იზრდება სამედიცინო ტურიზმში, ძირითადად ტექნოლოგიასა და ნოუ ჰანშე. შედეგად ადგილი აქვს „ინტელექტუალური ტურიზმის გადინებას“. (ექიმების და სხვა ჯანდაცვის პროფესიონალებს ურჩევნიათ იმუშავონ სამედიცინო ტურიზმში, ვიდრე უმკურნალონ ადგილობრივ რეზიდენტებს).
- სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებას და გამოგონებებს ასევე გავლენა აქვს ჯანმრთელობის მიზნით მოგზაურობაზე. მაგალითად, სწრაფი და ნაკლებად ინვაზიური, სრულიად ინგზის გარეშე ან მინიმალური ინვაზიური ტექნოლოგია (ლაპაროსკოპია) სილამაზის და სამედიცინო მკურნალობისთვის.

- აპლიკაციებს აქვთ პოტენციალური შეცვალონ ის თუ როგორ განიხილავენ მომხმარებლები ჯანმრთელობას და ჯანდაცვას მომავალში. მობილური ჯანმრთელობა და ინტერნეტ ჯანმრთელობა, სმარტ გადაწყვეტილებები და რეალური დროის ინფორმაცია საშუალებას აძლევს ჯანდაცვის მიმწოდებლებს განსაზღვრონ პერსონალური მკურნალობის გეგმები.

- სამედიცინო ტურიზმის ზრდა ძირითადად გამოიწვეულია გადატვირთული ჯანდაცვის და სახელმწიფო დაზღვევის სისტემებით. პოლონ წლებში განთარებულ ქვეყნებში გრძელვადიანი ჯანდაცვის ხარჯები გაიზარდა, რაც მოსახლეობის დაბერებასთან არის დაკავშირებული, თუმცა, მიუხედავად იმისა რომ დასავლეთ ქვეყნებში პოპულაცია სწრაფ დაბერებას განიცდის, გლობალური მონაცემები კვლავ აჩვენებს, რომ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი 30 წელზე ნაკლებისაა. ახალგაზრდა მოსახლეობა ჯანმრთელობის ტურიზმის პოტენციურ მოთხოვნას ნარმოადგენს უახლოს მომავალში. სამედიცინო ტურიზმის ძირითადი მამოძრავებელია ასევე დაზღვევის და სერვისების უქონლობა (პაციენტების სამშობლოში), შემცირებული ხარჯები, უკეთესი ხარისხის ჯანდაცვა, საშმობლოში არ არსებული პროცედურები და მცირე ლოდინის პერიოდები.
- სამეციდიცინო ტურიზმი ისტორიულად მცირე შემოსავლის ქვეყნებიდან მაღალ შემოსავლის ქვეყნებისკენ იყო მიმართული უკეთესო სამედიცინო მომსახურებით და პროფესიონალებით. თუმცა პოლონ პერიოდში ამ ტენდენციამ შებრუნება დაიწყო.

## ჯანმრთელობის ტურიზმი ციფრებში

ლიმიტირებული, დაფრანგმენტებული და ხშირად არასანდო მონაცემების, ასევე ჯანმრთელობის ტურიზმის და მისი კომპინენტების განსხვავებული განმარტებების გამო, რთულია შეაფასო ჯანმრთელობის ტურიზმის ბაზრის ზომა და მისი ზრდა. თუმცა მიახლოებითი შეფასებების გაკეთება მაინც შესაძლებელია:

- საერთაშორისო საცალუეტო ფონდის მონაცემებით, რომელიც საგადამხდელო ბალანსზე დაფუძნებული 2015 წელს ამერიკის შეერთებული შტატებმა ყველაზე მეტი შემოსავალი მიიღო (3,600 მილიონი) და ყველაზე მეტი დახარჯა (1,800 მილიონი) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოგზაურობაზე. შემოსავლის მიხედვით თურქეთი მეორე ადგილზე 900 მილიონით, ხოლო დანახარჯებით მეორეზე ქუვეითია 1,600 მილიონით.
- საერთაშორისო სამედიცინო ტურიზმის უურნალის მონაცემებით, 2014 წელს ყველაზე მეტი სამედიცინო ტურიზმის დაწესებულება გერმანიას, პოლონეთს და უნგრეთს ჰქონდა. 2017 წლის მონაცემებით კი სამედიცინო ტურიზმში პროვიდერების და ფასილიტატორების რიცხვოვნობით ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და თურქეთი ლიდერობდნენ.

ცალკე უნდა გამოიყოს გლობალური ველნესი ინსტიტუტის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც წარმოადგენს არამომგებიან ორგანიზაციის, რომლის მისიაა ველნესის მინიჭებულობის გაზრდა მსოფლიოში სახელმწიფო და კერძო სექტორის განათლების მიცემის საშუალებით პრევენციული ჯანმრთელობის და ველნესის შესახებ.

- ველნეს ტურიზმი საშუალოდ ყოველწლიურად 6.5%-ით იზრდებოდა 2015-2017 წლებში, ორჯერ უფრო სწრაფად ვიდრე მთლიანობაში ტურიზმი. (3.2% ყოველწლიურად, ევრომონიტორის მონაცემების მიხედვით)
- მსოფლიოში მოგზაურება განახორციელეს 839 მილიონი საერთაშორისო და შიდა ველნეს ვიზიტები 2017 წელს, რომელიც მთლიანი დანახარჯების 17%-ს შეადგენდა.
- საერთაშორისო ველნეს ტურისტი საშუალოდ 1,528 დოლარს ხარჯავს ვიზიტზე, 53%-ით მეტს ვიდრე ტიპიური საერთაშორისო ტურისტი. ადგილობრივი ველნეს ტურისტი ხარჯავს 609 დოლარს ვიზიტზე, 178%-ით მეტს ვიდრე საშუალო შიდა ტურისტი.

• ველნეს ტურიზმის ბაზარი მოიცავს ორი სახის მოგზაურებს: ძირითად ველნეს მოგზაურებს, რომელთა ვიზიტის მთავარ მიზანს ველნესი წარმოადგენს და ტურისტულ ადგილებსაც ველნესის შემოთავაზების მიხედვით არჩევენ. მეორადი ველნეს მოგზაურები მოთხოვენ ველნეს სერვისებს ნებისმიერი მიზნით ვიზიტის განმავლობაში. ყველაზე დიდი წილი ველნეს ვიზიტების (89%) და დანახარჯების (86%) სწრაფდ მეორად ველნეს ვიზიტებზე მოდიოდა 2017 წელს. მეორადი ველნესი, ასევე უფრო სწრაფად იზრდებოდა საშუალოდ 10%-ით, მაშინ როცა ძირითადი ველნეს მოგზაურობის ზრდა მხოლოდ 8% იყო 2015-2017 წლებში.

- 2017 წელს ჯამში 149,000 სპა არსებობდა, რომელიც 93,6 მილიარდს გამოიმუშავებდა შემოსავლების სახით და ასაქმებდა 2.5 მილიონ მუშახელს.

სანდო, შესადარისი მონაცემების არ არსებობა ართულებს ქვეყნებს, ტურისტულ ადგილებს შორის შედარებითი ანალიზი გაკეთებას. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციები, დმო-ები და ინდუსტრია მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებენ გაუმჯობესებული მონაცემებით, რომლის შეგროვება და განვითარება ჰარმონიზებული კონცეფციის ფარგლებში მოხდება ცხადი განსაზღვრულებით.

## სწრაფი პმულები:

გლობალური ველნესის ინსტიტუტი  
<https://globalwellnessinstitute.org/>

## ჯანმრთელობის ტურიზმი საქართველოში

საქართველოს თავისი უხვი და მრავალფეროვანი თერმული და მინერალური წყლებით, ასევე სამკურნალო ტალახით მარტივად შეუძლია კონკურნცია გაუწიოს მსოფლიოში ლიდერ ჯანმრთელობის ტურიზმის ტურისტულ ადგილებს. მისი ადგილმდებარებიდან გამომდინარე, ქვეყნის კლიმატი მნიშვნელოვან ცვალებადია. ეს არის უმთავრესი ფაქტორი, რაც განაპირობებს სხვადასხვა ტიპის ჯანმრთელობის ტურიზმის კურორტებს, რომელთაგან ველნეს და სპა ტურისტულ ადგილებს უმნიშვნელოვანები ადგილი უკავიათ. საქართველოში 2000 მინერალური და თერმული წყარო მოიპოვება, მათი გამოყენების მრავალსაკუნოვნი ისტორიით და ტრადიციით. თერმული და მინერალური წყლებით, ასევე სამკურნალო ტალახით მარტივად შეუძლია კონკურნცია გაუწიოს მსოფლიოში ლიდერ ჯანმრთელობის ტურიზმის ტურისტულ ადგილებს. მისი ადგილმდებარებიდან გამომდინარე, ქვეყნის კლიმატი მნიშვნელოვან ცვალებადია. ეს არის უმთავრესი ფაქტორი, რაც განაპირობებს სხვადასხვა ტიპის ჯანმრთელობის ტურიზმის კურორტებს, რომელთაგან ველნეს და სპა ტურისტულ ადგილებს უმნიშვნელოვანები ადგილი უკავიათ. საქართველოში 2000 მინერალური და თერმული წყარო მოიპოვება, მათი გამოყენების მრავალსაკუნოვნი ისტორიით და ტრადიციით. თერმული და მინერალური წყლების გარდა განსაკუთრებით ლირებილი ტანამდებობის გაზრდით ამონის მინიჭებულება მინიჭებულების გაზრდით ამონის მინიჭებულება და კერძო სექტორის განათლების მიცემის საშუალებით პრევენციული ჯანმრთელობის და ველნესის შესახებ.

• ველნეს ტურიზმი საშუალოდ ყოველწლიურად 6.5%-ით იზრდებოდა 2015-2017 წლებში, ორჯერ უფრო სწრაფად ვიდრე მთლიანობაში ტურიზმი. (3.2% ყოველწლიურად, ევრომონიტორის მონაცემების მიხედვით)

• მსოფლიოში მოგზაურება განახორციელეს 839 მილიონი საერთაშორისო და შიდა ველნეს ვიზიტები 2017 წელს, რომელიც მთლიანი დანახარჯების 17%-ს შეადგენდა.

• საერთაშორისო ველნეს ტურისტი საშუალოდ 1,528 დოლარს ხარჯავს ვიზიტზე, 53%-ით მეტს ვიდრე ტიპიური საერთაშორისო ტურისტი. ადგილმდებრივი ველნეს ტურისტი საშუალოდ 609 დოლარს ვიზიტზე, 178%-ით მეტს ვიდრე საშუალო შიდა ტურისტი.

შეუძლია ასევე ტურიზმის დეცენტრალიზაციაში წვლილის შეტანა, რადგან ბევრი ველნეს და სამედიცინო დაწესებულება ქალაქებით და სოფლის ფარგლებში მდებარეობს.

კოლაბორაცია და პარტნიორობა უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა დაინტერესებულ პირებს შორის, რომლებიც ჯანრმთელობის ტურიზმის ღირებულების ჯაჭვში არიან ჩართულები: ტურისტული ადგილები, ადგილობრივი საზოგადოები, განთავსებები და ტრანსპორტი, პროვაიდერები და ფასილიტატორები. ჯანმრთელობის ტურიზმი შეიძლება უკეთესად ინტეგრირებული იყოს მთლიანად ტურიზმის პოლიტიკაში. ამისთვის კი განიხილება განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის (სახელმწიფო-კერძო ინიციატივების) რეპლიკაცია. მნიშვნელოვანია, სტუმართმასპინძლობის და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს თანამშრომლობა, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთისგან ბევრი ისწავლონ სერვისების ოპტიმიზირების და ხარისხიანი ტურისტული მომსახურების შეთავაზების კუთხით.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული „toolkit for health tourism development“ ეხმარება ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და დმო-ებს ჯანმრთელობის ტურიზმის ნებისმიერი სფეროს განვითარებასა და მენეჯმენტში.

## სწრაფი ბმულები:

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს მიერ შემუშავდა ჯანმრთელობის ტურიზმის მიმართულებით პუბლიკაციები: “Georgia your Spa and Wellness Destination” და “Medical Tourism in Georgia”.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ელექტრონული ბიბლიოთეკა კატეგორია „ჯანმრთელობის“ ტურიზმი

[www.gnta.ge/publications](http://www.gnta.ge/publications)



## ტურისტული ტერმინები

**აგენტი** – პირი ან კომპანია (შემომყვანი ტუროპერატორი, ბიურომად ან საცალოდ მოვაჭრე), რომელიც ყიდის თქვენს პროდუქტს თქვენს ნაცვლად.

**ბიზნეს ვიზიტორები** – ბიზნეს ვიზიტორი არის ვიზიტორი, რომლის ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი ბიზნესი და პროფესიული საქმიანობაა.

**ბიზნეს ტურიზმი** – აერთიანებს ვიზიტორებს, რომელიც მოგზაურობენ ყრილობებისთვის, კონფერენციებისთვის, სემინარებისთვის, ვორქშოუებისთვის, სიმპოზიუმებისთვის, გამოფენებისა და სპეციალური ღონისძიებებისთვის.

**გამყვანი ტურიზმი** – რეზიდენტის მოგზაურობა თავისი ქვეყნიდან საერთაშორისო ტურისტული დანიშნულების ადგილისკენ.

**გრძელ დისტანციაზე მოგზაურობა** – საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტული დანიშნულების ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე მეტია.

**ტურისტული დანიშნულების ადგილი** – ტურისტული პროდუქტისა და ადგილის ერთობლიობა.

**დისტრიბუცია** – არხები ან ადგილები, რომელთა საშუალებითაც მომხმარებელი პროდუქტს შეისყიდის.

**საერთო ბიზუეტით მოგზაურთა ჯგუფი** (Travel Party) – განისაზღვრება როგორც ვიზიტორები, რომლებიც მოგზაურობენ ერთად და აქვთ საერთო დანახარჯები.

**ერთდღიანი ვიზიტორი** – ვიზიტორი, რომლის მოგზაურობა არ მოიცავს ღამისთვეას.

**ეროვნული ტურიზმი** – ეროვნული ტურიზმი მოიცავს შიდა და გამყვანი ტურიზმს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით და გარეთ.

**ინდუსტრია** – ყველა ბიზნესი, რომელიც ჩართულია ტურიზმში, სადისტრიბუციო აგენტებისა და პროდუქტის მიმწოდებლების ჩათვლით.

**კვლევა** – პროცესი, რომლის დროსაც შერჩევის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე სტატისტიკური მეთოდოლოგიის სისტემატური გამოყენების გზით ხდება პოპულაციის მახასიათებლების დადგენა.

**მეგობრების და ნათესავების მონახულება (VFR)** – ვიზიტორები, რომელთა მოგზაურობის ძირითადი მიზანია მეგობრების და ნათესავების მონახულება.

**მოგზაურთა ჯგუფი** (Travel Group) – მოგზაურთა ჯგუფი შედგება ინდივიდებისა და/ან ერთად მოგზაური ჯგუფებისგან. მაგალითად: ადამიანები, რომლებიც მოგზაურობენ ერთი და იგივე ტურისტული პაკეტით ან ახალგაზრდების საზაფხულო ბანაკები.

**მოგზაურობა / მოგზაური** – მოგზაურობა განიმარტება, როგორც მოგზაურის აქტივობა.

**მოგზაური** – ადამიანი, რომელიც გადაადგილდება ორ სხვა-დასხვა გეოგრაფიულ ადგილს შორის ნებისმიერი მიზნითა და ნებისმიერი დროის ხანგრძლივობით. ვიზიტორი მოგზაურის კონკრეტული ტიპი და შესაბამისად მოგზაურის კატეგორიის ქვესიმრავლეა.

**მოკლე დისტანციაზე მოგზაურობა** – საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტული დანიშნულების ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე ნაკლებია.

**ონლაინ დისტრიბუცია** – ინტერნეტისა და ვებ-გვერდების გამოყენება მომხმარებლამდე პროდუქტის მიწოდებისა და პრომოუშენისთვის.

**ოპერატორი** – ტურისტული პროდუქტის მფლობელი ან მენეჯერი.

**რეზიდენტობის ქვეყანა** – შინამეურნეობის რეზიდენტობის ქვეყანა განისაზღვრება იმის მიხედვით თუ სად არის შინამეურნეობის წევრების უკონიმიური ინტერესების ცენტრი. თუ ინდივიდი ცხვრობს ერთ წელზე მეტი დროით ქვეყანაში და მისი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი ეს ქვეყანაა (სადაც დროის უმეტეს ნანილს ატარებს) ის ითვლება აღნიშნული ქვეყნის რეზიდენტად.

**საერთაშორისო ვიზიტორი** – საერთაშორისო მოგზაური, რომელიც მოგზაურობს ერთ წელზე ნაკლები პერიოდით და მის მიზანს არ წარმოადგენს დანიშნულების ქვეყანაში დასაქმება.

**საერთაშორისო ტურიზმი** – საერთაშორისო ტურიზმი მოიცავს შემომყვანი და გამყვანი ტურიზმს. იგი აერთიანებს ერთი მხრივ, ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებს ქვეყნის რეზიდენტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ, როგორც შიდა ასევე გამყვანი ტურიზმის ფარგლებში. ასევე მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებს სხვა ქვეყნის რეზიდენტები ქვეყანაში შემომყვანი ტურიზმის ფარგლებში.

**საკომისიო** – გადასახადი, რომელსაც უხდიან აგენტს პროდუქტის პაზარზე მიწოდებისთვის, დისტრიბუციის და გაყიდვის სანაცვლოდ.

**სრულიად დამოუკიდებელი მოგზაურები** – მოგზაურები, რომელიც თვითონ გეგმავენ თავიანთ მოგზაურობას. არსებობს დამოუკიდებელი მოგზაურების სხვადასხვა ტიპები: მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, ზურგჩანთით მოგზაურობა და ნაწილობრივი პაკეტით მოგზაურობა.

**ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა** – დამოუკიდებელი ბიზნესების გლობალური ქსელი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოძებნოს და დაჯავშნოს მოგზაურობა.

**ტურიზმის ფორმები** – არსებობს ტურიზმის სამი ძირითადი ფორმა: შიდა ტურიზმი, შემომყვანი ტურიზმი და გამყვანი ტურიზმი. მათი სხვადასხვა კომპინაციით კი მიიღება შემდეგი დამატებითი ტურიზმის ფორმები: საშინაო ტურიზმი, ეროვნული ტურიზმი და საერთაშორისო ტურიზმი.

**ტურისტი** – ვიზიტორი, რომლის მოგზაურობა მოიცავს ღამისთვეას.

## ტურისტული ტერმინები

**ტურისტული დანახარჯები** – აღნიშნავს იმ თანხას, რომელიც გადახდილია ტურისტული მოგზაურობის დროს საქონელსა და მომსახურობაში, ასევე ძვირფას ნივთებში, რომელიც განკუთვნილია ან პირადი მოხმარებისათვის ან საჩუქრად გასაცემად. აქ იგულისხმება როგორც თვით ვიზიტორების მიერ განეული დანახარჯები, ისე სხვების მიერ დაფარული ან ანაზღაურებული ხარჯები.

**ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი** – ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი არის ის მიზანი, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც ტურისტული ვიზიტი არ შედგებოდა.

**ტურისტული ადგილი (Tourism Destination)** – ფიზიკური სივრცე, რომელიც შეიძლება მოიცავდეს თუმცა არ არის აუცილებელი ადმინისტრაციულ ან ანალიტიკურ საზღვრებს, სადაც ვიზიტორს დამის გათევა შეუძლია. ეს არის პროდუქტების და სერვისების, ასევე აქტივობების და გამოცდილებების კლასტერი, ტურიზმის ღირებულებების ჯაჭვში და ტურისტული ანალიზის ძირითადი ერთეული. ტურისტული ადგილი მოიცავს რამდენიმე დაინტერესულ პირს და არის არამატერიალური საკუთარი იმიჯით და იდენტურობით, რამაც შეიძლება მის კონკურენტუნარიანობაზე გავლენა იქონიოს.

**ტურისტული ადგილის მართვა (Destination Management)** – „ყველა ელემენტის კოორდინირებული მართვა, რომელიც ქმნის ტურისტულ ადგილს (ღირშესანიშნაობები (attractions), კეთილმოწყობილი ადგილები (amenities), ხელმისაწვდომობა (access), მარკეტინგი (Marketing), და ფასის დადგენა (Pricing)).

**დანიშნულების მართვის ორგანიზაცია** – წამყვანი ორგანიზაციული ერთეული, რომელიც როგორც წესი მოიცავს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს, დაინტერესებულ მხარეებს და პროფესიონალებს და ხელს უწყობს პარტნიორობას ტურისტული ადგილის სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაში.

**შემომყვანი ტურიზმი** – საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შემოსვლა ქვეყანაში. ასევე ცნობილია, როგორც ექსპორტ-ტურიზმი.

**შემომყვანი ტურიზმის დანახარჯები** – ტურისტული დანახარჯები, რომელსაც ახორცილებენ არა რეზიდენტი ვიზიტორები ქვეყნის ეკონომიკაში.

**შემომყვანი ტუროპერატორი (ITO)** – დამაკავშირებელი რგოლი ტურისტული პროდუქტის მფლობელებსა და უცხოურ ტურის-

ტულ კომპანიას შორის. ის ქმნის ტურისტულ პაკეტს და ყიდის მას პირდაპირ მომხმარებელზე ან უცხოურ კომპანიაზე.

**შერჩევა** – პოპულაციის ქვესიმრავლე, სადაც ელემენტების შერჩევა ხდება წინასწარ განსაზღვრული ალბათობით.

**შეხვედრების ინდუსტრია (Meeting Industry)** – შეხვედრების ინდუსტრიის არსის უკეთ გასაგებად უნდა შევხედოთ ბიზნეს და პროფესიული მოგზაურების მიზნებს. თუ მოგზაურობის მთავარი მიზანია ბიზნეს / პროფესიული საქმიანობა ის შეიძლება მიეკუთვნებოდეს შემდეგი ორი კატეგორიიდან ერთ-ერთს „შეხვედრებზე, კონფერენციებზე, ყრილობებსა და გამოფენა-გაყიდვებზე დასწრება“ და „სხვა ბიზნეს და პროფესიული მიზნები.“ ტერმინ შეხვედრების ინდუსტრიას Mice-თან შედარებით უპირატესად მიჩნევენ შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციები: საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაცია (ICCA), Meeting Profecionals International(MPI) da Reed Travel. უპირატესობის მინიჭება გამოწვეულია იმით, რომ Mice არ ითვალისწინებს მსგავსი აქტივობების ინდუსტრიულ ხასიათს.

**შეხვედრებისა და წახალისების მგეგმავი (Meeting and Incentive Planner)** – ორგანიზებას უწევს შეხვედრის, წახალისების და ღონისძიების ყველა ასპექტი.

**შიდა ვიზიტორი** – ვიზიტორი, რომელიც მოგზაურობს საკუთარი რეზიდენტობის ქვეყანაში, მის მიერ განხორციელებული აქტივობები შიდა ტურიზმის ნაწილია.

**შიდა ტურიზმი** – რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობა მოცემული ქვეყნის შიგნით.

**ჩვეული გარემო** – ჩვეული გარემო, ტურიზმში ძირითადი კონცეფციაა და განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც ინდივიდი ანარმონებს რეგულარულ ცხოვრების რუტინას.


**ჩვეული რეზიდენტობი სადგილი** – ჩვეული რეზიდენტობის ადგილი არის გეოგრაფიული ადგილი, სადაც ადამიანი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

**წამახალისებელი მოგზაურობა** – წამახალისებელი მოგზაურობა არის მგზაურობა, რომელსაც პრიზის ან ჯილდოს სახით სთავაზობენ კარგი შედეგების მქონე თანამშრომლებს ან გაყიდვების აგენტებს.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

კვლევებისა და დაგეგმვის სამსართველო

სამსართველოს უფროსი: გიორგი ბრეგაძე  
ელ.ფოსტა: g.bregadze@gnta.ge



სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში მოხდა ახალი ზელანდის და ავსტრალიის ანალოგიური ნაშრომების “Planning for inbound success” ადაპტირება და საქართველოს რეალობაზე მორგება. საქართველოში ტურისტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობის აღსაწერად გავიარეთ კონსულტაციები ტურიზმის სხვადასხვა სფეროს ექსპერტებთან. მადლობას ვუხდით მათ თანადგომისთვის. განსაკუთრებული მადლობა ინგა მუმლაძეს და გიორგი ვარშალმიძეს შეტანილი წვლილისთვის.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო  
სანაპიროს ქ. 2, 0114, თბილისი, საქართველო  
ტელ: +(995 32) 299 11 11; +(995 32) 299 11 05  
ფაქს: +(995 32) 292 15 34  
E-mail: ministry@moesd.gov.ge  
[www.economy.ge](http://www.economy.ge)



საქართველოს ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია  
სანაპიროს ქ. №4, 0105, თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 2 436 999  
ფაქს: +995 32 2 436 085  
E-mail: info@gnta.ge  
[www.georgia.travel](http://www.georgia.travel)  
[www.gnta.ge](http://www.gnta.ge)  
2019

საქართველოს დურიზმის  
ეროვნული აღმაშენებლის



საქართველოს ეკონომიკისა  
და მდგრადი განვითარების  
სამინისტრო